დანართი №2

შპს ინტეგიზენსის აკადემიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტი“, „მასაჟის თერაპია“, „საწყობის ოპერირება“ და „ენერგომენეჯმენტი“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები თავმჯდომარე: ნინო რამიშვილი წევრები: შალვა ზაზაძე გიორგი ევგენიძე, ზაალ ხელაძე, რატი სხირტლაძე, ხათუნა ურუშაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს ინტერბიზნესის აკადემია

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი:201990881

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - "განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის" დირექტორის 24/07/2026 ბრძანება N MES 5 26 0000974011 საფუძველზე, 2026 წლის 29 და 30 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს ინტერბიზნესის აკადემიის ახალ ლოკაციაზე, რომელიც აქამდე ავტორიზაციის მიზნებისთვის არ იყო გამოყენებული.(მის.: ქ.თბილისი, ქსნის ქუჩა N30.) ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „მასაჟის თერაპია", „ენერგომენეჯმენტი", „საწყობის ოპერირება" და „ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტის" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით, განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება, ე) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ,,ე.ა" და ,,ე.ბ" კომპონენტთან შესაბამისობის და დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ,,დ.ა" და ,,დ.ბ" კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, პერსონალის კვალიფიკაცია, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პერსონალისა და პროცესების მართვა, მატერიალური და საინფორმაციო რესურსები. ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

ვიზიტისას განხორციელდა სასწავლო სივრცეების ფიზიკური დათვალიერება, მატერიალური და საინფორმაციო რესურსების შესწავლა, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პროცესების შესწავლა. ჩატარდა ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

ვიზიტისაას გაიცა შესაბამისობის რეკომენდაციები და გამოვლინდა ხარვეზები.

ვიზიტი დასრულდა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის გამოკვეთილი მიგნებების გაცნობით.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

არ გამოვლენილა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ავტორიზაციის მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
4) ადამიანური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ■ **არ შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, ასახოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტის შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

1. სტანდარტი 2, ინდიკატორი 2.2.1.1 - - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„მასაჟის თერაპია“** განხორციელებისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსები სრულად ვერ უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, რადგან პროგრამისთვის საჭირო მატერიალური რესურსი(ჩვილი ბავშვის მულაჟი) არ იყო ზღვრული რაოდენობის შესაბამისი, ხოლო A გარემოს სასწავლო სივრცე არ იყო შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი და მისი გამტარუნარიანობის შეფასება ვერ განხორციელდა.

2. სტანდარტი 2, ინდიკატორი 2.2.1.1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - დაწესებულების მატერიალური რესურსი სრულად ვერ უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით **„საწყობის ოპერირება“** გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, რადგან პროგრამისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა არ იყო ინსტალირებული კომპიუტერებში, ხოლო A გარემოს სასწავლო სივრცე არ იყო შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი და მისი გამტარუნარიანობის შეფასება ვერ განხორციელდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სტანდარტი 2, ინდიკატორი 2.2.1.4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **"საწყობის ოპერირება"** ხელმძღვანელის კვალიფიკაცია და წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულად ვერ ადასტურებს მის შესაბამისობას დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და პროგრამის ხელმძღვანელის პოზიციისთვის საჭირო დარგობრივ კომპეტენციასთან.

4. სტანდარტი 5, ინდიკატორი 5.1.2.2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; - დაწესებულებას ახალ ლოკაციაზე არ აქვს უზრუნველყოფილი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო მინიმალური მატერიალური რესურსი (სამედიცინო ყუთი), რის გამოც პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმის პრაქტიკული განხორციელება სრულად ვერ დასტურდება.

VI. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა ტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

1. სტანდარტი 5, **ინდიკატორი 5.1.1.1. - დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით; - მეტწილ შესაბამისობაშია.** *დაწესებულებამ უზუნველყოს სარემონტო სამუშაოების დასრულება და ფართის აღჭურვა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, 2026 წლის აგვისტს ბოლომდე. - მეტწილად შეესაბამება.*

2. *სტანდარტი 5,* ინდიკატორი 5.1.2.1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები - *დაწესებულებამ უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოებისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის დადებითი დასკვნის მოპოვების მიმართულებით დაწყებული ღონისძიებების დასრულება და შესაბამისი დოკუმენტაციის მოპოვება სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში განსაზღვრულ ვადაში.*

3. სტანდარტი 2, ინდიკატორი **2.2.1.2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.** *დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტი" დარგობრივი მოდულების განხორციელებისთვის საჭირო რაოდენობისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლების დამატება სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში. - მეტწილად შეესაბამება*

4. სტანდარტი 2, ინდიკატორი **2.2.1.3 პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.** *დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

"ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტი" პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეების მის მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. - მეტწილად შეესაბამება

5. **სტანდარტი2, ინდიკატორი 2.2.1.2. .პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.** *დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება" დარგობრივი მოდულების განხორციელებისთვის საჭირო რაოდენობისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლების დამატება სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში. - მეტწილად შეესაბამება*

6. **სტანდარტი2, ინდიკატორი 2.2.1.3. .პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.** *დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "საწყობის ოპერირება" პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეების სრულყოფა, მათი კვალიფიკაციისა და პროფესიული გამოცდილების შესაბამისობის დადასტურება განსახორციელებელ მოდულებთან მიმართებით. - მეტწილად შეესაბამება*

VII. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, ასახოთ <u>ყველა ის რეკომენდაცია,</u> რომელიც დაწესებულებას მიეცა სტანდარტთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა

VIII.. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

1. დაწესებულებამ დასკვნის პროექტში ასახულ გარემოებებთან დაკავშირებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია (წერილი № 00016984 – 20/08/2026) ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტისას დაფიქსირებული ხარვეზების შესახებ. დასკვნის პროექტში ხარვეზები დაფისქირდა წარმოდგენილი პროგრამების 2.2. კომპონენტში და 5.1 კომპონენტში. კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სტანდარტი 2, ინდიკატორი 2.2.1.1 - - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„მასაჟის თერაპია“** განხორციელებისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსები სრულად ვერ უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. - ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსები, თავდაპირველი შეფასების ეტაპზე, სრულად ვერ უზრუნველყოფდა პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის (40 პროფესიული სტუდენტი) ფარგლებში პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი პირობების არსებობის დადასტურებას. კერძოდ, ვერ დასტურდებოდა A გარემოს სრულად აღჭურვა და პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო რესურსების, მათ შორის, ჩვილი ბავშვის მულაჟების, ფაქტობრივი ხელმისაწვდომობა.

დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ეტაპზე წარმოადგინა დამატებითი მტკიცებულებები — ვიდეო და ფოტომასალა, რომლის საფუძველზეც დასტურდება, რომ C გარემოში დამატებით განთავსებულია 10 ჩვილი ბავშვის მულაჟი, ხოლო A გარემო აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით.

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას და აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები ასახავს დაწესებულების მიერ განხორციელებულ ცვლილებებს და უზრუნველყოფილი აქვს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსი. თუმცა, მოცემული ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული იყო ხარვეზი, რომლის შესაბამისადაც დაწესებულებას არ წარმოუდგენია სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, ღონისძიებების აღწერა, რომელიც განსაზღვრავდა გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრის კონკრეტულ ნაბიჯებს, პასუხისმგებელ პირებსა და განხორციელების ვადებს. შესაბამისად, წარმოდგენილი დამატებითი მტკიცებულებების მიუხედავად, ექსპერტთა ჯგუფს არ მიეცა საკმარისი საფუძველი მოცემულ ინდიკატორთან მიმართებით შეფასების ცვლილებისთვის.

2. სტანდარტი 2, ინდიკატორი 2.2.1.1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მატერიალური რესურსი სრულად ვერ უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით **„საწყობის ოპერირება“** გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, რადგან პროგრამისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა არ იყო ინსტალირებული კომპიუტერებში, ხოლო A გარემოს სასწავლო სივრცე არ იყო შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი და მისი გამტარუნარიანობის შეფასება ვერ განხორციელდა. - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო მატერიალური რესურსების შესაბამისობა პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობასთან სრულად არ დასტურდება. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას გააჩნია პროგრამის თეორიული კომპონენტის განხორციელებისთვის საჭირო ძირითადი რესურსები და წარმოდგენილია დამატებითი რესურსების უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ვიზიტის პერიოდში სასწავლო გარემო სრულად მზადყოფნაში არ იყო. კერძოდ, პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შინაარსთან დაკავშირებული საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა კომპიუტერულ ტექნიკაში არ იყო ინსტალირებული, ხოლო დამატებითი სასწავლო სივრცე არ იყო შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი, რის გამოც მისი ფაქტობრივი გამტარუნარიანობის შეფასება ვერ განხორციელდა. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირდა ხარვეზი.

ამასთან, დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ეტაპზე წარმოადგინა დამატებითი მტკიცებულებები — ვიდეო და ფოტომასალა, რომლის საფუძველზეც დასტურდება, რომ ყველა კომპიუტერში ჩატვირთულია „ფინას“ სასაწყობე პროგრამა, ხოლო A გარემო აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით.

ექსპერტთა ჯგუფი იზირებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმეტირებულ პოზიციას და აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები ასახავს დაწესებულების მიერ განხორციელებულ ცვლილებებს და მოცემული მტკიცებულებების გათვალისწინებით უზრუნველყოფილი აქვს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსი. თუმცა, მოცემული ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული იყო ხარვეზი, რომლის შესაბამისადაც დაწესებულებას არ წარმოუდგენია სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, ღონისძიებების აღწერა, რომელიც განსაზღვრავდა გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრის კონკრეტულ ნაბიჯებს, პასუხისმგებელ პირებსა და განხორციელების ვადებს. შესაბამისად, წარმოდგენილი დამატებითი მტკიცებულებების მიუხედავად, ექსპერტთა ჯგუფს არ მიეცა საკმარისი საფუძველი მოცემულ ინდიკატორთან მიმართებით შეფასების ცვლილებისთვის.

3. სტანდარტი 2, ინდიკატორი 2.2.1.4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **“საწყობის ოპერირება”** ხელმძღვანელის კვალიფიკაცია და წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულად ვერ ადასტურებს მის შესაბამისობას დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და პროგრამის ხელმძღვანელის პოზიციისთვის საჭირო დარგობრივ კომპეტენციასთან. - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“ ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა პროგრამის ხელმძღვანელის განათლება, პროფესიული გამოცდილება და დარგობრივი კომპეტენცია, როგორც პროგრამის ხელმძღვანელის პოზიციისთვის დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ისე პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების უზრუნველყოფის შესაძლებლობასთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების ერთობლიობა სრულად ვერ ადასტურებს პროგრამის ხელმძღვანელის შესაბამისობას დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, კერძოდ, შინაგანაწესის მე-3 მუხლის 3.14 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე გაითვალისწინა პროგრამის ხელმძღვანელის მიერ განსახორციელებელი ფუნქციების შინაარსისა და პროგრამის დარგობრივი სპეციფიკა. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ეტაპზე წარმოადგინა დამატებითი ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის განათლების, პროფესიული გამოცდილებისა და პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციის შესახებ. დაწესებულების პოზიციით, წარმოდგენილი კვალიფიკაცია და გამოცდილება შეესაბამება მის მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტები და დამატებითი მტკიცებულებები. მიუხედავად აღნიშნულისა, ჯგუფის შეფასებით, წარმოდგენილი ინფორმაცია და მტკიცებულებები ვერ ცვლის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას და ვერ უზრუნველყოფს პროგრამის ხელმძღვანელის შესაბამისობის სრულად დადასტურებას დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ გამოვლენილი გარემოება საჭიროებს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციისა და დაკავებულ პოზიციასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის ფარგლებში თავდაპირველად დაფიქსირებული ხარვეზი შენარჩუნდა და შეფასება დარჩა უცვლელი.

4. სტანდარტი 5, ინდიკატორი 5.1.2.2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; - დაწესებულებას ახალ ლოკაციაზე არ აქვს უზრუნველყოფილი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო მინიმალური მატერიალური რესურსი (სამედიცინო ყუთი), რის გამოც პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმის პრაქტიკული განხორციელება სრულად ვერ დასტურდება.

მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი და აქვს შესაბამისი პროცედურები, პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი მინიმალური მატერიალური რესურსის (სამედიცინო ყუთის) არარსებობა ახალ ლოკაციაზე სრულად ვერ უზრუნველყოფს მექანიზმის პრაქტიკულ განხორციელებას.

დაწესებულებამ აღნიშნულ საკითხთან მიმართებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის თანახმადაც, ახალ ლოკაციაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მინიმალური მატერიალური რესურსი — პირველადი დახმარების ყუთი — შეძენილი იყო და ვიზიტის პერიოდში დაწესებულებაში არსებობდა. დაწესებულების განმარტებით, ექსპერტთა დასკვნაში ასახული გარემოება, თითქოს ახალ ლოკაციაზე აღნიშნული რესურსი უზრუნველყოფილი არ იყო, არ ასახავს ფაქტობრივ მდგომარეობას.

ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული პოზიცია განიხილა ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული შეფასებისა და ადგილზე არსებული მტკიცებულებების გათვალისწინებით. ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ახალ ლოკაციაზე პირველადი დახმარების ყუთის არსებობა ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვერ იქნა დადასტურებული. შესაბამისად, შეფასების მომენტში ექსპერტთა ჯგუფს არ გააჩნდა ადგილზე პირველადი დახმარების ყუთის არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულება.

ამასთან, დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციით წარმოდგენილი განმარტება და შესაბამისი დამატებითი ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა. თუმცა, აღნიშნული მტკიცებულება წარმოდგენილია ექსპერტთა ვიზიტის დასრულების შემდგომ და ვერ ცვლის ვიზიტის ფარგლებში დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, რომლის საფუძველზეც შეფასდა პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმის პრაქტიკული უზრუნველყოფა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა, თუმცა წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაცია ვერ გახდა ვიზიტის ფარგლებში დაფიქსირებული შეფასების ცვლილების საფუძველი. შესაბამისად, ინდიკატორის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ თავდაპირველად დაფიქსირებული შეფასება დარჩა უცვლელი.

5. სტანდარტი 2, ინდიკატორი 2.2.1.2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. - ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამაზე განსაზღვრული 50 პროფესიული სტუდენტის ორ სასწავლო ჯგუფად ორგანიზების პირობებში, დარგობრივი მოდულების განხორციელებისთვის მხოლოდ ერთი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლის არსებობა ვერ ქმნის პროგრამის მდგრადი და უწყვეტი განხორციელების საკმარის საფუძველს. აღნიშნული გარემოება წარმოშობს რისკს, რომ პროგრამის ხელმძღვანელის დროებითი არყოფნის, გადატვირთვის ან სხვა გაუთვალისწინებელი გარემოების შემთხვევაში შეფერხდეს დარგობრივი მოდულების განხორციელება, რაც, თავის მხრივ, შესაძლოა აისახოს სასწავლო პროცესის უწყვეტობასა და სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფაზე. შესაბამისად, მოცემული ინდიკატორი შეფასდა ხარვეზით.

აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და დააფიქსირა, რომ ექსპერტთა ჯგუფის შეფასებას ნაწილობრივ ეთანხმება. საკუთარი პოზიციის გასამყარებლად კოლეჯმა წარმოადგინა შესაბამისი არგუმენტები. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს დაწესებულების მიერ გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ პროგრამის ხელმძღვანელის გარდა, დამატებით ოთხი პროფესიული განათლების მასწავლებლის კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო კომპეტენციებს. აღნიშნული გარემოება ვერ დადასტურდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე.წარმოდგენილი დოკუმენტაციის, კვალიფიკაციის დამადასტურებელი მასალებისა და ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული გასაუბრებების შედეგების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დაადასტურა აღნიშნული პირების შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაცია და კომპეტენცია იმ მოცულობით, რაც აუცილებელია პროგრამის პროფესიული მოდულების ხარისხიანად და დამოუკიდებლად განხორციელებისთვის.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების საერთო რაოდენობრივი მაჩვენებელი თავისთავად ვერ უზრუნველყოფს ინდიკატორის მოთხოვნის დაკმაყოფილებას, ვინაიდან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პერსონალის რაოდენობა, არამედ მათი შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაცია და კომპეტენცია, აგრეთვე პროგრამის დაგეგმილი კონტინგენტის პირობებში სასწავლო პროცესის უწყვეტობისა და მდგრადობის უზრუნველყოფის შესაძლებლობა.

აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N01-26, 19.06.2026, რომელშიც ბოლო ცვლილება განხორციელებულია დირექტორის 17.08.2026 წლის ბრძანებით N01-26. ინდიკატორი 2.2.1.2-ის ფარგლებში შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად განსაზღვრულია „დამატებით ასაყვანი პროფესიული მასწავლებლების შერჩევის დაწყება“. დაწესებულების მიერ აღნიშნული აქტივობა შეფასებულია „მეტწილი შესაბამისობით“ და მისი განხორციელების ვადად განსაზღვრულია ორი თვე — დაწყების თარიღად მითითებულია 17.08.2026, ხოლო დასრულების თარიღად — 10.10.2026.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული ღონისძიება მიმართულია გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრისკენ, ხოლო მისი განხორციელებისთვის განსაზღვრული ვადა რეალისტურია. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ დაწესებულებას აქვს ხარვეზის აღმოფხვრისთვის შესაბამისი ღონისძიების განხორციელების შესაძლებლობა და აღნიშნული საფუძვლად დაედო შესაბამისობის რეკომენდაციის გაცემას.

შესაბამისობის რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტი“ დარგობრივი მოდულების განხორციელებისთვის საჭირო რაოდენობისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლების დამატება სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.

6. სტანდარტი 2, ინდიკატორი 2.2.1.3 პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტი“ დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ცალკეულ შემთხვევაში ვერ დასტურდებოდა თავად დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობა. კერძოდ, წარმოდგენილი დოკუმენტაციით სრულად ვერ დასტურდებოდა იმგვარი პროფესიული გამოცდილებისა და დარგობრივი კომპეტენციის არსებობა, რომელიც უშუალოდ უკავშირდება პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და შესაბამისი მოდულების შინაარსს. ასევე, ავტობიოგრაფიებში, სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელ დოკუმენტებსა და სხვა წარმოდგენილ მტკიცებულებებში არ იკვეთებოდა საკმარისი ინფორმაცია ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის ან შესაბამისი პრაქტიკული კომპეტენციების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ ცალკეული პროფესიული განათლების მასწავლებლების შემთხვევაში დადასტურებული იყო განათლება და/ან პროფესიული გამოცდილება ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების სფეროს მომიჯნავე მიმართულებებში, მათ შორის პროგრამული უზრუნველყოფის, ვებდეველოპმენტის, ინფორმატიკისა და სხვა შესაბამის მიმართულებებში. თუმცა, მხოლოდ აღნიშნულ სფეროში ზოგადი ან მომიჯნავე კვალიფიკაციის არსებობა არ იქნა მიჩნეული კონკრეტული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასებისთვის საჭირო დარგობრივი კომპეტენციის საკმარის დამადასტურებელ საფუძვლად. აღნიშნული შეფასებისას ექსპერტთა ჯგუფმა მხედველობაში მიიღო არა მხოლოდ კვალიფიკაციის სფეროს ფართო კლასიფიკაციური კუთვნილება, არამედ კონკრეტული მოდულის შინაარსი, სწავლის შედეგები, მათი მიღწევისთვის საჭირო სპეციალიზებული ცოდნა და უნარები, ასევე შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილების დამადასტურებელი მტკიცებულებები. დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებას ნაწილობრივ დაეთანხმა და საკუთარი პოზიციის გასამყარებლად დამატებით მიუთითა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტი“ (0613.3.3) სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად მიეკუთვნება ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების (061) ვიწრო სფეროს. დაწესებულების განმარტებით, პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლებად შერჩეული პირების კვალიფიკაციებიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნულ ვიწრო სფეროს მიეკუთვნება და მათი შერჩევა განხორციელდა კონკრეტული მოდულების შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით.

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების მიერ მითითებულ პროგრამის კლასიფიკაციურ კუთვნილებას, თუმცა ვერ გაიზიარებს დასკვნას, რომ პროგრამის 061 ვიწრო სფეროსადმი კუთვნილება ავტომატურად ადასტურებს პროგრამის ყველა დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი პირის შესაბამისობას. პროგრამის ვიწრო სფეროსადმი კლასიფიკაციური კუთვნილება განსაზღვრავს პროგრამის ზოგად დარგობრივ მიმართულებას და თავისთავად არ ადასტურებს კონკრეტული პირის მიერ პროგრამის თითოეული მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასებისთვის საჭირო სპეციალიზებული კომპეტენციის ფლობას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, აღნიშნული კომპეტენცია უნდა დასტურდებოდეს კონკრეტული მოდულის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან მიმართებით, პირის განათლების, პროფესიული გამოცდილების, დამატებითი კვალიფიკაციების, პრაქტიკული საქმიანობისა და სხვა შესაბამისი მტკიცებულებების ერთობლივი შეფასებით. შესაბამისად, 061 სფეროში კვალიფიკაციის არსებობა შესაძლებელია ჩაითვალოს დარგობრივად რელევანტურ ზოგად საფუძვლად, თუმცა იგი არ წარმოადგენს საკმარის მტკიცებულებას ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტის სპეციფიკური მიმართულებებით განსაზღვრული სწავლის შედეგების სწავლებისა და შეფასების კომპეტენციის დასადასტურებლად.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეაფასა დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციაში მითითებული განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციები და პროფესიული გამოცდილება. წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებების შედეგების საფუძველზე, ჯგუფმა ვერ დაადასტურა, რომ პროგრამის ხელმძღვანელის გარდა წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება სრულად უზრუნველყოფს მათთვის განსაზღვრული დარგობრივი მოდულების სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასებისთვის საჭირო კომპეტენციას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება არა კონკრეტული კვალიფიკაციის სახელწოდებას, არამედ მის შესაბამისობას კონკრეტული მოდულის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მათ მისაღწევად საჭირო პრაქტიკულ კომპეტენციებთან.

ამდენად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების ნაწილში ვერ დასტურდება პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასებისთვის საჭირო კომპეტენცია იმ მოცულობით, რაც აუცილებელია პროგრამის ხარისხიანი და მდგრადი განხორციელებისთვის.

ამასთან, დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც მოცემული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, იდენტიფიცირებულ საჭიროებად განსაზღვრულია „ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტის“ პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით დამატებით განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა და კვაალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა.

აღნიშნული საჭიროების საპასუხოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში განსაზღვრულია შესაბამისი აქტივობები, მათ შორის, განმახორციელებელი პირებისგან დამატებითი ინფორმაციისა და ცნობების გამოთხოვა მათ მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობისა და/ან სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო დაწესებულებებში მათ მიერ განხორციელებული მოდულების ჩამონათვალის შესახებ, აგრეთვე დამატებითი პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევის პროცესის დაწყება. აღნიშნული აქტივობების განხორციელების ვადად განსაზღვრულია 2026 წლის 17 აგვისტოდან 2026 წლის 10 ოქტომბრამდე პერიოდი.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები უშუალოდ უკავშირდება გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრას და მიმართულია პროგრამის დარგობრივი მოდულების განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის გაძლიერებისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევისკენ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა რეალისტურია და მოიცავს გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრისკენ მიმართულ კონკრეტულ ღონისძიებებს. შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა **შესაბამისობის რეკომენდაცია**:დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტი" პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეების მის მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. - მეტწილად შეესაბამება.

7. სტანდარტი 2, ინდიკატორი 2.2.1.2. .პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება" განხორციელებისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა ზოგადად შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს და სასწავლო პროცესის ორგანიზების შესაძლებლობას ქმნის. ამასთან, ცალკეული მოდულების განხორციელება დამოკიდებულია მხოლოდ ერთ პროფესიულ მასწავლებელზე, რაც ამცირებს ადამიანური რესურსის მდგრადობასა და ჩანაცვლების შესაძლებლობას და ზრდის სასწავლო პროცესის შეფერხების რისკს. დამატებით, პროფესიული მასწავლებლების ნაწილის აკადემიის ფარგლებს გარეთ დასაქმება საჭიროებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისას სათანადო გათვალისწინებას.

ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას იმ ნაწილში, რომ ადამიანური რესურსის საერთო რაოდენობა და მასწავლებელთა დატვირთვის ნორმის დაცვა თავისთავად საკმარისია პროგრამის მდგრადობის დასადასტურებლად. შეფასება არ ეფუძნება თითოეულ მოდულზე ორი ან მეტი მასწავლებლის სავალდებულო არსებობის მოთხოვნას და უკავშირდება კონკრეტულ მოდულებზე ერთ ადამიანზე დამოკიდებულებით შექმნილ რისკს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეაგირების მექანიზმები გათვალისწინებულია, თუმცა მათი ზოგადი არსებობა ვერ ადასტურებს შესაბამისი კომპეტენციის მქონე შემცვლელი პერსონალის დროულ და რეალურ ხელმისაწვდომობას.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას, რომლის ფარგლებშიც ინდიკატორ 2.2.1.2-ისთვის გათვალისწინებულია „დამატებით ასაყვანი პროფესიული მასწავლებლების შერჩევის დაწყება". აღნიშნული ღონისძიება უშუალოდ მიმართულია გამოვლენილი საკითხის აღმოფხვრისკენ, ხოლო 17.08.2026-დან 10.10.2026-მდე განსაზღვრული ვადა რეალისტურად არის მიჩნეული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას, თუმცა ეთანხმება შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულ ღონისძიებას და მიიჩნევს, რომ მისი განხორციელება გააძლიერებს პროგრამის ადამიანური რესურსის მდგრადობასა და ჩანაცვლების შესაძლებლობას, რაც საფუძვლად დაედო შესაბამისობის რეკომენდაციის გაცემას. **შესაბამისობის რეკომედაცია:** დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“ დარგობრივი მოდულების განხორციელებისთვის საჭირო რაოდენობისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლების დამატება სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში. - მეტწილად შეესაბამება.

8. სტანდარტი 2, ინდიკატორი 2.2.1.3. .პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“ განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები, განათლების, კვალიფიკაციისა და პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები, დაწესებულების მიერ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები და გასაუბრებების შედეგები. შეფასებით დადგინდა, რომ მასწავლებელთა ნაწილს აქვს პროგრამის მიმართულებასთან დაკავშირებული ან მომიჯნავე განათლება, პროფესიული, პრაქტიკული და სწავლების გამოცდილება, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასაუბრების შედეგები სრულად ვერ ადასტურებდა კონკრეტული მოდულების სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასებისთვის საჭირო დარგობრივ კომპეტენციას და დაწესებულების შიდა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობას.

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების მოსაზრებას, რომ მასწავლებელთა შესაბამისობის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დარგობრივი ცოდნა, სამუშაო და პრაქტიკული გამოცდილება, სწავლების გამოცდილება და სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია. ამასთან, ფართო ან მომიჯნავე დარგთან კვალიფიკაციის შესაბამისობა თავისთავად არ ადასტურებს კონკრეტული მოდულის ყველა სწავლის შედეგის განხორციელებისთვის საჭირო კომპეტენციას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში ინდიკატორ 2.2.1.2-ის ფარგლებში გათვალისწინებულია განმახორციელებელი პირებისგან სამუშაო აღწერილობებისა და/ან სხვა კოლეჯებში შესაბამისი მოდულების განხორციელების დამადასტურებელი ცნობების წარმოდგენა. აღნიშნული ღონისძიება უშუალოდ მიმართულია გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრისკენ, ხოლო 17.08.2026-დან 10.10.2026-მდე განსაზღვრული ვადა რეალისტურად არის მიჩნეული.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულებას აქვს გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა, რაც საფუძვლად დაედო შესაბამისობის რეკომენდაციას. **შესაბამისობის რეკომენდაცია:** დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “საწყობის ოპერირება” პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სრულყოფა, მათი კვალიფიკაციისა და პროფესიული გამოცდილების შესაბამისობის დადასტურება განსახორციელებელ მოდულებთან მიმართებით. - მეტწილად შეესაბამება.

9. **სტანდარტი 5, ინდიკატორი 5.1.1.1. - დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით; - მეტწილ შესაბამისობაშია.**

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტისას დაადგინა, რომ დაწესებულების ფართში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები და შენობის ნაწილი არ იყო შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი, თუმცა წარმოდგენილი იყო ინვენტარისა და აღჭურვილობის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გათვალისწინებული იყო რემონტის დასრულება და ინვენტარის განთავსება 2026 წლის აგვისტოში, თუმცა გეგმაში მითითებული დაწყების თარიღი ტექნიკურ უზუსტობას შეიცავდა, რის გამოც აქტივობის ვადა ექვსთვიან მეტწილ შესაბამისობის პერიოდს აღემატებოდა.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში განმარტა, რომ რეკომენდაცია უკვე შესრულებული იყო და წარმოადგინა დაკორექტირებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც ინდიკატორ 5.1.1.1-თან დაკავშირებული საჭიროება ამოღებულია. თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა შეფასებისას იხელმძღვანელა პროგრამების დამატების განაცხადებთან ერთად წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმითა და ადგილზე ვიზიტისას დადასტურებული ფაქტობრივი გარემოებებით. შესაბამისად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტები და დაკორექტირებული გეგმა ვერ გახდა შეფასების ცვლილების საფუძველი. **შესაბამისობის რეკომენდაცია:** დაწესებულებამ უზუნველყოს სარემონტო სამუშაოების დასრულება და ფართის აღჭურვა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, 2026 წლის აგვისტს ბოლომდე. - მეტწილად შეესაბამება.

10. სტანდარტი 5, იდნიკატორი 5.1.2.1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები -

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ინდიკატორი 5.1.2.1-ის ფარგლებში დაწესებულებას სახანძრო უსაფრთხოების დადებითი დასკვნა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი არ ჰქონდა წარმოდგენილი. სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესი მიმდინარეობს და მას ახორციელებს სამშენებლო კომპანიის მიერ დაქირავებული შესაბამისი კომპანია, თუმცა აღნიშნული პროცესი სრულად არ არის დამოკიდებული დაწესებულებაზე. ამასთან, თავდაპირველ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებული ვადა სცდებოდა ინდიკატორის შესრულებისთვის განსაზღვრულ პერიოდს, ხოლო შენობის მდგრადობის დასკვნის მოპოვების საჭიროება გეგმაში ასახული არ იყო.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა დაკორექტირებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია შენობა-ნაგებობის მდგრადობის დადებითი დასკვნის მოპოვება და შესაბამისობის აქტივობად განსაზღვრულია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ დაჩქარებული წესით ექსპერტიზის ჩატარება. აღნიშნული ღონისძიების განხორციელებისთვის განსაზღვრული ხუთთვიანი ვადა — 31.07.2026-დან 28.12.2026-მდე — ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით რეალისტურია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დაკორექტირებული გეგმა, თუმცა მიიჩნია, რომ უსაფრთხოების ზომების სრულად დადასტურება საჭიროებს სახანძრო უსაფრთხოებისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის დადებითი დასკვნების მოპოვებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაიცა **შესაბამისობის რეკომენდაცია:** დაწესებულებამ უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოებისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის დადებითი დასკვნის მოპოვების მიმართულებით დაწყებული ღონისძიებების დასრულება და შესაბამისი დოკუმენტაციის მოპოვება სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში განსაზღვრულ ვადაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IX. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	მასაჟის თერაპია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მასაჟის თერაპიაში; Higher Vocational Qualification in Massage Therapy
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0915
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძ.N01-14; 22.04.2026წ
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, ქსანის ქ.30
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ■ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ■ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს „ინტერბიზნესის აკადემია“ წარმოადგენს ავტორიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას. აკადემიის მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, დაწესებულების პრიორიტეტს წარმოადგენს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება და ჯანდაცვისა და მომსახურების სფეროს გაძლიერება. დაწესებულების „დებულებათა კრებულის“ მე-3 მუხლით განსაზღვრული მისია ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული განათლების განხორციელებაზე, პრაქტიკული უნარების მქონე კადრების მომზადებასა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობაზე. ჯანმრთელობის დაცვის მიმართულება დაწესებულების საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ სფეროს წარმოადგენს. პროგრამის დამატების მიზანშეწონილობა წარმოდგენილია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილით“. დაწესებულება პროგრამის საჭიროებას უკავშირებს მასაჟის თერაპიის სპეციალისტების დასაქმების შესაძლებლობას სამედიცინო, სარეაბილიტაციო, სპორტულ და ესთეტიკური მომსახურების დაწესებულებებში, ასევე თვითდასაქმების შესაძლებლობას. მიზანშეწონილობის დასაბუთებისას გამოყენებულია დასაქმების ელექტრონულ პლატფორმებზე გამოქვეყნებული ვაკანსიებისა და პროფესიული განათლების რეესტრის მონაცემები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2025 წლის საშემოდგომო მიღების მონაცემებით, პროგრამას საქართველოში ექვსი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებდა, მათ შორის თბილისში — ორი. წარმოდგენილი დასაბუთება არ ეფუძნება დაწესებულების მიერ ჩატარებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადგილობრივი შრომის ბაზრის დამოუკიდებელ კვლევას ან დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგებს. მიუხედავად ამისა, დაწესებულების მისიის, დასაქმების შესაძლო სფეროების, ვაკანსიების შესახებ ინფორმაციისა და პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებების რაოდენობის ერთობლივი განხილვა ქმნის პროგრამის დამატების საკმარის საფუძველს. ვიზიტის ფარგლებში ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუებით დადასტურდა პროგრამის დამატების მიზანი და მისი კავშირი დაწესებულების საქმიანობის პრიორიტეტებთან. - ზემოთ აღნიშნულიდან **გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.1 - პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას; - დაკმაყოფილებულია.**

2. „მასაჟის თერაპია“ მეხუთე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაა. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, ხოლო აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება პროფესიული ტესტირების საფუძველზე. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისა და ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრულია დაწესებულების „დებულებათა კრებულის“ XI[1] თავით. დოკუმენტი არეგულირებს აპლიკანტთა რეგისტრაციის, შერჩევის, შედეგების გასაჩივრებისა და ჩარიცხვის საკითხებს. პროგრამის დონისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით, განსაზღვრული დაშვების წინაპირობა და შერჩევის პროცედურა ქმნის პროგრამის დადგენილ ვადაში დაძლევის სათანადო საფუძველს. **- ინდიკატორი 2.1.1.2 - საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას; - დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულებას დირექტორის 2017 წლის 14 ნოემბრის №01-46 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუქცია“, რომელშიც ცვლილება შეტანილია დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის №01-13 ბრძანებით.

ინსტრუქციის მიხედვით, ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულია სასწავლო გარემოების ტიპი, სამუშაო ადგილების რაოდენობა, სასწავლო გეგმით განსაზღვრული დატვირთვა, ჯგუფებისა და ნაკადების ორგანიზების შესაძლებლობა, ადამიანური რესურსი და პრაქტიკის ობიექტის გამტარუნარიანობა. პროგრამაზე მოთხოვნილია 40 პროფესიული სტუდენტის ზღვრული რაოდენობა. პროგრამის პრაქტიკული სწავლებისთვის გამოყოფილია №3 აუდიტორია — A-C გარემო, რომელშიც განთავსებულია 10 მასაჟის მაგიდა. საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება №4 აუდიტორია — A გარემო. პრაქტიკული სწავლებისას პროფესიული სტუდენტები გადანაწილდებიან შესაბამისი რაოდენობის ჯგუფებსა და ნაკადებში. მოდულის „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ განხორციელებისთვის შპს „მედიკლაბ+ჯორჯიასთან“ გაფორმებული 2026 წლის 7 მაისის №03-07 ხელშეკრულებით პარტნიორი ორგანიზაციის მიერ ერთდროულად მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა განსაზღვრულია 40 პროფესიული სტუდენტით. წარმოდგენილი გაანგარიშებით პროგრამაზე მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა შეესაბამება დაწესებულების სასწავლო სივრცეების, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პარტნიორი ორგანიზაციის შესაძლებლობებს. **ინდიკატორი 2.1.1.3 - პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით - დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ექსპერტთა ჯგუფმა, მათ შორის დარგის ექსპერტმა, პროგრამის მოდულების სწავლის შედეგებთან მიმართებით შეაფასა პროგრამით განსაზღვრული მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები. პროგრამის რესურსების ჩამონათვალი მოიცავს თეორიული სწავლებისთვის საჭირო სასწავლო და სადემონსტრაციო საშუალებებს, მასაჟის ტექნიკის სწავლებისთვის განკუთვნილ ინვენტარსა და მულაჟებს, ასევე კლიენტის მდგომარეობის შეფასების, ჰიგიენის, უსაფრთხოებისა და პირველადი დახმარების სწავლებისთვის საჭირო აღჭურვილობას. პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსები შინაარსობრივად უკავშირდება შესაბამისი მოდულების სწავლის შედეგებს. დარგის ექსპერტის მიერ არ გამოვლენილა ისეთი შეუსაბამობა, რომელიც ხელს შეუშლიდა პროგრამით გათვალისწინებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. აღნიშნული ინდიკატორის ფარგლებში შეფასდა პროგრამით განსაზღვრული რესურსების შესაბამისობა სწავლის შედეგებთან, ხოლო მათი ფაქტობრივი არსებობა და საკმარისობა შეფასებულია 2.2.1.1 ინდიკატორის ფარგლებში. - ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 2.1.1.4 - საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; - დაკმაყოფილებულია.**

space5. პროგრამა ითვალისწინებს არჩევითი სტატუსის მოდულს. დარგის ექსპერტმა შეაფასა არჩევითი მოდულის შინაარსი და მისი კავშირი პროგრამის მიზანთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და კურსდამთავრებულის შესაძლო პროფესიულ საქმიანობასთან. არჩევითი მოდულის სწავლის შედეგები ავსებს პროგრამით გათვალისწინებულ პროფესიულ კომპეტენციებს და არ ცვლის პროგრამის ძირითად მიზანსა და კვალიფიკაციის პროფილს. შესაბამისად, პროგრამაში მისი გათვალისწინება შინაარსობრივად დასაბუთებულია. - ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 2.1.1.5 - საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან; - დაკმაყოფილებულია.**

6. დაწესებულების „დებულებათა კრებულის“ 8.4.7 პუნქტის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება დაწესებულების დირექტორის უფლებამოსილებას განეკუთვნება. დებულების 36-ე და 36² მუხლებით განსაზღვრულია პროგრამის ინიცირების, შემუშავებისა და დასამტკიცებლად წარდგენის პროცედურები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპია“ დამტკიცებულია შპს „ინტერბიზნესის აკადემიის“ დირექტორის 2026 წლის 22 აპრილის №01-14 ბრძანებით. შესაბამისად, პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ, შიდა რეგულაციით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 2.1.1.6 - საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ; - დაკმაყოფილებულია.**space7. პროგრამის სახელწოდებაა „მასაჟის თერაპია“, ხოლო პროგრამის დასრულების შედეგად გაიცემა მეხუთე დონის უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მასაჟის თერაპიაში. პროგრამის პროფესიული მოდულები მოიცავს ადამიანის ანატომიურ-ფიზიოლოგიურ თავისებურებებს, კლიენტის მდგომარეობის შეფასებას, მასაჟის პროცედურის ორგანიზებას, მასაჟის სხვადასხვა მეთოდსა და ტექნიკას, პროფესიულ ეთიკას, ჰიგიენას, უსაფრთხოებასა და პირველად დახმარებას. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს, მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და პროგრამის სწავლის შედეგებს და არ ქმნის დაინტერესებული პირებისთვის მცდარ მოლოდინს პროგრამის შინაარსთან ან დასაქმების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ზემოთ აღნიშნულიდან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამომდინარე, **ინდიკატორი 2.1.1.7 - პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი; - დაკმაყოფილებულია.**

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე. პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების შიდა პროცედურები განსაზღვრულია დაწესებულების „დებულებათა კრებულის“ 36-ე, 36² და 36³ მუხლებით.

პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, დონე, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლების ენა, დაშვების წინაპირობა, მიზანი, სწავლის შედეგები, კრედიტების მოცულობა, სავარაუდო ხანგრძლივობა, დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის სტრუქტურა, შეფასების პირობები და კვალიფიკაციის მინიჭების მოთხოვნები. ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამის მოცულობა შეადგენს 97 კრედიტს, ხოლო იმ პირებისთვის, რომელთაც ქართული ენის მოდულების გავლა ესაჭიროებათ — 127 კრედიტს. პროგრამას ერთვის შესაბამისი სასწავლო გეგმები, მოდულები, ინფორმაცია განმახორციელებელი პერსონალისა და მატერიალური რესურსების შესახებ. სასწავლო გეგმებში დაცულია მოდულების თანამიმდევრობა და წინაპირობები, ხოლო პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის პაკეტის შესწავლის შედეგად არ გამოვლენილა პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან ან პროგრამის შემუშავებისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებთან შეუსაბამობა. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 2.1.1.8 - პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. - დაკმაყოფილებულია.**

space

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპია“, პროგრამის მოდულები და სასწავლო გეგმა;
2. შპს „ინტერბიზნესის აკადემიის“ მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა;
3. დაწესებულების „დებულებათა კრებული“;
4. შპს „ინტერბიზნესის აკადემიის“ დირექტორის 2026 წლის 22 აპრილის №01-14 ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ;
5. შპს ინტერბიზნესის აკადემიის“ დირექტორის 2017 წლის 14 ნოემბრის №01-46 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუქცია“ და დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის №01-13 ბრძანებით განხორციელებული ცვლილება;
6. პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის გაანგარიშება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. შპს „ინტერბიზნესის აკადემიასა“და შპს „მედიკლაბ+ჯორჯიას“ შორის 2026 წლის 7 მაისს გაფორმებული №03-07 ხელშეკრულება და მისი №1 დანართი;
8. პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი;
9. ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპია“, პროგრამის მოდულები, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი, მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის გაანგარიშება. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული სასწავლო გარემოები და შეაფასა მათი შესაბამისობა პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან და მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან.
პროგრამის განხორციელებისთვის აკადემიის მისამართზე — ქ. თბილისი, ქსნის ქუჩა №30 — განსაზღვრულია თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის განკუთვნილი გარემოები. პრაქტიკული სწავლებისთვის გამოიყენება №3 აუდიტორია — A-C გარემო, სადაც განთავსებულია 10 მასაჟის მაგიდა და შესაბამისი ინვენტარი. სასწავლო პროცესის ორგანიზების მიზნით დაწესებულება ასევე ითვალისწინებს №4 აუდიტორიის — A გარემოს გამოყენებას, მათ შორის ზოგადი მოდულის „მეწარმეობა“ განხორციელებისთვის.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნული გარემოს დათვალიერებისას დადგინდა, რომ №4 აუდიტორია (A გარემო) ვიზიტის პერიოდში არ იყო სრულად მოწყობილი პროგრამით განსაზღვრული მატერიალური რესურსების შესაბამისად, ვინაიდან დაწესებულებაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოები დასრულებული არ იყო. კერძოდ, გარემო არ იყო აღჭურვილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობისთვის გათვალისწინებული სამუშაო ადგილებით (მაგიდა, სკამი) და სხვა საჭირო რესურსებით. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო სივრცის გამოყენების დაგეგმვის შესაძლებლობა, ვიზიტის მომენტში არსებული მდგომარეობა სრულად ვერ ადასტურებდა აღნიშნული სასწავლო გარემოს მზადყოფნას.
ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეაფასა მოდულით „ადრეული ასაკის ბავშვთა გამაჯანსაღებელი, სამკურნალო მასაჟი და მოძრაობები“ განსაზღვრული მატერიალური რესურსების შესაბამისობა. პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო იყო 20 ჩვილი ბავშვის მულაჟი. ვიზიტის დროს დაწესებულებაში ფიზიკურად ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ 10 მულაჟი. დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს დამატებით წარუდგინა 10 მულაჟის შეძენისა და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები, თუმცა ვიზიტის პერიოდში აღნიშნული რესურსი დაწესებულებაში ფაქტობრივად არ იყო წარმოდგენილი.
ექსპერტთა ჯგუფი ითვალისწინებს, რომ პროგრამა დამატების ეტაპზე იმყოფებოდა და მისი განხორციელება ჯერ დაწყებული არ იყო, ასევე ითვალისწინებს წარმოდგენილ შესყიდვის დამადასტურებელ დოკუმენტაციას. თუმცა, ინდიკატორის შეფასებისას არსებითია არა მხოლოდ რესურსის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეძენის ფაქტის დადასტურება, არამედ პროგრამის განხორციელების დაწყების მომენტისთვის შესაბამისი მატერიალური რესურსის ფაქტობრივი ხელმისაწვდომობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსები, თავდაპირველი შეფასების ეტაპზე, სრულად ვერ უზრუნველყოფდა პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის (40 პროფესიული სტუდენტი) ფარგლებში პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი პირობების არსებობის დადასტურებას. კერძოდ, ვერ დასტურდებოდა A გარემოს სრულად აღჭურვა და პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო რესურსების, მათ შორის, ჩვილი ბავშვის მულაჟების, ფაქტობრივი ხელმისაწვდომობა.

დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ეტაპზე წარმოადგინა დამატებითი მტკიცებულებები — ვიდეო და ფოტომასალა, რომლის საფუძველზეც დასტურდება, რომ C გარემოში დამატებით განთავსებულია 10 ჩვილი ბავშვის მულაჟი, ხოლო A გარემო აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები ასახავს დაწესებულების მიერ განხორციელებულ ცვლილებებს, თუმცა, მოცემული ინდიკატორის ფარგლებში, დაწესებულებას არ წარმოუდგენია სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, ღონისძიებების აღწერა, რომელიც განსაზღვრავდა გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრის კონკრეტულ ნაბიჯებს, პასუხისმგებელ პირებსა და განხორციელების ვადებს. შესაბამისად, წარმოდგენილი დამატებითი მტკიცებულებების მიუხედავად, ექსპერტთა ჯგუფს არ მიეცა საკმარისი საფუძველი მოცემულ ინდიკატორთან მიმართებით შეფასების ცვლილებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის შეფასება მოცემულ ინდიკატორთან მიმართებით უცვლელი რჩება. შესაბამისად, **ინდიკატორი 2.2.1.1 - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; - არ არის დაკმაყოფილებული.**

2. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ ინფორმაცია, პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები, მათთან გაფორმებული შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებები და პროგრამის სასწავლო გეგმა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ ინფორმაცია — პროგრამისთვის განსაზღვრულია სულ 19 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 10 პირი პროფესიული მოდულების, ხოლო 9 პირი ზოგადი მოდულების განხორციელებაშია ჩართული. პროფესიული მიმართულების ძირითადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის ან/და პრაქტიკული გამოცდილების მქონე რამდენიმე პირი. ცალკეული პროფესიული მოდულისთვის განსაზღვრულია ორი ან მეტი განმახორციელებელი, რაც ამცირებს კონკრეტულ პირზე პროგრამის განხორციელების დამოკიდებულებას და უზრუნველყოფს მასწავლებლის დროებითი არყოფნის ან სხვა ობიექტური გარემოების წარმოშობის შემთხვევაში სასწავლო პროცესის უწყვეტობის შენარჩუნებას. პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა განისაზღვრება მათთან გაფორმებული ხელშეკრულებებისა და პროგრამის სასწავლო გეგმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საფუძველზე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი დატვირთვის მონაცემების მიხედვით, მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. დატვირთვის განსაზღვრისას გათვალისწინებულია არა მხოლოდ საკონტაქტო საათები, არამედ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საქმიანობებიც. პროფესიული განათლების მასწავლებელთა საქმიანობის ძირითადი პირობები რეგულირდება დაწესებულების „შრომის შინაგანაწესით“, „პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობით“ და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებებით. დაწესებულების დებულებათა კრებულის 32-ე მუხლით განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლის სტატუსი და მისი მონაწილეობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის წარმართვაში. ვიზიტის ფარგლებში ადმინისტრაციასთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა მათი მზაობა პროგრამის განხორციელებაში ჩართვისთვის. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრული მასწავლებლების რაოდენობა, პროფესიული მოდულების განმახორციელებელთა განაწილება და მათი დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 2.2.1.2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას; - დაკმაყოფიებულია.**

3. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები, მათ შორის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები, სერტიფიკატები, პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები, ავტობიოგრაფიები და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები. დარგის ექსპერტმა შეაფასა თითოეული განმახორციელებლის კვალიფიკაციისა და პროფესიული გამოცდილების შესაბამისობა მათთვის განსაზღვრული მოდულების შინაარსსა და სწავლის შედეგებთან.

პროფესიული მიმართულების მოდულების განხორციელებაში ჩართული არიან სამედიცინო განათლების, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის, მასაჟისა და სხვა შესაბამისი მიმართულებების სპეციალისტები. კერძოდ, პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული არიან ექიმი, ექიმი-ჰიგიენისტი, მედიცინის აკადემიური დოქტორი, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სპეციალისტი, მასაჟისტ-რეაბილიტატორი, ზოგადი პროფილის ექთანი და მასაჟის სფეროში შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირები.

მაგალითად, მოდულების „მასაჟის ანატომიურ-ფიზიოლოგიური საფუძვლები“, „პაციენტის/კლიენტის მდგომარეობის შეფასება“ და „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ განხორციელებაში ჩართულია თათია კაციტაძე, რომლის კომპეტენცია დასტურდება სამედიცინო განათლებითა და შესაბამისი დოკუმენტებით; პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართული ნანი გორდიაშვილის კომპეტენცია დასტურდება ექიმი-ჰიგიენისტის კვალიფიკაციითა და პროფესიული გამოცდილებით; მიხეილ სურამელაშვილის კომპეტენცია — ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მიმართულების კვალიფიკაციით; ლუბა გიორგობიანის კომპეტენცია — მედიცინის აკადემიური დოქტორის ხარისხითა და პროფესიული გამოცდილებით, ხოლო სოფიო ბინიაშვილის კომპეტენცია — მასაჟისტ-რეაბილიტატორისა და ზოგადი პროფილის ექთნის კვალიფიკაციით.

იმ პირების შემთხვევაში, რომელთა შესაბამისობა კონკრეტულ მოდულთან ძირითადად პროფესიულ გამოცდილებას ეფუძნება, პირად საქმეებში დაცულია სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები და შესაბამისი სერტიფიკატები. აღნიშნული უზრუნველყოფს თითოეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმახორციელებლის კომპეტენციის არა მხოლოდ ფორმალური განათლების, არამედ მოდულის კონკრეტულ სწავლის შედეგებთან დაკავშირებული პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე შეფასებას. ვიზიტის ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუებისას დადასტურდა, რომ განმახორციელებელ პირებს გააზრებული აქვთ მათთვის განსაზღვრული მოდულების მიზნები, სწავლის შედეგები და შეფასების მოთხოვნები. წარმოდგენილი პირადი საქმეების, პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ერთობლიობით დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი სწავლის შედეგების შეფასების კომპეტენცია. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 2.2.1.3 - პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; - დაკმაყოფილებულია.**

4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „მასაჟის თერაპია“ ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული პროგრამის ხელმძღვანელი. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა „საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების დანიშვნის აქტი“, პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მისი ფუნქციების განმსაზღვრელი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები. პროგრამის ხელმძღვანელის განათლება და პროფესიული გამოცდილება შეესაბამება პროგრამის დარგობრივ მიმართულებას. პირად საქმეში დაცული დოკუმენტებით დასტურდება მისი დარგობრივი კომპეტენცია და პროფესიული გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელი უშუალოდ იყო ჩართული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების, პროგრამის რესურსების განსაზღვრისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევის პროცესში. დაწესებულების „დებულებათა კრებულის“ 31[1] მუხლი განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის წესსა და ფუნქციებს. აღნიშნული მუხლის თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროგრამისა და სასწავლო გეგმის ადაპტირება-შემუშავებაში, განმახორციელებელი პერსონალისა და საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრაში, სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაში, დარგობრივი სიახლეების გაცნობა-დანერგვასა და შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესში. ვიზიტის ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად დადასტურდა მისი ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრასა და განმახორციელებელი პერსონალის შერჩევაში. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროგრამის შინაარსის, რესურსებისა და განხორციელების სპეციფიკის შესახებ სათანადო ცოდნა და შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 2.2.1.4 - საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი; - დაკმაყოფილებულია**

5. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები, დაწესებულების საბიბლიოთეკო კატალოგი და ელექტრონული რესურსები. ვიზიტის ფარგლებში დათვალიერდა დაწესებულების ბიბლიოთეკა და გადამოწმდა პროგრამისთვის განსაზღვრული რესურსების ხელმისაწვდომობა. დაწესებულების „დებულებათა კრებულის“ V თავი — „ბიბლიოთეკის დებულება“ — განსაზღვრავს ბიბლიოთეკის ფუნქციებსა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს. დებულების მე-14–მე-16 მუხლების თანახმად, ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო ფონდის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ორგანიზებას, შევსებასა და დამუშავებას, რესურსების გაციფრულებას და პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მომსახურებას.

პროგრამის მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია მატერიალური ან ელექტრონული სახით. გაციფრულებული და თავისუფალი გამოყენებისთვის დაშვებული რესურსები განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდის ელექტრონული წიგნების შესაბამის განყოფილებაში. ის მასალები, რომელთა საჯაროდ განთავსება საავტორო უფლებებთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო შეუძლებელია, ხელმისაწვდომია უშუალოდ დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური ან ელექტრონული ფორმით.

ვინაიდან „მასაჟის თერაპიის“ პროგრამა დამატების ეტაპზეა და მასზე სასწავლო პროცესი ჯერ არ დაწყებულა, პროგრამის პროფესიული სტუდენტების მიერ რესურსების ფაქტობრივი გამოყენების მონაცემები ვერ იარსებებდა. ამასთან, ბიბლიოთეკის კატალოგის, არსებული რესურსებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია და დაგეგმილია მათი სასწავლო პროცესში გამოყენება. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 2.2.1.5. - საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში; - დაკმაყოფილებულია.**

6. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ სსსმ პირებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და საგანმანათლებლო რესურსის ადაპტირების მარეგულირებელი მექანიზმები. დაწესებულების „დებულებათა კრებულის“ 51[1] მუხლით — „ინდივიდუალური სასწავლო გეგმა“ — განსაზღვრულია სსსმ პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საფუძვლები, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა და გეგმის ძირითადი კომპონენტები. აღნიშნული მუხლის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო საჭიროებებს, ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, სწავლების სტრატეგიებს, სასწავლო აქტივობებს, გამოსაყენებელ სახელმძღვანელოებსა და დამატებით საგანმანათლებლო მასალას, ასევე საჭიროების შემთხვევაში დამატებით ტექნიკურ რესურსს. საგანმანათლებლო რესურსის ადაპტირება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად.

„პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობითა“ და მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით ასევე განსაზღვრულია მათი ვალდებულება, საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობა მიიღონ მოდულისა და საგანმანათლებლო რესურსის მოდიფიკაციის ან აკომოდაციისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სსსმ პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროების გამოვლენისა და შესაბამისი სასწავლო რესურსის ადაპტირების მექანიზმი. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ კონკრეტული საჭიროების წარმოშობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს მიეცეს პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ რესურსებზე წვდომის შესაძლებლობა. - ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 2.2.1.6 - სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; - დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი, „მასაჟის თერაპიის პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი“. ბიუჯეტი მოიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემოსავლებსა და ძირითად ხარჯებს, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებელთა ანაზღაურების, პრაქტიკული კომპონენტის, ადმინისტრაციული, მატერიალური, საბიბლიოთეკო და სხვა საოპერაციო ხარჯების ნაწილს. წარმოდგენილი გაანგარიშებით, დაგეგმილი შემოსავლები ფარავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. პროგრამის რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 18 პროფესიული სტუდენტით, რაც ახლოსაა ბიუჯეტით გათვალისწინებულ 20-სტუდენტიან ჯგუფთან და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის შემცირების შემთხვევაში ფინანსური რისკის მიმართ პროგრამის მგრძნობელობას ზრდის. ამასთან, რენტაბელობის ზღვარი ნაკლებია როგორც ბიუჯეტით გათვალისწინებულ ჯგუფზე, ისე პროგრამაზე მოთხოვნილ 40-სტუდენტიან ზღვრულ რაოდენობაზე. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა, რომ ავტორიზაციის სტანდარტი რენტაბელობის ზღვრის კონკრეტულ მაქსიმალურ მაჩვენებელს არ ადგენს. წარმოდგენილი ბიუჯეტით პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ძირითადი ხარჯები გათვალისწინებულია, ხოლო დაგეგმილი შემოსავლები უზრუნველყოფს მათ დაფარვას. შესაბამისად, რენტაბელობის ზღვრის შედარებით მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად, წარმოდგენილი მონაცემებით პროგრამის ფინანსური მდგრადობის გამომრიცხავი გარემოება არ გამოვლენილა. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 2.2.1.7 - პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. - დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპია“ და პროგრამის მოდულები;

2. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ ინფორმაცია“;

3. „პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი“;

4. შპს „ინტერბიზნესის აკადემიის“ დირექტორის 2017 წლის 14 ნოემბრის №01-46 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუქცია“ და დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის №01-13 ბრძანებით განხორციელებული ცვლილება;

5. შპს „ინტერბიზნესის აკადემიასა“ და შპს „მედიკლაბ+ჯორჯიას“ შორის 2026 წლის 7 მაისს გაფორმებული №03-07 ხელშეკრულება და ხელშეკრულების №1 დანართი;

6. დამატებითი 10 ჩვილი ბავშვის მულაჟის შეძენისა და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებები;

8. დაწესებულების „დებულებათა კრებული";

9. ბიბლიოთეკის კატალოგი და ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები;

10. მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

11. პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო გარემოს დათვალიერების შედეგები;

12. დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**
☐ **მეტწილად შეესაბამება**
☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**
☒ **არ შეესაბამება**

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შპს „ინტერბიზნესის აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც დამტკიცებულია შპს „ინტერბიზნესის აკადემიის“ დირექტორის 2017 წლის 9 ნოემბრის №01-44 ბრძანებით და რომელშიც შემდგომ წლებში შეტანილია ცვლილებები, მათ შორის, დირექტორის 2025 წლის 16 მაისის №01-20 ბრძანებით. დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება „დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე“ ციკლს და მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო პროცესის, ადამიანური და მატერიალური რესურსებისა და დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების შეფასებას. პროგრამის შეფასებისას გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების უკუკავშირი. მექანიზმით ასევე განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების, პროგრამაზე რეგისტრაციის, ჩარიცხვისა და კურსდამთავრებულთა რაოდენობის, პრაქტიკის ობიექტზე დასაქმებისა და პროგრამის პროფილით დასაქმების მაჩვენებლების შესწავლა. შრომის ბაზართან პროგრამის შესაბამისობის შეფასების მიზნით გათვალისწინებულია დამსაქმებელთა გამოკითხვა. დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების მისაღებად დაწესებულება იყენებს კითხვარებს, ფოკუს-ჯგუფებსა და ინტერვიუებს. აღნიშნული მონაცემების ერთობლივი ანალიზი დაწესებულებას შესაძლებლობას აძლევს, პროგრამის განხორციელება შეაფასოს როგორც სასწავლო პროცესის ხარისხის, ისე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. „მასაჟის თერაპიის“ პროგრამა დამატების ეტაპზეა, შესაბამისად, ამ პროგრამის განხორციელებისა და შედეგების შეფასების სრული ციკლი ჯერ არ ჩატარებულა. თუმცა ვიზიტის ფარგლებში ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენელთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუებით დადასტურდა, რომ პროგრამის შეფასება განხორციელდება დაწესებულებაში მოქმედი ერთიანი მექანიზმის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს პროგრამის განვითარებისათვის მნიშვნელოვან რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემებს, შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს, რაც ქმნის პროგრამის შემდგომი შეფასებისა და განვითარების საფუძველს.

ინდიკატორი 2.3.1.1. - პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.; - დაკმაყოფილებულია.

2. „შპს ინტერბიზნესის აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ მე-4 მუხლით განსაზღვრულია პროგრამის შეფასებისას გამოსაყენებელი რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლები, მონაცემების ანალიზზე პასუხისმგებელი პირები და შეფასების შედეგებზე შემდგომი რეაგირების წესი. პროგრამის შეფასებას ახორციელებს ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსთან თანამშრომლობით. შეფასებისას ერთმანეთს უდარდება პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისგან მიღებული ინფორმაცია, აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა მონაცემები. შიდა და გარე შეფასების შედეგების საფუძველზე შესაბამისი სამსახურები შეიმუშავებენ რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელებისა და სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად. სასწავლო პროცესის მიმდინარე შეფასებისთვის მექანიზმი ითვალისწინებს მეცადინეობებზე დასწრებას, შიდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონიტორინგის დაკვირვების ფურცლის გამოყენებას, პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლების გამოკითხვას და აკადემიური მოსწრების ანალიზს. საჭიროების შემთხვევაში კითხვარებით მიღებული ინფორმაცია ზუსტდება ფოკუს-ჯგუფებისა და დამსაქმებლებთან კომუნიკაციის გზით. პროგრამის შეფასების საფუძველზე ცვლილებების განხორციელების წესი განსაზღვრულია დაწესებულების „დებულებათა კრებულის“ 36[11] მუხლით — „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა/ინიცირება“. აღნიშნული მუხლის შესაბამისად, პროგრამაში ცვლილების შეტანის საფუძველი შეიძლება გახდეს პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზი, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში შეტანილი ცვლილება ან სხვა გამოვლენილი გარემოება. შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლებელია გადაიხედოს მოდულების თანმიმდევრობა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტები და საგანმანათლებლო რესურსები.

პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში ცვლილების შემთხვევაში პროგრამის შესაბამისობაში მოყვანას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, რომელიც შესაბამის საკითხს დასამტკიცებლად წარუდგენს დაწესებულების დირექტორს. ვინაიდან „მასაჟის თერაპიის“ პროგრამაზე სასწავლო პროცესი ჯერ არ დაწყებულა, პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგები და მათ საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები შეფასების ეტაპზე ვერ იარსებებდა. ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზის, რეკომენდაციების შემუშავებისა და პროგრამაში ცვლილებების შეტანის თანამიმდევრული პროცედურა.**ინდიკატორი 2.3.1.2. - პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. - დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. „შპს ინტერბიზნესის აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, დამტკიცებული დირექტორის 2017 წლის 9 ნოემბრის №01-44 ბრძანებით; ცვლილებები: №01-22, 24.06.2020; №01-10, 16.02.2021; №01-23, 04.06.2024 და №01-20, 16.05.2025;
2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით განსაზღვრული შეფასებისა და შიდა მონიტორინგის ფორმები;
3. შპს „ინტერბიზნესის აკადემიის“ „დებულებათა კრებული“, მათ შორის 36[11] მუხლი — „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა/ინიცირება“;
4. პასუხისმგებელ პირებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ **მეტწილად შეესაბამება**
☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**
☐ **არ შეესაბამება**

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპია“, პროგრამის სასწავლო გეგმები და მოდულები. პროგრამას ერთვის სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის. გეგმებში ასახულია მოდულების განხორციელების თანამიმდევრობა, წინაპირობები, კრედიტები, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები. მოდულები განაწილებულია ლოგიკური თანამიმდევრობით და დაცულია მათზე დაშვების წინაპირობები. პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების განმარტებით, სასწავლო გეგმის საფუძველზე მომზადდება კალენდარული გეგმები და სასწავლო ცხრილები. ვინაიდან პროგრამის განხორციელება ჯერ არ დაწყებულა, ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესაბამისობა პროგრამასა და სასწავლო გეგმასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პროგრამის განხორციელება დაგეგმილია დამტკიცებული სასწავლო გეგმის შესაბამისად. **ინდიკატორი 2.4.1.1. - პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად; - დაკმაყოფილებულია.**

2.დაწესებულების „დებულებათა კრებულის“ XI და XI[1] თავებით რეგულირდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეჩერება და შეწყვეტა, მობილობა, ფორმალური განათლების აღიარება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, დამატებითი შეფასება, აპელაცია და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები. დადგენილი პროცედურები დაწესებულებას აძლევს შესაძლებლობას, პროფესიული სტუდენტის საჭიროებიდან გამომდინარე შეცვალოს მისი ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვა, აღიაროს მიღწეული სწავლის შედეგები და საჭიროების შემთხვევაში შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ადმინისტრაციასთან და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუებით გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა დასაქმება, ტრანსპორტთან დაკავშირებული საკითხები და სხვა გარემოებები, რომლებიც შესაძლოა გავლენას ახდენდეს სასწავლო პროცესში მათ მონაწილეობაზე.

აღნიშნული პროცედურები ქმნის პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებისა და მათი შემხვედრი საჭიროებების შესაბამისად რეაგირებისშესაძლებლობას. **ინდიკატორი 2.4.1.2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; - დაკმაყოფილებულია.**

3. პროგრამის მოდულებში გათვალისწინებულია სწავლების სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის ინტერაქტიული ლექცია, დემონსტრირება, პრაქტიკული ვარჯიში, სიტუაციური დავალება, განხილვა და დამოუკიდებელი მუშაობა. მეთოდები შეესაბამება მოდულების შინაარსსა და მისაღწევ სწავლის შედეგებს. სასწავლო გარემოებში განთავსებულია კომპიუტერული და სადემონსტრაციო ტექნიკა. პრაქტიკული სწავლება განხორციელდება პროგრამის შესაბამისი აღჭურვილობისა და მულაჟების გამოყენებით. დაწესებულებას დირექტორის 2020 წლის 18 ივნისის №01-18 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „დისტანციური სწავლების ინსტრუქცია“, რომელშიც ცვლილება ბოლოს შეტანილია 2026 წლის 16 იანვრის №01-01 ბრძანებით. პროგრამას ასევე ერთვის „პროგრამის ან პროგრამის კომპონენტის სრულად დისტანციური ან ნაწილობრივ დისტანციური ფორმით განხორციელების შესაძლებლობის დასაბუთება“. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, ხუთი მოდულის გარკვეული კომპონენტების განხორციელება დაგეგმილია ნაწილობრივ დისტანციური ფორმით. არცერთი მოდული არ განხორციელდება სრულად დისტანციურად, ხოლო ყველა სწავლის შედეგის შეფასება ჩატარდება დაწესებულებაში. ნაწილობრივ დისტანციური სწავლებისთვის დაწესებულება გამოიყენებს Zoom-ის ლიცენზირებულ პლატფორმას. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაგეგმილი სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას. პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის შენარჩუნებულია პირისპირ სწავლება და შესაბამისი პრაქტიკული გარემოს გამოყენება. ინტერვიუში მონაწილე პროფესიული განათლების მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ აქვთ დისტანციური სწავლების გამოცდილება და ფლობენ Zoom-ის გამოყენებისთვის საჭირო ციფრულ უნარებს, რაც ქმნის პროგრამით განსაზღვრული კომპონენტების ნაწილობრივ დისტანციური ფორმით განხორციელების შესაძლებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.4.1.3 სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას; - დაკმაყოფილებულია.

4.დაწესებულების „დებულებათა კრებულის“ 51[1] მუხლით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შემთხვევები და პროცედურა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო საჭიროებები, შესაძლებლობები და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის გზები. გეგმის შემუშავებაში მონაწილეობს პროფესიული სტუდენტი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — მისი კანონიერი წარმომადგენელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, შესაბამისი ადმინისტრაციული პერსონალი და მოწვეული სპეციალისტი. ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით შესაძლებელია სწავლების მეთოდების, სასწავლო აქტივობების, რესურსებისა და შეფასების მიდგომების აკომოდაცია. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებაშიმოქმედი პროცედურა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.4.1.4 - პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები; - დაკმაყოფილებულია.**

5. მოდულის „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ განხორციელებისთვის შპს „ინტერბიზნეს აკადემიასა“ და შპს „მედიკლაბ+ჯორჯიას“ შორის 2026 წლის 7 მაისს გაფორმებულია №03-07 ხელშეკრულება. ხელშეკრულებით განსაზღვრულია თანამშრომლობის საგანი, პარტნიორი ორგანიზაციის მისამართი, განსახორციელებელი მოდული, მხარეთა უფლებები და ვალდებულებები, ერთდროულად მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ვალდებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა. ხელშეკრულებას ერთვის მოდულის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელთან ინტერვიუებით დადასტურდა თანამშრომლობის მზაობა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობა. წარმოდგენილი ხელშეკრულება და მისი დანართი ქმნის პარტნიორ ორგანიზაციაში პროგრამის შესაბამისი კომპონენტის განხორციელების სათანადო საფუძველს. **ინდიკატორი2.4.1.5-პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით; - დაკმაყოფილებულია.**

6. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროგრამისთვის განკუთვნილი სასწავლო გარემო. სივრცე იძლევა პრაქტიკული მეცადინეობების უსაფრთხოდ ორგანიზების, მასაჟის მაგიდებთან გადაადგილებისა და შესაბამისი ინვენტარის გამოყენების შესაძლებლობას.

დაწესებულების „დებულებათა კრებულის“ 21.9 მუხლით განსაზღვრულია უსაფრთხოების სამსახურის ფუნქციები, მათ შორის უსაფრთხო სასწავლო გარემოს, სახანძრო უსაფრთხოებისა და საჭიროების შემთხვევაში პირველადი დახმარების უზრუნველყოფა. შენობაში განთავსებულია საევაკუაციო გეგმები, ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და პირველადი დახმარების საშუალებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასალა-ნედლეულის შეძენა, შენახვა და აღრიცხვა რეგულირდება „დებულებათა კრებულის“ 34[1] მუხლით. პროგრამის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტების ინფორმირება შრომის უსაფრთხოების, ჰიგიენისა და პრაქტიკული აღჭურვილობის გამოყენების წესების შესახებ. შპს „მედიკლაბ+ჯორჯიასთან“ გაფორმებული №03-07 ხელშეკრულება პარტნიორ ორგანიზაციას ავალდებულებს, უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტებისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემო და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას ახალ მისამართზე ჯერ არ ჰქონდა მოპოვებული შენობის სახანძრო უსაფრთხოების დადებითი დასკვნა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. აღნიშნული გარემოებები დაკავშირებულია დაწესებულების საერთო ინფრასტრუქტურულ უსაფრთხოებასთან და შეფასებულია მეხუთე სტანდარტის შესაბამისი ინდიკატორების ფარგლებში. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე უსაფრთხო სწავლების ორგანიზებისთვის საჭირო შიდა პროცედურები და პირობები განსაზღვრულია. შესაბამისად, მეხუთე სტანდარტის ფარგლებში გამოვლენილი ინფრასტრუქტურული საკითხების გათვალისწინებით, **ინდიკატორი 2.4.1.6 - სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით - დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. *შპს „ინტერბიზნესის აკადემიის“ „დებულებათა კრებული“;*
2. *„დისტანციური სწავლების ინსტრუქცია“, დამტკიცებული დირექტორის 2020 წლის 18 ივნისის №01-18 ბრძანებით; ცვლილება — დირექტორის 2026 წლის 16 იანვრის №01-01 ბრძანება;*
3. *შპს „ინტერბიზნეს აკადემიასა“ და შპს „მედიკლაბ+ჯორჯიას“ შორის 2026 წლის 7 მაისს გაფორმებული №03-07 ხელშეკრულება და მისი №1 დანართი;*
4. *პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსებისა და სასწავლო გარემოს შესახებ ინფორმაცია;*
5. *პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული სასწავლო გარემოს დათვალიერების შედეგები;*
6. *ადმინისტრაციის, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელთან ინტერვიუს შედეგები.*

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა განსაზღვრულია დაწესებულების „დებულებათა კრებულის“ 41[1].1 მუხლით — „პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება“. დოკუმენტით გამიჯნულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმსაზღვრელი შეფასება ეფუძნება კომპეტენციების დადასტურებას და ითვალისწინებს შედეგებს — „დადასტურდა“ ან „ვერ დადასტურდა“.

პროფესიულ სტუდენტს წინასწარ მიეწოდება ინფორმაცია შეფასების პირობების, კრიტერიუმების, განმეორებითი შეფასებისა და შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ. უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს აქვს დამატებით შეფასებაზე გასვლის უფლება, ხოლო შეფასებასთან უთანხმოების შემთხვევაში — შედეგის გასაჩივრების შესაძლებლობა. თეორიული კომპონენტის შეფასებისთვის დაწესებულება იყენებს ლიცენზირებულ ელექტრონულ პლატფორმას. პრაქტიკული კომპეტენციების შეფასება განხორციელდება მოდულით განსაზღვრული პრაქტიკული დავალებისა და შეფასების ფურცლების გამოყენებით. წარმოდგენილი რეგულაციები და შეფასების პროცესის დაგეგმილი ორგანიზება უზრუნველყოფს შეფასების პირობების წინასწარ განსაზღვრას, პროფესიულ სტუდენტთა თანაბარ პირობებში შეფასებასა და მიღებული გადაწყვეტილების გადამოწმების შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.4.2.1. - პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური; - დაკმაყოფილებულია.

2.ვერიფიკაციის პროცესი განსაზღვრულია „შპს ინტერბიზნესის აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ II თავით — „შიდა მონიტორინგის ინსტრუქცია“. დოკუმენტის მე-11 მუხლის მიხედვით, ვერიფიკაცია ხორციელდება შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შექმნილი მტკიცებულებების მიმართულებით. შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივ ვალიდაციას ახორციელებს შესაბამისი დარგის სპეციალისტი, ხოლო პროცესისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციას — ხარისხის მართვის სამსახური ან დირექტორის ბრძანებით შექმნილი შიდა მონიტორინგის ჯგუფი. ვერიფიკაციის პროცესში არ ერთვება პირი, რომელიც შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში მონაწილეობდა. ვერიფიკაცია ეფუძნება შერჩევითობისა და რისკების შეფასების პრინციპს. შედეგები აისახება დასკვნაში, რომელშიც აღიწერება გამოვლენილი გარემოებები და საჭიროების შემთხვევაში განისაზღვრება გაუმჯობესების ღონისძიებები. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, განსაზღვრული მექანიზმი იძლევა შეფასების ინსტრუმენტების, პროცესისა და მტკიცებულებების სანდოობისა და შესაბამისობის შემოწმების შესაძლებლობას.space**ინდიკატორი 2.4.2.2 - პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს; - დაკმაყოფილებული.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტების აღრიცხვისა და შენახვის პირობები განსაზღვრულია დაწესებულების „დებულებათა კრებულის“ 24.8.12 და 24.8.13 პუნქტებით. განმსაზღვრელი შეფასების მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში შეფასების უწყისის გაფორმებიდან სამი წლის განმავლობაში. ვადის გასვლის შემდეგ მტკიცებულებები ნადგურდება შესაბამისი აქტის საფუძველზე. შეფასების შედეგები აღირიცხება ელექტრონულ რეესტრში, რომელშიც ასახულია პროგრამა, მოდული, პროფესიული სტუდენტი, მტკიცებულების შენახვის ადგილი და შეფასების შედეგი.ელექტრონული პლატფორმით ჩატარებული შეფასების შედეგები ინახება ელექტრონულად, ხოლო პრაქტიკული და პლატფორმის გარეშე ჩატარებული შეფასების მტკიცებულებები — მატერიალური ან შესაბამისი ელექტრონული ფორმით. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებაში განსაზღვრულია შეფასების მტკიცებულებების იდენტიფიცირების, აღრიცხვის, შენახვისა და განადგურების სათანადო წესი.**ინდიკატორი 2.4.2.3. - პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; - დაკმაყოფილებულია.**

4. „დებულებათა კრებულის“ 41[1].1 მუხლით გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტისთვის შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებული უკუკავშირის მიწოდება. ელექტრონული პლატფორმით შეფასების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი ეცნობა მიღებულ შედეგსა და დაშვებულ შეცდომებს, ხოლო სხვა ფორმით ჩატარებული შეფასებისას უკუკავშირს აწვდის პროფესიული განათლების მასწავლებელი პერსონალური მონაცემების დაცვის მოთხოვნების შესაბამისად. განმავითარებელი შეფასება გამოიყენება პროფესიული სტუდენტის პროგრესისა და დამატებითი საჭიროებების გამოსავლენად. შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში სტუდენტს აქვს დამატებითი შეფასებით სარგებლობის შესაძლებლობა და ეძლევა ინფორმაცია იმ საკითხების შესახებ, რომლებზეც მუშაობა უნდა გააგრძელოს. ვინაიდან პროგრამის განხორციელება ჯერ არ დაწყებულა, კონკრეტულად ამ პროგრამის პროფესიული სტუდენტებისთვის მიცემული უკუკავშირის პრაქტიკა ვერ შეფასდებოდა. თუმცა დაწესებულებაში მოქმედი წესი და სხვა პროგრამების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები ადასტურებს, რომ შეფასების შედეგები გამოიყენება პროფესიული სტუდენტის შემდგომი განვითარების მხარდასაჭერად.

ინდიკატორი 2.4.2.4 - პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. - დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. *შპს „ინტერბიზნესის აკადემიის“ „დებულებათა კრებული“;*
2. *„შპს ინტერბიზნესის აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;*
3. *ვერიფიკაციის გეგმა, ვერიფიკაციის დასკვნის ფორმა და შესაბამისი შიდა მონიტორინგის დოკუმენტები;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. შეფასების უწყისისა და განმსაზღვრელი შეფასების შედეგების ელექტრონული აღრიცხვის ფორმები;

5. ელექტრონული შეფასების პლატფორმის შესყიდვისა და მოდიფიცირების დამადასტურებელი დოკუმენტები;

6. ელექტრონული შეფასების პლატფორმის დათვალიერების შედეგები;

7. ხარისხის მართვისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურების წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ **მეტწილად შეესაბამება**

☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**

☐ **არ შეესაბამება**

პროგრამის სახელწოდება	ენერგომენეჯმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ენერგომენეჯმენტში; Higher Vocational Qualification in Energy Management
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0712
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძ.N01-14; 22.04.2026წ
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, ქსანის ქ.30
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	50
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	25
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-

შპს „ინტერბიზნესის აკადემიას“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ენერგომენეჯმენტი“ მოთხოვნილი აქვს 50 პროფესიული სტუდენტის ზღვრული რაოდენობა. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამა, სასწავლო გეგმა, სწავლის შედეგების განხორციელების განაწილება და პრაქტიკული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან გაფორმებული ხელშეკრულება. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგის — „შეაფასოს ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენების შესაძლებლობები და ეფექტიანობა“ — მიღწევა გათვალისწინებულია რეალურ სამუშაო გარემოში.

აღნიშნული სწავლის შედეგის პრაქტიკულ გარემოში განხორციელების მიზნით აკადემიას შპს „ესკო-ესთან“ გაფორმებული აქვს 2026 წლის 14 აპრილის №03-04 ხელშეკრულება. ხელშეკრულების 2.1 პუნქტის თანახმად, პარტნიორი ორგანიზაცია იღებს ვალდებულებას პრაქტიკის განხორციელების მიზნით ერთდროულად მიიღოს არაუმეტეს 25 პროფესიული სტუდენტისა. დაწესებულებას არ წარმოუდგენია დამატებით პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება ან სხვა მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა დამატებით 25 პროფესიული სტუდენტისათვის აღნიშნული სავალდებულო სწავლის შედეგის შესაბამის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევის შესაძლებლობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციით ასევე არ დასტურდება ისეთი ორგანიზაციული მიდგომა, რომელიც 50 პროფესიული სტუდენტისათვის პრაქტიკული კომპონენტის სრულფასოვან განხორციელებას პარტნიორის მიერ განსაზღვრული რაოდენობრივი შეზღუდვის დაცვით უზრუნველყოფდა. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას, არსებითია არა მხოლოდ დაწესებულების შიდა სასწავლო და მატერიალური რესურსი, არამედ პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სავალდებულო სწავლის შედეგის ყველა პროფესიული სტუდენტისათვის მიღწევის შესაძლებლობა. ვინაიდან წარმოდგენილი ხელშეკრულებით პრაქტიკის ობიექტის შესაძლებლობა დასტურდებოდა 25 პროფესიული სტუდენტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფი ვერ დაეთანხმა დაწესებულების მიერ მოთხოვნილ 50-სტუდენტიან ზღვრულ რაოდენობას. შესაბამისად, წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრულ რაოდენობად განისაზღვრა 25 პროფესიული სტუდენტი. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ეტაპზე წარმოადგინა დამატებითი მტკიცებულება, კერძოდ, შპს „ესკო-ესთან“ გაფორმებული ხელშეკრულების დანართი/შეთანხმება, დათარიღებული 2026 წლის 3 აგვისტოთი. წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, 2026 წლის 14 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების მე-2 მუხლის („პრაქტიკის განხორციელების პირობები“) 2.1 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „კომპანია“ პრაქტიკის განსახორციელებლად მიიღებს ერთდროულად 50 (ორმოცდაათი) პროფესიულ სტუდენტს მისამართზე: საქართველო, დუშეთის რაიონი, ბაზალეთის ტბა „ეკლესიასთან“. ხელშეკრულების სხვა პირობები დარჩა უცვლელი.

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას და წარმოდგენილ მტკიცებულებას მიიჩნევს პრაქტიკის ობიექტის მიერ 50 პროფესიული სტუდენტის ერთდროულად მიღებისა და პრაქტიკის განხორციელების შესაძლებლობის დამადასტურებელ გარემოებად.

ამასთან, ვინაიდან აღნიშნული მტკიცებულება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დასრულების შემდგომ, ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა შესაძლებლობა, ვიზიტის ფარგლებში გადაემოწმებინა აღნიშნული ცვლილებით განსაზღვრული პირობების ფაქტობრივი მდგომარეობა. შესაბამისად, წარმოდგენილი დამატებითი მტკიცებულების გათვალისწინების მიუხედავად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ზღვრულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რაოდენობასთან დაკავშირებული თავდაპირველი შეფასება არ შეცვლილა და პროგრამის ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 25 პროფესიული სტუდენტით.

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შპს „ინტერბიზნესის აკადემიას“ სურს, თბილისი, ქსანის ქუჩა №30-ში დაამატოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ენერგომენეჯმენტი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება, პროგრამის დამატება დასაბუთებულია ენერგოეფექტურობის სფეროს განვითარების სახელმწიფო პოლიტიკით, პროგრამის პრიორიტეტული სტატუსითა და შესაბამისი საგანმანათლებლო მიწოდების სიმცირით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული განათლების რეესტრის ანალიზის მიხედვით, პროგრამა დამატებული აქვს მხოლოდ ერთ დაწესებულებას, რომელსაც 2025 წელს მიღება არ განუხორციელებია. პროგრამის მიზანი — ენერგოეფექტურობისა და ენერგორესურსების რაციონალური გამოყენების მიმართულებით კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება — შეესაბამება აკადემიის მისიასა და მოთხოვნადი პროფესიული პროგრამების განხორციელების სტრატეგიულ მიზანს. მიუხედავად იმისა, რომ მიზანშეწონილობის დასაბუთება არ ეფუძნება დაწესებულების მიერ ჩატარებულ ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევასა და დამსაქმებელთა გამოკითხვას, წარმოდგენილი წყაროების ერთობლიობა ადასტურებს პროგრამის განხორციელების საჭიროებას. - **ინდიკატორი 2.1.1.1. - პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას - დაკმაყოფილებულია.**

2.პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება და არანაკლებ 18 წლის ასაკი, რაც შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. პროფესიულ სტუდენტთა შერჩევა და ჩარიცხვა ხორციელდება დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტებითა და მოქმედი მიღების პროცედურების შესაბამისად.ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, განსაზღვრული წინაპირობები იძლევა პროგრამაზე იმ პირთა დაშვების შესაძლებლობას, რომელთა წინარე განათლება უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. - **ინდიკატორი 2.1.1.2. - საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას - დაკმაყოფილებულია.**

3. . „შპს ინტერბიზნესის აკადემიის“ დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის №01-13 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუქცია“. ინსტრუქციის ენერგომენეჯმენტის პროგრამასთან დაკავშირებული ნაწილით ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია სასწავლო გარემოების, კომპიუტერული რესურსის, დისტანციური სწავლების შესაძლებლობისა და ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით. პროგრამაზე მოთხოვნილია 50 პროფესიული სტუდენტი, ხოლო ერთი ჯგუფის რაოდენობა განსაზღვრულია 25 სტუდენტით. მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის შესაბამისობა დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტების რესურსებთან შეფასებულია 2.2.1 კომპონენტის ფარგლებში. შესაბამისად, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. - **ინდიკატორი 2.1.1.3 - პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით - დაკმაყოფილებულია.**

4. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. მითითებული საგანმანათლებლო რესურსები, ბიბლიოთეკის კატალოგი და ელექტრონული ბიბლიოთეკა. დადგინდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი რესურსები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია მატერიალური ან ელექტრონული სახით. საავტორო უფლებებით დაცული რესურსები ინახება ბიბლიოთეკაში და პროფესიულ სტუდენტებს მიეწოდებათ სასწავლო თემატიკის შესაბამისად.

წარმოდგენილი რესურსები შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და მოდულებით განსაზღვრულ თემატიკას.

პროგრამით განსაზღვრულია A, B და C სასწავლო გარემოები, კომპიუტერული ტექნიკა, სპეციალიზებული პროგრამები, საზომი ხელსაწყოები, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და სამუშაო გარემოში სწავლებისთვის საჭირო ობიექტები. წარმოდგენილი რესურსების ჩამონათვალი შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. მათი ფაქტობრივი არსებობა, საკმარისობა და ხელმისაწვდომობა შეფასებულია 2.2.1 კომპონენტის ფარგლებში. **- ინდიკატორი 2.1.1.4 - საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას - დაკმაყოფილებულია.**

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ენერგომენეჯმენტი“ არჩევით მოდულებს არ ითვალისწინებს. შესაბამისად, აღნიშნული მოთხოვნა პროგრამისთვის არ არის რელევანტური. - **ინდიკატორი 2.1.1.5. - საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან - დაკმაყოფილებულია.**

6.აკადემიის „დებულებათა კრებულით“ პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება მინიჭებული აქვს დირექტორს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ენერგომენეჯმენტი“, სასწავლო გეგმა და შესაბამისი დანართები დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 22 აპრილის №01-14 ბრძანებით.

შესაბამისად, პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ და ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. **- ინდიკატორი 2.1.1.6 - საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ - დაკმაყოფილებულია.**

7. პროგრამის სახელწოდება „ენერგომენეჯმენტი“ იდენტურია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდებისა და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას — უმაღლეს პროფესიულ კვალიფიკაციას ენერგომენეჯმენტში. პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული ნორმების გამოყენებას, საინჟინრო სისტემებისა და შენობების ენერგოეფექტურობის შეფასებას, ალტერნატიული ენერგიის წყაროების გამოყენებისა და ენერგიის სამომხმარებლო მოთხოვნილების მართვის საკითხებს. შესაბამისად, სახელწოდება ზუსტად ასახავს პროგრამის შინაარსსა და კურსდამთავრებულის საქმიანობის სფეროს. **- ინდიკატორი 2.1.1.7 - პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი - დაკმაყოფილებულია.**

8. პროგრამა შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე და მოიცავს 4 ზოგად და 6 პროფესიულ მოდულს, ჯამური 116 კრედიტის მოცულობით. იმ პირებისთვის, რომლებსაც ქართული ენის კომპეტენცია არ უდასტურდებათ, დამატებით გათვალისწინებულია ქართული ენის A2 და B1 მოდულები და პროგრამის მოცულობა შეადგენს 146 კრედიტს.

წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულების თანმიმდევრობა და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა შეესაბამება „დებულებათა კრებულის“ 36-ე, 36.2-ე და 36.3-ე მუხლებით განსაზღვრულ წესს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე პროგრამის სტრუქტურა, მოცულობა, დაშვების წინაპირობები, სწავლის შედეგები და დამტკიცების პროცედურა შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს. - **ინდიკატორი 2.1.1.8 - პსდს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს - დაკმაყოფილებულია**space

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების მტკიცებულება;*
2. *პროგრამის სასწავლო გეგმები;*
3. *დირექტორის 2026 წლის 22 აპრილის №01-14 ბრძანება პროგრამის დამტკიცების შესახებ;*
4. *„შპს ინტერბიზნესის აკადემიის დებულებათა კრებული“*
5. *„შპს ინტერბიზნესის აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუქცია“;*
6. *პროგრამის მატერიალური რესურსი;*
7. *დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ **მეტწილად შეესაბამება**
☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**
☐ **არ შეესაბამება**

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის მატერიალური რესურსების ჩამონათვალი და ვიზიტის ფარგლებში დაათვალიერა ქსანის ქუჩა №30-ში არსებული სასწავლო გარემო. პროგრამისთვის გამოყოფილია A2 და A-B1 გარემოები. A-B1 გარემო აღჭურვილია 25 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილითა და კომპიუტერული ტექნიკით. კომპიუტერებში ხელმისაწვდომია Microsoft Word, Excel, RETScreen, PPP, GEECB და სხვა სასწავლო პროგრამები. ადგილზე დადასტურდა პროგრამით გათვალისწინებული საზომი მოწყობილობებისა და ხელსაწყოების არსებობა, მათ შორის თერმული კამერის, თერმომეტრების, თერმოანემომეტრის, ლუქსმეტრის, მულტიმეტრის, ტახომეტრის, ულტრაბგერითი მრიცხველის, მანომეტრებისა და იზოლირებული ხელსაწყოების.დარგის ექსპერტის შეფასებით, უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვით, შენობაში არსებული გათბობისა და ელექტრომომარაგების სისტემების ცალკეული ელემენტები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სადემონსტრაციო და იმიტირებული სასწავლო აქტივობებისთვის. აღნიშნული დამატებით აფართოებს პრაქტიკული სწავლების შესაძლებლობებს, თუმცა არ ანაცვლებს პარტნიორ ორგანიზაციებში მისაღწევ სწავლის შედეგებს.სამუშაო გარემოში სწავლებისთვის აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შპს „ნიუ ჰაუსთან“, სს „გუდვილთან“, შპს „ესკო-ესთან“ და სასტუმრო „ლიელთან“. ხელშეკრულებებში განსაზღვრულია შესაბამისი მოდულები, მხარეთა ვალდებულებები, პრაქტიკული სწავლების პირობები და ერთდროულად მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა. მოდულის „ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენების შესაძლებლობები და ეფექტიანობა“ ერთ-ერთი სწავლის შედეგის მიღწევა დაგეგმილია შპს „ესკო-ესში“. 2026 წლის 14 აპრილის №03-04 ხელშეკრულებით პრაქტიკის ობიექტი ერთდროულად არაუმეტეს 25 პროფესიული სტუდენტის მიღების ვალდებულებას იღებს. დაწესებულება პროგრამაზე ითხოვს 50

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტის ზღვრულ რაოდენობას, თუმცა ვიზიტის დროს წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდებოდა აღნიშნული სწავლის შედეგის ორივე ჯგუფისთვის განხორციელების განაწილება ან 50 პროფესიული სტუდენტის შესაბამისი რესურსით უზრუნველყოფა. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა დასაბუთებულად მიიჩნია 25 პროფესიული სტუდენტის ზღვრული რაოდენობა. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ეტაპზე წარმოადგინა დამატებითი მტკიცებულება, კერძოდ, შპს „ესკო-ესთან“ გაფორმებული ხელშეკრულების დანართი/შეთანხმება, დათარიღებული 2026 წლის 3 აგვისტოთი. წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, 2026 წლის 14 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების მე-2 მუხლის („პრაქტიკის განხორციელების პირობები“) 2.1 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „კომპანია“ პრაქტიკის განსახორციელებლად მიიღებს ერთდროულად 50 (ორმოცდაათი) პროფესიულ სტუდენტს მისამართზე: საქართველო, დუშეთის რაიონი, ბაზალეთის ტბა „ეკლესიასთან“. ხელშეკრულების სხვა პირობები დარჩა უცვლელი.

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას და წარმოდგენილ მტკიცებულებას მიიჩნევს პრაქტიკის ობიექტის მიერ 50 პროფესიული სტუდენტის ერთდროულად მიღებისა და პრაქტიკის განხორციელების შესაძლებლობის დამადასტურებელ გარემოებად.

ამასთან, ვინაიდან აღნიშნული მტკიცებულება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დასრულების შემდგომ, ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა შესაძლებლობა, ვიზიტის ფარგლებში გადაემოწმებინა აღნიშნული ცვლილებით განსაზღვრული პირობების ფაქტობრივი მდგომარეობა. შესაბამისად, წარმოდგენილი დამატებითი მტკიცებულების გათვალისწინების მიუხედავად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ზღვრულ რაოდენობასთან დაკავშირებული თავდაპირველი შეფასება არ შეცვლილა და პროგრამის ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 25 პროფესიული სტუდენტით. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 2.2.1.1. - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. - დაკმაყოფილებულია.**

2. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 21 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათგან 9 პროფესიული და 12 ზოგადი მოდულების განმახორციელებელი. თითოეულ მოდულზე განსაზღვრულია შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე ერთი ან რამდენიმე პირი. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა მასწავლებელთა ხელშეკრულებები, დატვირთვის მონაცემები და სასწავლო გეგმა. დადგინდა, რომ მათი დატვირთვა არ აღემატება დაწესებულების მიერ განსაზღვრულ კვირეულ ზღვარს და გათვალისწინებულია სხვა პროგრამებზე დატვირთვაც. მასწავლებელთა რაოდენობა იძლევა მოდულების ჩანაცვლებისა და სასწავლო პროცესის უწყვეტად წარმართვის შესაძლებლობას. **- ინდიკატორი 2.2.1.2.პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას - დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის განმახორციელებელ პირთა პირადი საქმეები, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები, სამუშაო გამოცდილების ცნობები და ხელშეკრულებები. წარმოდგენილი დოკუმენტებით დადასტურდა პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირთა კვალიფიკაციის შესაბამისობა ენერგეტიკის, ელექტროინჟინერიისა და თბოენერგეტიკის მიმართულებებთან.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ ისინი იცნობენ მოდულების სწავლის შედეგებს, სწავლებისა და შეფასების მიდგომებს და გააჩნიათ შესაბამისი დარგობრივი გამოცდილება. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მასწავლებელთა კვალიფიკაცია და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების გამომუშავებასა და შეფასებას.- **ინდიკატორი 2.2.1.3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია - დაკმაყოფილებულია.**

4. პროგრამას ჰყავს დირექტორის სამართლებრივი აქტით დანიშნული ხელმძღვანელი. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა მისი პირადი საქმე, განათლებისა და პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები. წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელის დარგობრივი კომპეტენცია. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობდა პროგრამის ადაპტირებაში, სასწავლო გეგმის შემუშავებაში, რესურსებისა და განმახორციელებელი პირების შერჩევაში და იცნობს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობებს. **ინდიკიტარი 2.2.1.4. - საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი; - დაკმაყოფილებულია.**

5. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები, ბიბლიოთეკის კატალოგი და ელექტრონული ბიბლიოთეკა. დადგინდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი რესურსები ხელმისაწვდომია მატერიალური ან ელექტრონული სახით. საავტორო უფლებებით დაცული რესურსები ინახება ბიბლიოთეკაში და პროფესიულ სტუდენტებს მიეწოდებათ სასწავლო თემატიკის შესაბამისად.

წარმოდგენილი რესურსები შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და მოდულებით განსაზღვრულ თემატიკას. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. - **ინდიკატორი - 2.2.1.5. - საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში; - დაკმაყოფილებულია.**

6. დაწესებულებაში განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და სასწავლო რესურსების ადაპტირების პროცედურები. პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამუშაო აღწერილობებითა და ხელშეკრულებებით გათვალისწინებულია საჭიროების შემთხვევაში მოდულის, სასწავლო რესურსისა და შეფასების ინსტრუმენტის მოდიფიცირება ან გონივრული მისადაგება. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებაში მოქმედი პროცედურები უზრუნველყოფს სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამითა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რესურსებზე წვდომას. - **ინდიკატორი 2.2.1.6. - სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად - დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა „პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი“. ბიუჯეტი შედგენილია 25-სტუდენტიან ჯგუფზე და მოიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ძირითად პირდაპირ და არაპირდაპირ ხარჯებს, მათ შორის მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურებას, პრაქტიკული კომპონენტის, კვალიფიკაციის ამაღლების, სტუდენტური სერვისებისა და მატერიალური ბაზის განახლების ხარჯებს. პროგრამის რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 19 პროფესიული სტუდენტით, რაც დაგეგმილ 25-სტუდენტიან ჯგუფზე ნაკლებია. წარმოდგენილი გაანგარიშებით, დაგეგმილი შემოსავლები ფარავს პროგრამის განხორციელების ხარჯებს. პროგრამა ასევე მიეკუთვნება სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტულად დაფინანსებულ მიმართულებას. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, წარმოდგენილი ბიუჯეტი ადასტურებს პროგრამის ფინანსური მდგრადობის შესაძლებლობას. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. **- ინდიკატორი 2.2.1.7 - პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა - დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. *ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ —*
2. *პროგრამის მატერიალური რესურსების ჩამონათვალი*
3. *„ენერგომენეჯმენტის“ პროგრამის მატერიალური რესურსი და სასწავლო გარემო;*
4. *პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი*
5. *„პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუქცია“;*
6. *შპს „ესკო-ესთან“ 2026 წლის 14 აპრილს გაფორმებული №03-04 ხელშეკრულება;*
7. *შპს „ნიუ ჰაუსთან“ 2026 წლის 14 აპრილს გაფორმებული №03-06 ხელშეკრულება;*
8. *სს „გუდვილთან“ 2026 წლის 16 თებერვალს გაფორმებული №03-05 ხელშეკრულება;*
9. *სასტუმრო „ლიელთან“ 2026 წლის 21 მაისს გაფორმებული №03-08 ხელშეკრულება;*
10. *პროგრამის განმახორციელებელ პირთა პირადი საქმეები, განათლებისა და პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები და ხელშეკრულებები;*
11. *ბიბლიოთეკის კატალოგი და ელექტრონული ბიბლიოთეკა;*
12. *„შპს ინტერბიზნესის აკადემიის დებულებათა კრებული“;*
13. *სასწავლო გარემოსა და მატერიალური რესურსების ვიზუალური დათვალიერების შედეგები;*
14. *ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები.*

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ **მეტწილად შეესაბამება**
☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**
☐ **არ შეესაბამება**

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი „შპს ინტერბიზნესის აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“. დოკუმენტი ეფუძნება „დაგეგმე–განახორციელე–შეამოწმე–განავითარე“ ციკლს და ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო პროცესის, ადამიანური და მატერიალური რესურსების შეფასებას. მექანიზმით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების, მასწავლებლების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების უკუკავშირის მიღება, პროგრამაზე მოთხოვნის, პროფესიულ სტუდენტთა მიღწევებისა და დასაქმების მაჩვენებლების ანალიზი. პროგრამის შეფასებაში მონაწილეობენ ხარისხის მართვისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურები, პროგრამის ხელმძღვანელი და სხვა დაინტერესებული მხარეები. ვინაიდან „ენერგომენეჯმენტის“ პროგრამა ჯერ არ განხორციელებულა, პროგრამის შეფასების ფაქტობრივი შედეგები არ არსებობს. თუმცა დაწესებულებაში მოქმედი მექანიზმი იძლევა პროგრამის განხორციელების დაწყების შემდეგ შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონაცემების შეგროვებისა და შეფასების შესაძლებლობას. - **ინდიკატორი 2.3.1.1 - პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ - დაკმაყოფილებულია.**

2.„ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ შიდა მონიტორინგის ინსტრუქციით განსაზღვრულია სასწავლო პროცესზე დაკვირვება, პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლების გამოკითხვა, შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია, მიღებული ინფორმაციის ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. მონიტორინგის შედეგები აისახება ანგარიშში, ხოლო გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე მუშავდება გაუმჯობესების გეგმა. „დებულებათა კრებულის“ 36-ე მუხლით განსაზღვრულია პროგრამაში ცვლილების შეტანისა და პროგრამის გაუქმების პროცედურები. ინტერვიუს შედეგად დადასტურდა ხარისხის მართვის სამსახურისა და პროგრამის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობები პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, არსებული მექანიზმები ქმნის პროგრამის განხორციელების შედეგების ანალიზისა და საჭირო ცვლილებების დადგენილი წესით განხორციელების საფუძველს.

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. - **ინდიკატორი 2.3.1.2. - პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**space

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. *„შპს ინტერბიზნესის აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;*
2. *„შპს ინტერბიზნესის აკადემიის დებულებათა კრებული“*
3. *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ენერგომენეჯმენტი“;*
4. *ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენელთან, პროგრამის ხელმძღვანელსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამა და სასწავლო გეგმები ქართული ენის მოდულებითა და მათ გარეშე. ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამა მოიცავს 116 კრედიტს და 77 სასწავლო კვირას. იმ პირებისთვის, რომლებსაც ქართული ენის კომპეტენცია არ უდასტურდებათ, დამატებით გათვალისწინებულია ქართული ენის A2 და B1 მოდულები.

სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულების თანმიმდევრობა, გათვალისწინებულია შეფასებისა და განმეორებითი შეფასების პერიოდები, ხოლო პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პროგრამის ჯერ არგანხორციელების გათვალისწინებით, ფაქტობრივი სასწავლო პროცესის შეფასება შეუძლებელია, თუმცა წარმოდგენილი გეგმა იძლევა პროგრამის თანმიმდევრულად განხორციელების შესაძლებლობას.

შესაბამისად, **ინდიკატორი 2.4.1.1. - პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად - დაკმაყოფილებულია**

2. „შპს ინტერბიზნესის აკადემიის დებულებათა კრებულით“ განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების, დამატებითი შეფასების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა და სწავლების დამატებითი პერიოდის პროცედურები.ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებებზე რეაგირებაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან თანამშრომლობით. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, არსებული რეგულაციები და პასუხისმგებლობების განაწილება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესი პროფესიულ სტუდენტთასაჭიროებებზემორგებას.**ინდიკატორი 2.4.1.2 - პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე - დაკმაყოფილებულია.**

3. პროგრამის მოდულებში განსაზღვრული სწავლების მიდგომები შეესაბამება მისაღწევ სწავლის შედეგებს. პროგრამისთვის გამოყოფილ გარემოში ხელმისაწვდომია კომპიუტერული ტექნიკა, სადემონსტრაციო საშუალებები, საზომი ხელსაწყოები და დარგში გამოყენებული პროგრამები — RETScreen, PPP, GEECB, Microsoft Excel და სხვა. პროგრამის ნაწილობრივ დისტანციური ფორმით განხორციელების დასაბუთების მიხედვით, „ინფორმაციული წიგნიერების“, „უცხოური ენისა“ და „პროფესიული და კარიერული განვითარების“ მოდულების გარკვეული კომპონენტები შესაძლებელია განხორციელდეს ნაწილობრივ დისტანციურად. არცერთი მოდული არ განხორციელდება სრულად დისტანციურად და ყველა სწავლის შედეგის შეფასება დაგეგმილია დაწესებულებაში. დისტანციური კომპონენტებისთვის აკადემიას შეძენილი აქვს Zoom-ის ლიცენზირებული პლატფორმა.

ვიზიტის ფარგლებში ასევე განხილულ იქნა შენობაში არსებული გათბობისა და ელექტრომომარაგების სისტემების ცალკეული ელემენტების სადემონსტრაციო და იმიტირებული აქტივობებისთვის გამოყენების შესაძლებლობა, უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვით. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაგეგმილი მეთოდები და ტექნოლოგიები შეესაბამება პროგრამის სპეციფიკასა და მისაღწევ სწავლის შედეგებს. **ინდიკატორი 2.4.1.3. - სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას - დაკმაყოფილებულია.**

4. „შპს ინტერბიზნესის აკადემიის დებულებათა კრებულით“ განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოდულის, სასწავლო რესურსის, სწავლების მიდგომისა და შეფასების ინსტრუმენტის მოდიფიცირება ან გონივრული მისადაგება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობენ პროფესიული სტუდენტი, პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი და შესაბამისი ადმინისტრაციული პირები. სსსმ პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში გათვალისწინებულია შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობაც. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებაში მოქმედი პროცედურები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას. - **ინდიკატორი 2.4.1.4. - პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები - დაკმაყოფილებულია.**

5.სამუშაო გარემოში დაგეგმილი კომპონენტების განხორციელებისთვის აკადემიას ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს შპს „ნიუ ჰაუსთან“, სს „გუდვილთან“, შპს „ესკო-ესთან“ და სასტუმრო „ლიელთან“. ხელშეკრულებებით განსაზღვრულია პროგრამისა და მოდულების დასახელებები, პრაქტიკული სწავლების ორგანიზების პირობები, მხარეთა უფლება-მოვალეობები, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ხელშეკრულების მოქმედების ვადები. პრაქტიკის ობიექტები იღებენ ვალდებულებას, გამოყონ შესაბამისი სამუშაო გარემო და პასუხისმგებელი პირი, ხოლო აკადემია უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპონენტის დაგეგმვასა და მონიტორინგს. პარტნიორთა წარმომადგენლებთან ინტერვიუსა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი ხელშეკრულებების ანალიზით დადასტურდა მათი მზაობა პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში მონაწილეობისთვის 25 პროფესიული სტუდენტის ფარგლებში. - **ინდიკატორი 2.4.1.5. - პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით - დაკმაყოფილებულია.**

6. აკადემიას დირექტორის 2026 წლის 18 მარტის №01-08 ბრძანებით დამტკიცებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ენერგომენეჯმენტი“ უსაფრთხოების ინსტრუქცია. დოკუმენტი მოიცავს ელექტრო, გათბობის, გაზის, საინჟინრო და ალტერნატიული ენერგიის სისტემებთან მუშაობის უსაფრთხოების წესებს, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებასა და საგანგებო შემთხვევებზე რეაგირების პროცედურებს. მატერიალური რესურსების ჩამონათვალით გათვალისწინებულია იზოლირებული ხელსაწყოები და პროფესიული სტუდენტებისთვის საჭირო ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. მათი არსებობა დადასტურდა ვიზიტის ფარგლებში. პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით პრაქტიკის ობიექტებს ეკისრებათ პროფესიული სტუდენტებისთვის უსაფრთხოების წესების გაცნობისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის ვალდებულება. ახალ მისამართზე შენობის სახანძრო უსაფრთხოების დადებითი დასკვნისა და შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის არსებობა შეფასებულია ავტორიზაციის მე-5 სტანდარტის ფარგლებში. წინამდებარე ინდიკატორის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე უსაფრთხოების ზომები, რომლებიც სათანადოდ არის განსაზღვრული. - **ინდიკატორი - 2.4.1.6. - სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით - დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ენერგომენეჯმენტი“;*
2. *პროგრამის სასწავლო გეგმები;*
3. *„შპს ინტერბიზნესის აკადემიის დებულებათა კრებული“;*
4. *„დისტანციური სწავლების ინსტრუქცია“;*
5. *„პროგრამის ან პროგრამის კომპონენტის სრულად დისტანციური ან ნაწილობრივ დისტანციური ფორმით განხორციელების შესაძლებლობის დასაბუთება“;*
6. *პროგრამის მატერიალური რესურსებისა და სასწავლო გარემოების ჩამონათვალი;*
7. *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ენერგომენეჯმენტი“ უსაფრთხოების ინსტრუქცია;*
8. *შპს „ნიუ ჰაუსთან“, სს „გუდვილთან“, შპს „ესკო-ესთან“ და სასტუმრო „ლიელთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები;*
9. *სასწავლო გარემოსა და მატერიალური რესურსების ვიზუალური დათვალიერების შედეგები;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

10. ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ენერგომენეჯმენტი“, დაწესებულების „დებულებათა კრებული“ და შეფასების პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტაცია. პროგრამით განსაზღვრულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება, ხოლო სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება პრინციპით — „დადასტურდა/ვერ დადასტურდა“. „დებულებათა კრებულის“ 41[1].1 მუხლი არეგულირებს შეფასების ინსტრუმენტის გამოყენების, პროფესიული სტუდენტის ინფორმირების, შეფასების შედეგის გასაჩივრებისა და განმეორებითი შეფასების საკითხებს. ვიზიტის ფარგლებში ასევე დადასტურდა ელექტრონული შეფასების პლატფორმა Testmoz-ის გამოყენების შესაძლებლობა, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პროცესისა და შედეგების ელექტრონულად აღრიცხვას. წარმოდგენილი რეგულაციები ადგენს შეფასების ერთიან და წინასწარ განსაზღვრულ წესებს. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებაში მოქმედი შეფასების სისტემა ქმნის სწავლის შედეგების ვალიდურად, სანდოდ, გამჭვირვალედ და ობიექტურად შეფასების საფუძველს. - **ინდიკატორი 2.4.2.1. -პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური; - დაკმაყოფილებულია.**

2.დაწესებულების „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ მე-11 მუხლით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაციის წესი. შეფასების ინსტრუმენტი გამოყენებამდე მოწმდება შესაბამისი დარგის სპეციალისტის მიერ, ხოლო ვერიფიკაციისას დაცულია ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის პრინციპი. მექანიზმი ითვალისწინებს რისკებზე დაფუძნებული შერჩევის გამოყენებას, ვერიფიკაციის შედეგების დოკუმენტირებასა და საჭიროების შემთხვევაში გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვას. ვინაიდან პროგრამა „ენერგომენეჯმენტი“ დაწესებულებაში ჯერ არ განხორციელებულა, ვიზიტის ეტაპზე პროგრამის ფარგლებში შექმნილი შეფასების ინსტრუმენტებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მტკიცებულებების ფაქტობრივი ვერიფიკაცია ვერ იქნებოდა წარმოდგენილი. თუმცა დაწესებულებაში მოქმედი მექანიზმი პროგრამის განხორციელების დაწყების შემდეგ გავრცელდება აღნიშნულ პროგრამაზეც.ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, განსაზღვრული პროცედურა უზრუნველყოფს შეფასების ინსტრუმენტების, პროცესისა და მტკიცებულებების ხარისხის კონტროლს. **ინდიკატორი 2.4.2.2. - პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს; - დაკმაყოფილებულია**

3.წარმოდგენილი რეგულაციებით განსაზღვრულია შეფასების შედეგებისა და მტკიცებულებების როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით აღრიცხვისა და შენახვის წესი. შეფასების უწყისებში და ელექტრონულ რეესტრში აისახება პროფესიული სტუდენტის, პროგრამის, მოდულისა და სწავლის შედეგის შესახებ ინფორმაცია. Testmoz-ის გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია შეფასების თარიღის, მიღებული შედეგისა და მცდელობის შესახებ მონაცემების ელექტრონულად შენახვა. განმსაზღვრელი შეფასების მტკიცებულებები ინახება სამი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც მათი განადგურება ხორციელდება შესაბამისი აქტის საფუძველზე. აღნიშნული უზრუნველყოფს შეფასების შედეგების მიკვლევადობასა და საჭიროების შემთხვევაში მათ გადამოწმებას. – **ინდიკატორი 2.4.2.3. - პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; დაკმაყოფილებულია.**

4.დაწესებულებაში მოქმედი შეფასების სისტემა ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტისთვის შეფასების შედეგისა და უკუკავშირის მიწოდებას. განმავითარებელი შეფასება გამოიყენება პროფესიული სტუდენტის პროგრესისა და გასაუმჯობესებელი მიმართულებების გამოსავლენად, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება — სწავლის შედეგის მიღწევის დასადასტურებლად. „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით“ გათვალისწინებულია შეფასების შედეგების ანალიზი და შიდა მონიტორინგის პროცესში მათი გამოყენება. პროგრამის განუხორციელებლობის გამო კონკრეტულად „ენერგომენეჯმენტის“ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები ჯერ არ არსებობს. ამასთან, წარმოდგენილი მექანიზმები ქმნის საფუძველს, რომ პროგრამის დაწყების შემდეგ შეფასების შედეგები გამოყენებულ იქნეს პროფესიული სტუდენტების პროგრესისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის. **- ინდიკატორი 2.4.2.4 - პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. - დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ენერგომენეჯმენტი“, მათ შორის შეფასებისა და კრედიტის მინიჭების მარეგულირებელი ნაწილი;*
2. *. „შპს ინტერბიზნესის აკადემიის დებულებათა კრებული“;*
3. *. „შპს ინტერბიზნესის აკადემიის „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;*
4. *შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების/ვალიდაციის ფორმა;*
5. *შეფასების მტკიცებულებების ელექტრონული რეესტრის ფორმები;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. *Testmoz-ის შეძენისა და მოდიფიცირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და პლატფორმის ფუნქციონალი;*
7. *ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფასა და სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან, პროგრამის ხელმძღვანელსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან.*

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ **მეტწილად შეესაბამება**

☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**

☐ **არ შეესაბამება**

II. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტში; Higher Vocational Qualification in Artificial Intelligence Development

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0613
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძ. N01-18; 11.05.2026 წ
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, ქსანის ქ.30
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	50
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	71

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	101

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება □

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ შპს „ინტერბიზნესის აკადემიის“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების ინიციატივა შეესაბამება დაწესებულების მისიას, სტრატეგიულ მიზნებსა და განვითარების პრიორიტეტებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მისია, რომელიც განსაზღვრულია „დებულებათა კრებულის“ მე-3 მუხლით, ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული განათლების განხორციელებაზე, პრაქტიკული უნარების მქონე კადრების მომზადებასა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობაზე. წარმოდგენილი პროგრამა აღნიშნულ მისიასთან შინაარსობრივად თანხვედრაშია, ვინაიდან მისი მიზანია ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით თანამედროვე კომპეტენციების მქონე სპეციალისტების მომზადება.

პროგრამის მიზანშეწონილობა დასაბუთებულია შესაბამისი არგუმენტირებით. წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი, რომელშიც გამოყენებულია დასაქმების ელექტრონულ პლატფორმებზე გამოქვეყნებული ვაკანსიების ანალიზი და პროფესიული განათლების რეესტრის მონაცემები. აღნიშნული ინფორმაცია ადასტურებს, რომ ხელოვნური ინტელექტისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში კვალიფიციურ სპეციალისტებზე მოთხოვნა მზარდია, რაც პროგრამის განხორციელების საჭიროებას ობიექტურ საფუძველს უქმნის.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად ადმინისტრაციისა და პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებები თანმიმდევრული და შესაბამისობაში იყო წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან. მათ მიერ მკაფიოდ იყო დასაბუთებული პროგრამის დამატების მიზანი, მისი კავშირი დაწესებულების სტრატეგიულ განვითარებასთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე რეაგირების მნიშვნელობა. ასევე გამოიკვეთა დაწესებულების ხედვა კურსდამთავრებულთა დასაქმების, თვითდასაქმებისა და დისტანციური დასაქმების შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით.

ექსპერტთა შეფასებით, წარმოდგენილი დასაბუთება ადეკვატურად ასახავს პროგრამის საჭიროებას და მის შესაბამისობას როგორც დაწესებულების მისიასთან, ისე შრომის ბაზრის მიმდინარე მოთხოვნებთან. პროგრამის დამატება წარმოადგენს დაწესებულების სტრატეგიული განვითარების ლოგიკურ გაგრძელებას და ხელს შეუწყობს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის სფეროში კონკურენტუნარიანი, პრაქტიკულ უნარებზე ორიენტირებული კადრების მომზადებას. **ინდიკატორი 2.1.1.1. - პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას - დაკმაყოფილებულია**

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტი“ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და მიღების პროცედურების ნაწილში.

პროგრამა განეკუთვნება პროფესიული კვალიფიკაციის მეხუთე დონეს, ხოლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, რაც შესაბამისობაშია პროგრამის სირთულის დონესთან, სწავლის შედეგებთან და პროფესიული კვალიფიკაციის მოთხოვნებთან. აღნიშნული წინაპირობა უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთი აპლიკანტების მიღებას, რომელთაც გააჩნიათ პროგრამის წარმატებით დაძლევისთვის აუცილებელი საბაზისო საგანმანათლებლო საფუძველი.

აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება პროფესიული ტესტირების საფუძველზე. დაწესებულების „დებულებათა კრებულის“ XI[1] თავით დეტალურად არის რეგულირებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისა და ჩარიცხვის პროცედურები, მათ შორის აპლიკანტთა რეგისტრაციის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შერჩევის, შედეგების გასაჩივრებისა და ჩარიცხვის ეტაპები. აღნიშნული პროცედურები უზრუნველყოფს მიღების პროცესის გამჭვირვალობას, თანასწორობასა და სამართლიანობას.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და აპლიკანტთა შერჩევის მექანიზმი ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებსა და კვალიფიკაციის დონეს. არსებული რეგულაციები ქმნის საფუძველს პროგრამაზე შესაბამისი მომზადების მქონე პირების მიღებისთვის და ხელს უწყობს პროგრამის დადგენილ ვადაში წარმატებით დასრულებას.

- ინდიკატორი 2.1.1.2. - საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას - დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულებას შემუშავებული აქვს დირექტორის 2017 წლის 14 ნოემბრის №01-46 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუქცია“, რომელშიც ცვლილება შეტანილია დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის №01-13 ბრძანებით. ინსტრუქცია განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგიას და შესაბამის კრიტერიუმებს. დოკუმენტის მიხედვით, ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულია სასწავლო გარემოს ტიპი, სამუშაო ადგილების რაოდენობა, სასწავლო გეგმით განსაზღვრული დატვირთვა, ჯგუფებისა და ნაკადების ორგანიზების შესაძლებლობა, ადამიანური რესურსი და პრაქტიკის ობიექტის გამტარუნარიანობა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, „ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტითა და პროგრამის სტრუქტურით განსაზღვრული დისტანციური სწავლების შესაძლებლობები. პროგრამის ჰიბრიდული ფორმატით განხორციელების მიზნით დაწესებულებას უზრუნველყოფილი აქვს შესაბამისი ტექნიკური რესურსი, მათ შორის Zoom-ის ლიცენზირებული პლატფორმა, რაც იძლევა სასწავლო პროცესის უწყვეტად განხორციელების შესაძლებლობას.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრულია 50 სტუდენტით. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სწავლება განხორციელდება ჰიბრიდულ რეჟიმში A-B1 სასწავლო გარემოში (აუდიტორია №1), ხოლო საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება A2 სასწავლო გარემოც (აუდიტორია №5). პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის გამოყოფილია A-B1 გარემო, სადაც მოწყობილია 25 სრულად აღჭურვილი სამუშაო ადგილი პროფესიული სტუდენტებისთვის. აუდიტორია უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, მათ შორის კომპიუტერებით, პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილით, საპრეზენტაციო ეკრანით, პრინტერითა და ფლიპჩარტით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გამოყენებული მიდგომა შეესაბამება დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მეთოდოლოგიას. წარმოდგენილი გაანგარიშება ეფუძნება სასწავლო გარემოს შესაძლებლობების, სწავლების ფორმატის, პროგრამის სტრუქტურისა და არსებული მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების შეფასებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა დასაბუთებულია, შეესაბამება დაწესებულების შიდა რეგულაციებს და უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხიან და ეფექტიან განხორციელებას. **ინდიკატორი 2.1.1.3 პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით; - დაკმაყოფილებულია.**

4. ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამის მოდულების სწავლის შედეგებთან მიმართებით შეაფასა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, პროგრამის მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები მოიცავს კომპიუტერულ ტექნიკას, პროგრამირებისა და მონაცემთა ანალიზისთვის საჭირო პროგრამულ უზრუნველყოფას, ღია და ლიცენზირებულ განვითარების გარემოებს, ასევე მანქანური სწავლების მოდელების შექმნის, ტესტირებისა და შეფასებისთვის საჭირო გამოთვლით რესურსებს. წარმოდგენილი რესურსები შინაარსობრივად დაკავშირებულია პროგრამის მოდულებით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული კომპეტენციების გამომუშავების შესაძლებლობას.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეაფასა პროგრამის საგანმანათლებლო რესურსების შესაბამისობა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებთან. დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი, რომელსაც ეფუძნება პროგრამა „ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტი“, წარმოადგენს ახალ სტანდარტს და მისი დანერგვის პროცესში ქართულ ენაზე შესაბამისი სასწავლო რესურსები შეზღუდული რაოდენობითაა ხელმისაწვდომი.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამაზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსები ქართულ ენაზე, რომლებიც შინაარსობრივად შეესაბამება პროგრამის მოდულებით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და ორიენტირებულია პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაზე. წარმოდგენილი რესურსები ქმნის პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის სათანადო საფუძველს.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, მოდულების შინაარსსა და სწავლის შედეგებს. ამასთან, დაწესებულების მიერ ქართულენოვანი სასწავლო რესურსების შექმნა შეფასებულია, როგორც პროგრამის ხარისხიანი განხორციელების ხელშემწყობი პრაქტიკა, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის სასწავლო მასალებზე ხელმისაწვდომობას და ეფექტიანი სასწავლო პროცესის წარმართვას. **ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; - დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ხელოვნური ინტელექტის“ დეველოპმენტი არ გააჩნია არჩევითი მოდული. - ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე - **ინდიკატორი 2.1.1.5 - საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან; - დაკმაყოფილებულია.**

6. დაწესებულების „დებულებათა კრებულის” 8.4.7 პუნქტის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება დაწესებულების დირექტორის უფლებამოსილებას განეკუთვნება. დებულების 36-ე და 36² მუხლებით განსაზღვრულია პროგრამის ინიცირების, შემუშავებისა და დასამტკიცებლად წარდგენის პროცედურები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტი” დამტკიცებულია შპს „ინტერბიზნესის აკადემიის” დირექტორის 2026 წლის 11 მაისის N01-18 ბრძანებით. - ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 2.1.1.6. - საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ; - დაკმაყოფილებულია.**

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტი” შემუშავებულია, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტი“ საფუძველზე. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება ლოგიკურ კავშირშია სტანდარტის სახელწოდებასთან. პროგრამის პროფესიული მოდულები მოიცავს პროგრამირების საფუძვლებს, მონაცემთა სტრუქტურებსა და ალგორითმებს, მონაცემთა ანალიზსა და დამუშავებას, მანქანური სწავლების საბაზისო მეთოდებს, ხელოვნური ინტელექტის მოდელების დანერგვასა და შეფასებას, პროფესიულ ეთიკასა და მონაცემთა დაცვას. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს, მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და პროგრამის სწავლის შედეგებს და არ ქმნის დაინტერესებული პირებისთვის მცდარ მოლოდინს. - **ინდიკატორი 2.1.1.7 პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი; - დაკმაყოფილებულია.**

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე. პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების შიდა პროცედურები განსაზღვრულია დაწესებულების „დებულებათა კრებულის” 36-ე, 36² და 36³ მუხლებით. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, დონე, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლების ენა, დაშვების წინაპირობა, მიზანი, სწავლის შედეგები, კრედიტების მოცულობა, სავარაუდო ხანგრძლივობა, დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის სტრუქტურა, შეფასების პირობები და კვალიფიკაციის მინიჭების მოთხოვნები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის პაკეტის შესწავლის შედეგად არ გამოვლენილა პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან ან პროგრამის შემუშავებისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებთან შეუსაბამობა. - **ინდიკატორი 2.1.1.8 - პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. - დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტი", პროგრამის მოდულები და სასწავლო გეგმა;

2. შპს „ინტერბიზნესის აკადემიის" მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა;

3. დაწესებულების „დებულებათა კრებული";

4. შპს „ინტერბიზნესის აკადემიის" დირექტორის 2026 წლის 22 აპრილის №01-14 ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ;

5. პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუქცია და გაანგარიშება [შესავსებია];

6. პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი;

7. ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტი“ ჰიბრიდული ფორმატით განხორციელებისათვის აუცილებელი შიდა რეგულაციები და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, პროგრამის განხორციელება დაგეგმილია ჰიბრიდული სწავლების მეთოდით, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული დისტანციური სწავლების შესაძლებლობების გათვალისწინებით.

დაწესებულებას შემენილი აქვს Zoom-ის პლატფორმის ლიცენზია, რაც უზრუნველყოფს დისტანციური სასწავლო პროცესის უწყვეტად წარმართვას. ამასთან, შემუშავებულია დისტანციური სწავლების წესი, რომელიც განსაზღვრავს დისტანციური სწავლების ორგანიზების პროცედურებს, დაინტერესებული მხარეებისათვის შესაბამის ინსტრუქციებსა და დისტანციური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს.

ამავდროულად, დაწესებულებას გამოყოფილი აქვს პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ფიზიკური სასწავლო სივრცეები. პრაქტიკული სწავლებისთვის განსაზღვრულია A-B1 გარემო (აუდიტორია №1), რომელიც აღჭურვილია 25 პროფესიული სტუდენტისთვის განკუთვნილი სამუშაო ადგილით, შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკითა და სასწავლო პროცესისთვის საჭირო ინვენტარით. საჭიროების შემთხვევაში თეორიული სწავლების განხორციელებისთვის გამოყენებული იქნება A2 გარემო (აუდიტორია №5).

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტი“, პროგრამის მოდულები, პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსების ჩამონათვალი, ასევე აღნიშნული რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ვიზიტის ფარგლებში დათვალიერდა სასწავლო ინფრასტრუქტურაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადგინდა, რომ აკადემიის მისამართზე — ქ. თბილისი, ქსნის ქუჩა №30 — არსებული კომპიუტერული აუდიტორიები ერთ ცვლაში უზრუნველყოფს 25 პროფესიული სტუდენტის, ხოლო ორ ცვლაში 50 პროფესიული სტუდენტის სწავლების შესაძლებლობას. შესაბამისად, დაწესებულებას მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის ფარგლებში გააჩნია საკმარისი რესურსი როგორც ჰიბრიდული, ისე სრულად დასწრებული სწავლების ორგანიზებისთვის.

წარმოდგენილი სასწავლო გეგმის, პროფესიული სტუდენტების ჯგუფებად და ნაკადებად განაწილების პრინციპისა და სასწავლო სივრცეების გამოყენების გრაფიკის ანალიზის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ არსებული ინფრასტრუქტურა იძლევა სასწავლო სივრცეების ეფექტიანი და მონაცვლეობითი გამოყენების შესაძლებლობას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, ჰიბრიდული სწავლების ორგანიზებისთვის შექმნილი რეგულაციები და სასწავლო პროცესის ჯგუფებად და ნაკადებად დაგეგმვის მექანიზმები საკმარისია პროგრამის ხარისხიანად განხორციელებისა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად.- **ინდიკატორი 2.2.1.1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; - დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებების შესწავლის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტი“ განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა, მათი კვალიფიკაცია, კომპეტენცია და სასწავლო დატვირთვა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის, 7 პროფესიულ და 9 ზოგად მოდულს ახორციელებს. წარმოდგენილი შრომითი და მომსახურების ხელშეკრულებებისა და სასწავლო გეგმის მიხედვით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა განსაზღვრულია შესაბამისი დოკუმენტაციით და არ აღემატება კვირაში 40 აკადემიურ საათს.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შემადგენლობა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებების შედეგები. შეფასების შედეგად დადგინდა, რომ ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა შეესაბამება პროგრამაზე დაგეგმილ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობას. ამასთან, დარგობრივი/პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პერსონალის შეფასებისას გამოიკვეთა, რომ ხელოვნური ინტელექტის მიმართულების შესაბამისი მოდულების განხორციელებისთვის საჭირო კვალიფიკაცია და კომპეტენცია გასაუბრებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე სრულად დასტურდება მხოლოდ პროგრამის ხელმძღვანელის შემთხვევაში.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამაზე განსაზღვრული 50 პროფესიული სტუდენტის ორ სასწავლო ჯგუფად ორგანიზების პირობებში, დარგობრივი მოდულების განხორციელებისთვის მხოლოდ ერთი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლის არსებობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვერ ქმნის პროგრამის მდგრადი და უწყვეტი განხორციელების საკმარის საფუძველს. აღნიშნული გარემოება წარმოშობს რისკს, რომ პროგრამის ხელმძღვანელის დროებითი არყოფნის, გადატვირთვის ან სხვა გაუთვალისწინებელი გარემოების შემთხვევაში შეფერხდეს დარგობრივი მოდულების განხორციელება, რაც, თავის მხრივ, შესაძლოა აისახოს სასწავლო პროცესის უწყვეტობასა და სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფაზე.
შესაბამისად, მოცემული ინდიკატორი შეფასდა ხარვეზით.
აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და დააფიქსირა, რომ ექსპერტთა ჯგუფის შეფასებას ნაწილობრივ ეთანხმება. საკუთარი პოზიციის გასამყარებლად კოლეჯმა წარმოადგინა შესაბამისი არგუმენტები. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს დაწესებულების მიერ გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ პროგრამის ხელმძღვანელის გარდა, დამატებით ოთხი პროფესიული განათლების მასწავლებლის კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო კომპეტენციებს. აღნიშნული გარემოება ვერ დადასტურდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე.წარმოდგენილი დოკუმენტაციის, კვალიფიკაციის დამადასტურებელი მასალებისა და ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული გასაუბრებების შედეგების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დაადასტურა აღნიშნული პირების შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაცია და კომპეტენცია იმ მოცულობით, რაც აუცილებელია პროგრამის პროფესიული მოდულების ხარისხიანად და დამოუკიდებლად განხორციელებისთვის.
ამასთან, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების საერთო რაოდენობრივი მაჩვენებელი თავისთავად ვერ უზრუნველყოფს ინდიკატორის მოთხოვნის დაკმაყოფილებას, ვინაიდან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პერსონალის რაოდენობა, არამედ მათი შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაცია და კომპეტენცია, აგრეთვე პროგრამის დაგეგმილი კონტინგენტის პირობებში სასწავლო პროცესის უწყვეტობისა და მდგრადობის უზრუნველყოფის შესაძლებლობა.
აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N01-26, 19.06.2026, რომელშიც ბოლო ცვლილება განხორციელებულია დირექტორის 17.08.2026 წლის ბრძანებით N01-26. ინდიკატორი 2.2.1.2-ის ფარგლებში შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად განსაზღვრულია „დამატებით ასაყვანი პროფესიული მასწავლებლების შერჩევის დაწყება“. დაწესებულების მიერ აღნიშნული აქტივობა შეფასებულია „მეტწილი შესაბამისობით“ და მისი განხორციელების ვადად განსაზღვრულია ორი თვე — დაწყების თარიღად მითითებულია 17.08.2026, ხოლო დასრულების თარიღად — 10.10.2026.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული ღონისძიება მიმართულია გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრისკენ, ხოლო მისი განხორციელებისთვის განსაზღვრული ვადა რეალისტურია. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ დაწესებულებას აქვს ხარვეზის აღმოფხვრისთვის შესაბამისი ღონისძიების განხორციელების შესაძლებლობა და აღნიშნული საფუძვლად დაედო შესაბამისობის რეკომენდაციის გაცემას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისობის რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტი“ დარგობრივი მოდულების განხორციელებისთვის საჭირო რაოდენობისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლების დამატება სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.

პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობრივ რესურსის, ისე გამოვლენილი დარგობრივი საკადრო საჭიროებებისა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფის **შეფასებით, ინდიკატორი 2.2.1.2 — „პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას“ — მეტწილად შეესაბამება**.

3. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტი“ განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები, მათ შორის, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები, სერტიფიკატები, პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები, ავტობიოგრაფიები და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები. ამასთან, დარგის ექსპერტმა შეაფასა თითოეული განმახორციელებელი პირის განათლების, კვალიფიკაციისა და პროფესიული გამოცდილების შესაბამისობა მისთვის განსაზღვრული მოდულების შინაარსთან და მოდულებით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.

დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „შინაგანაწესი“, რომლის მე-3 მუხლით განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა, მათ შორის ძირითადი და მოწვეული პროფესიული განათლების მასწავლებლების, საკვალიფიკაციო მოთხოვნები. აღნიშნული რეგულაციის შესაბამისად, ძირითადი პროფესიული განათლების მასწავლებელი უნდა ფლობდეს პროგრამით/მოდულ(ებ)ით განსაზღვრული სწავლის შედეგების შესაბამის პროფესიულ ან/და უმაღლეს განათლებას, ან შესაბამის სფეროში ბოლო 10 წლის განმავლობაში არანაკლებ სამწლიანი სამუშაო გამოცდილებას. მოწვეულ მასწავლებლად მუშაობის დასაწყებად კანდიდატს უნდა ჰქონდეს პროგრამით/მოდულ(ებ)ით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი სამუშაო გამოცდილება და პროფესიული განათლების მასწავლებლის სტატუსის მოპოვების დროისთვის უნდა იყოს მოქმედი პრაქტიკოსი შესაბამის დარგში.

პროგრამის დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ცალკეულ შემთხვევაში ვერ დასტურდებოდა დაწესებულების მიერ თავად განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობა. კერძოდ, წარმოდგენილი დოკუმენტაციით სრულად ვერ დასტურდებოდა იმგვარი პროფესიული გამოცდილებისა და დარგობრივი კომპეტენციის არსებობა, რომელიც უშუალოდ უკავშირდება პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და შესაბამისი მოდულების შინაარსს. ასევე, ავტობიოგრაფიებში, სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელ დოკუმენტებსა და სხვა წარმოდგენილ მტკიცებულებებში არ იკვეთებოდა საკმარისი ინფორმაცია ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის ან შესაბამისი პრაქტიკული კომპეტენციების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ ცალკეული პროფესიული განათლების მასწავლებლების შემთხვევაში დადასტურებული იყო განათლება და/ან პროფესიული გამოცდილება ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების სფეროს მომიჯნავე მიმართულებებში, მათ შორის პროგრამული უზრუნველყოფის, ვებდეველოპმენტის, ინფორმატიკისა და სხვა შესაბამის მიმართულებებში. თუმცა, მხოლოდ აღნიშნულ სფეროში ზოგადი ან მომიჯნავე კვალიფიკაციის არსებობა არ იქნა მიჩნეული კონკრეტული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასებისთვის საჭირო დარგობრივი კომპეტენციის საკმარის დამადასტურებელ საფუძვლად. აღნიშნული შეფასებისას ექსპერტთა ჯგუფმა მხედველობაში მიიღო არა მხოლოდ კვალიფიკაციის სფეროს ფართო კლასიფიკაციური კუთვნილება, არამედ კონკრეტული მოდულის შინაარსი, სწავლის შედეგები, მათი მიღწევისთვის საჭირო სპეციალიზებული ცოდნა და უნარები, ასევე შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განმარტეს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები შემუშავებული იყო პროფესიული განათლების მასწავლებლის შესაბამისი სტანდარტის საფუძველზე და აღნიშნული სტანდარტის ამოქმედების გადავადების გათვალისწინებით, ვიზიტის მიმდინარეობის პერიოდში შეიტანეს ცვლილებები დაწესებულების შიდა რეგულაციაში. მათ შორის, მოწვეული პროფესიული განათლების მასწავლებლების მიმართ განსაზღვრული გარკვეული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ამოქმედების ვადა განისაზღვრა 2027 წლის იანვრიდან.

ექსპერტთა ჯგუფი ვერ გაიზიარებს აღნიშნულ განმარტებას, ვინაიდან შესაბამისობის შეფასება განხორციელდა შეფასების მომენტში მოქმედი დაწესებულების შიდა რეგულაციების საფუძველზე. შეფასების პერიოდში მოქმედი „შინაგანაწესი“ თავად დაწესებულებისთვის წარმოადგენდა სავალდებულოდ შესასრულებელ შიდა რეგულაციას და მასში განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული პროფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევისა და დასაქმების პროცესში. შესაბამისად, შეფასების შემდგომ განხორციელებული ცვლილება ვერ ცვლის იმ ფაქტობრივ მდგომარეობას, რომელიც ექსპერტთა ვიზიტის დროს არსებობდა. - შესაბამისად მოცემული ინდიკატორის ფარგლწბში დაფიქსირდა ხარვეზი.

დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებას ნაწილობრივ დაეთანხმა და საკუთარი პოზიციის გასამყარებლად დამატებით მიუთითა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტი“ (0613.3.3) სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად მიეკუთვნება ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების (061) ვიწრო სფეროს. დაწესებულების განმარტებით, პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლებად შერჩეული პირების კვალიფიკაციებიც აღნიშნულ ვიწრო სფეროს მიეკუთვნება და მათი შერჩევა განხორციელდა კონკრეტული მოდულების შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით.

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების მიერ მითითებულ პროგრამის კლასიფიკაციურ კუთვნილებას, თუმცა ვერ გაიზიარებს დასკვნას, რომ პროგრამის 061 ვიწრო სფეროსადმი კუთვნილება ავტომატურად ადასტურებს პროგრამის ყველა დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი პირის შესაბამისობას. პროგრამის ვიწრო სფეროსადმი კლასიფიკაციური კუთვნილება განსაზღვრავს პროგრამის ზოგად დარგობრივ მიმართულებას და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თავისთავად არ ადასტურებს კონკრეტული პირის მიერ პროგრამის თითოეული მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასებისთვის საჭირო სპეციალიზებული კომპეტენციის ფლობას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, აღნიშნული კომპეტენცია უნდა დასტურდებოდეს კონკრეტული მოდულის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან მიმართებით, პირის განათლების, პროფესიული გამოცდილების, დამატებითი კვალიფიკაციების, პრაქტიკული საქმიანობისა და სხვა შესაბამისი მტკიცებულებების ერთობლივი შეფასებით. შესაბამისად, 061 სფეროში კვალიფიკაციის არსებობა შესაძლებელია ჩაითვალოს დარგობრივად რელევანტურ ზოგად საფუძვლად, თუმცა იგი არ წარმოადგენს საკმარის მტკიცებულებას ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტის სპეციფიკური მიმართულებებით განსაზღვრული სწავლის შედეგების სწავლებისა და შეფასების კომპეტენციის დასადასტურებლად.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეაფასა დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციაში მითითებული განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციები და პროფესიული გამოცდილება. წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებების შედეგების საფუძველზე, ჯგუფმა ვერ დაადასტურა, რომ პროგრამის ხელმძღვანელის გარდა წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება სრულად უზრუნველყოფს მათთვის განსაზღვრული დარგობრივი მოდულების სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასებისთვის საჭირო კომპეტენციას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება არა კონკრეტული კვალიფიკაციის სახელწოდებას, არამედ მის შესაბამისობას კონკრეტული მოდულის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მათ მისაღწევად საჭირო პრაქტიკულ კომპეტენციებთან.

ამდენად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების ნაწილში ვერ დასტურდება პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასებისთვის საჭირო კომპეტენცია იმ მოცულობით, რაც აუცილებელია პროგრამის ხარისხიანი და მდგრადი განხორციელებისთვის.

ამასთან, დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც მოცემული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, იდენტიფიცირებულ საჭიროებად განსაზღვრულია „ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტის“ პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით დამატებით განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა და კვაალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა.

აღნიშნული საჭიროების საპასუხოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში განსაზღვრულია შესაბამისი აქტივობები, მათ შორის, განმახორციელებელი პირებისგან დამატებითი ინფორმაციისა და ცნობების გამოთხოვა მათ მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობისა და/ან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში მათ მიერ განხორციელებული მოდულების ჩამონათვალის შესახებ, აგრეთვე დამატებითი პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევის პროცესის დაწყება. აღნიშნული აქტივობების განხორციელების ვადად განსაზღვრულია 2026 წლის 17 აგვისტოდან 2026 წლის 10 ოქტომბრამდე პერიოდი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები უშუალოდ უკავშირდება გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრას და მიმართულია პროგრამის დარგობრივი მოდულების განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის გაძლიერებისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევისკენ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა რეალისტურია და მოიცავს გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრისკენ მიმართულ კონკრეტულ ღონისძიებებს. შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა **შესაბამისობის რეკომენდაცია:**

დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტი" პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეების მის მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, **ინდიკატორი 2.2.1.3 — „პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია" — მეტწილად შეესაბამება.**

4.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტი" ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული პროგრამის ხელმძღვანელი. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა „საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების დანიშვნის აქტი", პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მისი ფუნქციების განმსაზღვრელი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები.

დაწესებულების „დებულებათა კრებულის" 31[1] მუხლი განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის წესსა და ფუნქციებს. აღნიშნული რეგულაციის თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო გეგმის შემუშავება-ადაპტირების პროცესში, განმახორციელებელი პერსონალისა და საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრაში, სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაში, დარგობრივი სიახლეების გაცნობა-დანერგვაში, ასევე შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში.

ვიზიტის ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად დადასტურდა მისი ჩართულობა პროგრამის შემუშავებისა და სასწავლო რესურსების განსაზღვრის პროცესებში. ასევე, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს პროგრამის შინაარსის, განხორციელების სპეციფიკისა და პროფესიულ სტუდენტთა მიერ მისაღწევი სწავლის შედეგების შესახებ შესაბამის ცოდნასა და დარგობრივ კომპეტენციას.

დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „შინაგანაწესი", რომლის მე-3 მუხლი განსაზღვრავს პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. აღნიშნული რეგულაციის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს შესაბამისი დარგობრივი მიმართულების უმაღლესი ან პროფესიული განათლების მქონე პირი, გააჩნდეს კომუნიკაციის უნარი, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ ერთწლიანი პრაქტიკული გამოცდილება და ფლობდეს საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებებისა და საოფისე პროგრამების გამოყენების უნარებს.

პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულად არ ადასტურებს დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობას. კერძოდ, პირად საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტებით არ იკვეთება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ყველა იმ მოთხოვნის დაკმაყოფილება, რომელიც დაწესებულების შიდა რეგულაციით არის განსაზღვრული პროგრამის ხელმძღვანელის პოზიციისთვის.

აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გაითვალისწინა ვიზიტის ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელთან ჩატარებული გასაუბრების შედეგები და მის მიერ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა. დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი უშუალოდ იყო ჩართული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების პროცესსა და პროგრამის რესურსების განსაზღვრაში. ასევე, მის მიერ შემუშავებულია ქართულენოვანი სასწავლო რესურსი, რომელიც ორიენტირებულია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევაზე და შეესაბამება პროგრამის დარგობრივი მოდულების შინაარსს.

ექსპერტთა ჯგუფმა კომპლექსურად შეაფასა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგები და მის მიერ პროგრამის ფარგლებში შესრულებული საქმიანობა. შეფასების შედეგად დადგინდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევის პროცესში დაწესებულებამ ვერ უზრუნველყო საკუთარი რეგულაციით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების სრულად დაცვა, პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის მართვისთვის საჭირო დარგობრივი ცოდნა, კომპეტენცია და პროგრამის განხორციელების პროცესში ეფექტიანი მონაწილეობის გამოცდილება.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულებას დარღვეული აქვს მისივე შემუშავებული რეგულაცია პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევის ნაწილში, თუმცა პროგრამის ხელმძღვანელის ფაქტობრივი კომპეტენცია და პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა ქმნის პროგრამის მართვისთვის აუცილებელ საფუძველს. **ინდიკატორი 2.2.1.4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი - დაკმაყოფილებულია.**

5. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტი“ მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები, დაწესებულების საბიბლიოთეკო კატალოგი და ხელმისაწვდომი ელექტრონული რესურსები.

დაწესებულების „დებულებათა კრებულის“ V თავი — „ბიბლიოთეკის დებულება“ — განსაზღვრავს ბიბლიოთეკის ფუნქციებს, რესურსების მართვისა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის ელექტრონული ფორმით.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეაფასა პროგრამის დამატებითი საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის საკითხი. დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს შემუშავებული აქვს ქართულენოვანი სასწავლო რესურსები, რომლებიც შესაბამისობაშია პროგრამის მოდულების შინაარსთან და ორიენტირებულია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ხელშეწყობაზე.

აღნიშნული რესურსების არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით ქართულ ენაზე არსებული სასწავლო მასალები შეზღუდულია. შექმნილი ქართულენოვანი რესურსები პროფესიულ სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიიღონ დამატებითი ინფორმაცია მოდულებით გათვალისწინებულ საკითხებზე, უკეთ გაიაზრონ სასწავლო მასალა და ეფექტიანად მიაღწიონ პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებაში არსებული საბიბლიოთეკო და ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები, ასევე პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შემუშავებული დამატებითი ქართულენოვანი სასწავლო მასალები, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების სასწავლო რესურსებით სათანადო მხარდაჭერას. - **ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში; - დაკმაყოფილებულია.**

6. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ სსსმ პირებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და საგანმანათლებლო რესურსის ადაპტირების მარეგულირებელი მექანიზმები. დაწესებულების „დებულებათა კრებულის“ 51[1] მუხლით — „ინდივიდუალური სასწავლო გეგმა“ — განსაზღვრულია, სსსმ პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საფუძვლები, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა და გეგმის ძირითადი კომპონენტები. აღნიშნული მუხლის თანახმად,

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო საჭიროებებს, ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, სწავლების სტრატეგიებს, სასწავლო აქტივობებს, გამოსაყენებელ სახელმძღვანელოებსა და დამატებით საგანმანათლებლო რესურსის ადაპტირება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად. „პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობითა“ და მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით ასევე განსაზღვრულია მათი ვალდებულება, საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობა მიიღონ მოდულისა და საგანმანათლებლო რესურსის მოდიფიკაციის ან აკომოდაციისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში.

გამომდინარე იქიდან, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტი“ სასწავლო პროცესი ჯერ-ჯერობით არ ხორციელდება, რადგან დაწესებულება პროგრამის დამატების ეტაპზე, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას სსსმ/ შშმ პროფესიული სტუდენტი არ ჰყავს. თუმცა, ზემოთაღნიშნული რეგულაციების მიხედვით, კოლეჯი იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს სასწავლო გარემოსა და რესურსების გონივრული მორგება სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად. რეგულაცია ითვალისწინებს, როგორც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას ასევე, ადაპტირებული სასწავლო მასალების (მაგ. მსხვილი შრიფტით მომზადებული ტექსტები, აუდიო რესურსები და სხვ.) ხელმისაწვდომობას. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 2.2.1.6 სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; - დაკმაყოფილებულია.**

7. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტის“ პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი”. ბიუჯეტი მოიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემოსავლებსა და ძირითად ხარჯებს, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებელთა ანაზღაურების, პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზირების, ადმინისტრაციული, მატერიალური, საბიბლიოთეკო და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სხვა საოპერაციო ხარჯების ნაწილს. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არის 50, ერთ ჯგუფში წარმოდგენილი იქნება 25 პროფესიული სტუდენტი, ხოლო ერთი ჯგუფიდან 16 არის რენტაბელობის ზღვარი. წარმოდგენილი გაანგარიშებით, დაგეგმილი შემოსავლები ფარავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა, რომ ავტორიზაციის სტანდარტი რენტაბელობის ზღვრის კონკრეტულ მაქსიმალურ მაჩვენებელს არ ადგენს. წარმოდგენილი მონაცემებით პროგრამის ფინანსური მდგრადობის გამომრიცხავი გარემოება არ გამოვლენილა. **- ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, .ინდიკატორი 2.2.1.7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. - დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტი" და პროგრამის მოდულები;

2. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ ინფორმაცია";

3. „პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი";

4. პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებები;

5. „საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების დანიშვნის აქტი" და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;

6. დაწესებულების „დებულებათა კრებული";

7. ბიბლიოთეკის კატალოგი და ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები;

8. მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

9. დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

■ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შპს „ინტერბიზნესის აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც დამტკიცებულია შპს „ინტერბიზნესის აკადემიის“ დირექტორის 2017 წლის 9 ნოემბრის №01-44 ბრძანებით და რომელშიც შემდგომ წლებში შეტანილია ცვლილებები, მათ შორის, დირექტორის 2025 წლის 16 მაისის №01-20 ბრძანებით. დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება „დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე“ ციკლს და მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო პროცესის, ადამიანური და მატერიალური რესურსებისა და დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების შეფასებას. პროგრამის შეფასებისას გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების უკუკავშირი. მექანიზმით ასევე განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების, პროგრამაზე რეგისტრაციის, ჩარიცხვისა და კურსდამთავრებულთა რაოდენობის, პრაქტიკის ობიექტზე დასაქმებისა და პროგრამის პროფილით დასაქმების მაჩვენებლების შესწავლა. შრომის ბაზართან პროგრამის შესაბამისობის შეფასების მიზნით გათვალისწინებულია დამსაქმებელთა გამოკითხვა. დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების მისაღებად დაწესებულება იყენებს კითხვარებს, ფოკუს-ჯგუფებსა და ინტერვიუებს. აღნიშნული მონაცემების ერთობლივი ანალიზი დაწესებულებას შესაძლებლობას აძლევს, პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელება შეაფასოს, როგორც სასწავლო პროცესის ხარისხის, ისე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. „ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტის“ პროგრამა დამატების ეტაპზეა, შესაბამისად, ამ პროგრამის განხორციელებისა და შედეგების შეფასების სრული ციკლი ჯერ არ ჩატარებულა. თუმცა ვიზიტის ფარგლებში ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენელთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუებით დადასტურდა, რომ პროგრამის შეფასება განხორციელდება დაწესებულებაში მოქმედი ერთიანი მექანიზმის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს პროგრამის განვითარებისათვის მნიშვნელოვან რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემებს, შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს, რაც ქმნის პროგრამის შემდგომი შეფასებისა და განვითარების საფუძველს.

- ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.3.1.1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.; - დაკმაყოფილებულია.

2. „შპს ინტერბიზნესის აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ მე-4 მუხლით განსაზღვრულია პროგრამის შეფასებისას გამოსაყენებელი რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლები, მონაცემების ანალიზზე პასუხისმგებელი პირები და შეფასების შედეგებზე შემდგომი რეაგირების წესი.

პროგრამის შეფასებას ახორციელებს ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსთან თანამშრომლობით. შეფასებისას ერთმანეთს უდარდება პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისგან მიღებული ინფორმაცია, აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა მონაცემები. შიდა და გარე შეფასების შედეგების საფუძველზე შესაბამისი სამსახურები შეიმუშავებენ რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელებისა და სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად. სასწავლო პროცესის მიმდინარე შეფასებისთვის მექანიზმი ითვალისწინებს მეცადინეობებზე დასწრებას, შიდა მონიტორინგის დაკვირვების ფურცლის გამოყენებას, პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლების გამოკითხვას და აკადემიური მოსწრების ანალიზს. საჭიროების შემთხვევაში კითხვარებით მიღებული ინფორმაცია ზუსტდება ფოკუს-ჯგუფებისა და დამსაქმებლებთან კომუნიკაციის გზით. პროგრამის შეფასების საფუძველზე ცვლილებების განხორციელების წესი განსაზღვრულია დაწესებულების „დებულებათა კრებულის“ 36[11] მუხლით — „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა/ინიცირება“. აღნიშნული მუხლის შესაბამისად, პროგრამაში ცვლილების შეტანის საფუძველი შეიძლება გახდეს პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზი, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში შეტანილი ცვლილება ან სხვა გამოვლენილი გარემოება. შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლებელია გადაიხედოს მოდულების თანმიმდევრობა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტები და საგანმანათლებლო რესურსები.

პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში ცვლილების შემთხვევაში პროგრამის შესაბამისობაში მოყვანას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, რომელიც შესაბამის საკითხს დასამტკიცებლად წარუდგენს დაწესებულების დირექტორს. ვინაიდან „ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტის“ პროგრამაზე სასწავლო პროცესი ჯერ არ დაწყებულა, პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგები და მათ საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები შეფასების ეტაპზე ვერ იარსებებდა. ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზის, რეკომენდაციების შემუშავებისა და პროგრამაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცვლილებების შეტანის თანამიმდევრული პროცედურა. - **ინდიკატორი 2.3.1.2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. - დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. „შპს ინტერბიზნესის აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები", დამტკიცებული დირექტორის 2017 წლის 9 ნოემბრის №01-44 ბრძანებით და შემდგომი ცვლილებები;

2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით განსაზღვრული შეფასებისა და შიდა მონიტორინგის ფორმები;

3. შპს „ინტერბიზნესის აკადემიის" „დებულებათა კრებული", მათ შორის 36[11] მუხლი;

4. პასუხისმგებელ პირებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.

შეფასება

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ **შეესაბამება**

☐ **მეტწილად შეესაბამება**

☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**

☐ **არ შეესაბამება**

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტი", პროგრამის სასწავლო გეგმები და მოდულები. პროგრამას ერთვის სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის. გეგმებში ასახულია მოდულების განხორციელების თანამიმდევრობა, წინაპირობები, კრედიტები, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები. მოდულები განაწილებულია ლოგიკური თანამიმდევრობით და დაცულია მათზე დაშვების წინაპირობები. ვინაიდან პროგრამის განხორციელება ჯერ არ დაწყებულა, ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესაბამისობა პროგრამასა და სასწავლო გეგმასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პროგრამის განხორციელება დაგეგმილია დამტკიცებული სასწავლო გეგმის შესაბამისად.- **ინდიკატორი 2.4.1.1. - პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად; - დაკმაყოფილებულია.**

2.დაწესებულების „დებულებათა კრებულის" XI და XI[1] თავებით რეგულირდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეჩერება და შეწყვეტა, მობილობა, ფორმალური განათლების აღიარება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, დამატებითი შეფასება, აპელაცია და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები. დადგენილი პროცედურები დაწესებულებას აძლევს შესაძლებლობას, პროფესიული სტუდენტის საჭიროებიდან გამომდინარე შეცვალოს მისი ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვა, აღიაროს მიღწეული სწავლის შედეგები და საჭიროების შემთხვევაში შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ადმინისტრაციასთან და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუებით გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა დასაქმება, ტრანსპორტთან დაკავშირებული საკითხები და სხვა გარემოებები, რომლებიც შესაძლოა გავლენას ახდენდეს სასწავლო პროცესში მათ მონაწილეობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული პროცედურები ქმნის პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებისა და მათი შემხვედრი საჭიროებების შესაბამისად რეაგირების შესაძლებლობას. - **ინდიკატორი 2.4.1.2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; - დაკმაყოფილებულია.**

3. პროგრამის მოდულებში გათვალისწინებულია სწავლების სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის ინტერაქტიული ლექცია, დემონსტრირება, პრაქტიკული სავარჯიშო (კოდირების ამოცანები, პროექტზე დაფუძნებული სწავლება), სიტუაციური დავალება, განხილვა და დამოუკიდებელი მუშაობა. მეთოდები შეესაბამება მოდულების შინაარსსა და მისაღწევ სწავლის შედეგებს. აკადემიაში შექმნილია ყველანაირი პირობა რომ გამოყენებული იქნეს სწავლებისათვის თანამედროვე მეთოდები, ყველა აუდიტორია აღჭურვილია კომპიუტერით და ეკრანით, კოლეჯს შესყიდული აქვს ზუმის და შეფასების ლიცენზირებული პროგრამები. ასევე სასწავლო პროცესში გამოყენებული იქნება Discord, Git, GitHub, Google Gemini, Google Edge Gallery, chatgpt, Microsoft power apps, qwenAI, Opencode, AnythingLLM, Olama, LLM Studio, openrouter, hermes agent ტექნოლოგიები, და პლატფორმები. დაწესებულებას დირექტორის 2020 წლის 18 ივნისის №01-18 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „დისტანციური სწავლების ინსტრუქცია", პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი კი ითვალისწინებს პროგრამის ნაწილობრივ დისტაცნიურად განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, დაწესებულებას აქვს რესურსი პროგრამის დისტანციურად განხორციელებისათვის. **ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.4.1.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას; - დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულების „დებულებათა კრებულის" 51[1] მუხლით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შემთხვევები და პროცედურა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო საჭიროებები, შესაძლებლობები და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის გზები. გეგმის შემუშავებაში მონაწილეობს პროფესიული სტუდენტი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — მისი კანონიერი წარმომადგენელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, შესაბამისი ადმინისტრაციული პერსონალი და მოწვეული სპეციალისტი. ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით შესაძლებელია სწავლების მეთოდების, სასწავლო აქტივობების, რესურსებისა და შეფასების მიდგომების აკომოდაცია. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებაში მოქმედი პროცედურა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას სასწავლო პროცესში.**ინდიკატორი 2.4.1.4 - პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები; - დაკმაყოფილებულია**

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "ხელოვნური ინტელეტის დეველოპმნტი" ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად, არ საჭიროებს პსდ-ს თანამშრომლობას პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ი**ნდიკატორი 2.4.1.5. - პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით; - დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროგრამისთვის განკუთვნილი სასწავლო გარემო. გარდა აღნიშნულისა, აკადემიის დებულებათა კრებულით გაწერილია უსაფრთხოების სამსახურის უფლებამოვალეობები, რომლის ძირითად მოვალეობა შეადგენს სასწავლო და სამუშაო პროცესის უსაფრთხო განხორციელება. მათ შორის უსაფრთხო სასწავლო გარემოს, სახანძრო უსაფრთხოებისა და საჭიროების შემთხვევაში პირველადი დახმარების უზრუნველყოფა. სტუდენტებისათვის ტარდება შრომის უსაფრთხოების ტრენინგი, რომლის დასასრულს სტუდენტები ავსებენ ტესტს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტი“ არ ითვალისწინებს განსაკუთრებული უსაფრთხოების წესების დაცვას.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას ახალ მისამართზე ჯერ არ ჰქონდა მოპოვებული შენობის სახანძრო უსაფრთხოების დადებითი დასკვნა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. აღნიშნული გარემოებები დაკავშირებულია დაწესებულების საერთო ინფრასტრუქტურულ უსაფრთხოებასთან და შეფასებულია მეხუთე სტანდარტის შესაბამისი ინდიკატორების ფარგლებში. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე უსაფრთხო სწავლების ორგანიზებისთვის საჭირო შიდა პროცედურები და პირობები განსაზღვრულია. შესაბამისად, მეხუთე სტანდარტის ფარგლებში გამოვლენილი ინფრასტრუქტურული საკითხების გათვალისწინებით, **ინდიკატორი 2.4.1.6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. - დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. შპს „ინტერბიზნესის აკადემიის” „დებულებათა კრებული”;

2. „დისტანციური სწავლების ინსტრუქცია”, დამტკიცებული დირექტორის 2020 წლის 18 ივნისის №01-18 ბრძანებით;

4. პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსებისა და სასწავლო გარემოს შესახებ ინფორმაცია;

5. პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული სასწავლო გარემოს დათვალიერების შედეგები;

6. ადმინისტრაციის, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების ინტერვიუს შედეგები.

გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა განსაზღვრულია დაწესებულების „დებულებათა კრებულის“ 41[1].1 მუხლით — „პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება“. დოკუმენტით გამიჯნულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმსაზღვრელი შეფასება ეფუძნება კომპეტენციების დადასტურებას და ითვალისწინებს შედეგებს — „დადასტურდა“ ან „ვერ დადასტურდა“.
პროფესიულ სტუდენტს წინასწარ მიეწოდება ინფორმაცია შეფასების პირობების, კრიტერიუმების, განმეორებითი შეფასებისა და შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ. უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს აქვს დამატებით შეფასებაზე გასვლის უფლება, ხოლო შეფასებასთან უთანხმოების შემთხვევაში — შედეგის გასაჩივრების შესაძლებლობა. თეორიული კომპონენტის შეფასებისთვის დაწესებულება იყენებს ლიცენზირებულ ელექტრონულ პლატფორმას. პრაქტიკული კომპეტენციების შეფასება განხორციელდება მოდულით განსაზღვრული პრაქტიკული დავალებისა და შეფასების ფურცლების გამოყენებით. წარმოდგენილი რეგულაციები და შეფასების პროცესის დაგეგმილი ორგანიზება უზრუნველყოფს შეფასების პირობების წინასწარ განსაზღვრას, პროფესიულ სტუდენტთა თანაბარ პირობებში შეფასებასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიღებული გადაწყვეტილების გადამოწმების შესაძლებლობას. - **ინდიკატორი 2.4.2.1. -პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური; - დაკმაყოფილებულია.**

2. ვერიფიკაციის პროცესი განსაზღვრულია „შპს ინტერბიზნესის აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ II თავით — „შიდა მონიტორინგის ინსტრუქცია“. დოკუმენტის მე-11 მუხლის მიხედვით, ვერიფიკაცია ხორციელდება შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შექმნილი მტკიცებულებების მიმართულებით. შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივ ვალიდაციას ახორციელებს შესაბამისი დარგის სპეციალისტი, ხოლო პროცესისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციას — ხარისხის მართვის სამსახური ან დირექტორის ბრძანებით შექმნილი შიდა მონიტორინგის ჯგუფი. ვერიფიკაციის პროცესში არ ერთვება პირი, რომელიც შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში მონაწილეობდა. ვერიფიკაცია ეფუძნება შერჩევითობისა და რისკების შეფასების პრინციპს. შედეგები აისახება დასკვნაში, რომელშიც აღიწერება გამოვლენილი გარემოებები და საჭიროების შემთხვევაში განისაზღვრება გაუმჯობესების ღონისძიებები. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, განსაზღვრული მექანიზმი იძლევა შეფასების ინსტრუმენტების, პროცესისა და მტკიცებულებების სანდოობისა და შესაბამისობის შემოწმების შესაძლებლობას. - **ინდიკატორი 2.4.2.2. - პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს; - დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტების აღრიცხვისა და შენახვის პირობები განსაზღვრულია დაწესებულების „დებულებათა კრებულის“ 24.8.12 და 24.8.13 პუნქტებით. განმსაზღვრელი შეფასების მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში შეფასების უწყისის გაფორმებიდან სამი წლის განმავლობაში. ვადის გასვლის შემდეგ მტკიცებულებები ნადგურდება შესაბამისი აქტის საფუძველზე. შეფასების შედეგები აღირიცხება ელექტრონულ რეესტრში, რომელშიც ასახულია პროგრამა, მოდული, პროფესიული სტუდენტი, მტკიცებულების შენახვის ადგილი და შეფასების შედეგი. ელექტრონული პლატფორმით ჩატარებული შეფასების შედეგები ინახება ელექტრონულად, ხოლო პრაქტიკული და პლატფორმის გარეშე ჩატარებული შეფასების მტკიცებულებები — მატერიალური ან შესაბამისი ელექტრონული ფორმით. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებაში განსაზღვრულია შეფასების მტკიცებულებების იდენტიფიცირების, აღრიცხვის, შენახვისა და განადგურების სათანადო წესი.- **ინდიკატორი 2.4.2.3. - პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;დაკმაყოფილებულია.**

4. „დებულებათა კრებულის“ 41¹.1 მუხლით გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტისთვის შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებული უკუკავშირის მიწოდება. ელექტრონული პლატფორმით შეფასების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი ეცნობა მიღებულ შედეგსა და დაშვებულ შეცდომებს, ხოლო სხვა ფორმით ჩატარებული შეფასებისას უკუკავშირს აწვდის პროფესიული განათლების მასწავლებელი პერსონალური მონაცემების დაცვის მოთხოვნების შესაბამისად. განმავითარებელი შეფასება გამოიყენება პროფესიული სტუდენტის პროგრესისა და დამატებითი საჭიროებების გამოსავლენად. შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში სტუდენტს აქვს დამატებითი შეფასებით სარგებლობის შესაძლებლობა და ეძლევა ინფორმაცია იმ საკითხების შესახებ, რომლებზეც მუშაობა უნდა გააგრძელოს. ვინაიდან პროგრამის განხორციელება ჯერ არ დაწყებულა, კონკრეტულად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამ პროგრამის პროფესიული სტუდენტებისთვის მიცემული უკუკავშირის პრაქტიკა ვერ შეფასდებოდა. თუმცა დაწესებულებაში მოქმედი წესი და სხვა პროგრამების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები ადასტურებს, რომ შეფასების შედეგები გამოიყენება პროფესიული სტუდენტის შემდგომი განვითარების მხარდასაჭერად. - **ინდიკატორი 2.4.2.4 - პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. - დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. შპს „ინტერბიზნესის აკადემიის" „დებულებათა კრებული";

2. „შპს ინტერბიზნესის აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები";

3. ვერიფიკაციის გეგმა, ვერიფიკაციის დასკვნის ფორმა და შესაბამისი შიდა მონიტორინგის დოკუმენტები;

4. შეფასების უწყისისა და განმსაზღვრელი შეფასების შედეგების ელექტრონული აღრიცხვის ფორმები;

5. ელექტრონული შეფასების პლატფორმის შესყიდვისა და გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტები;

6. ხარისხის მართვისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურების წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები.

გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ **შეესაბამება**

☐ **მეტწილად შეესაბამება**

☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**

☐ **არ შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის სახელწოდება	საწყობის ოპერირება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საწყობის ოპერირებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0416
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძ.N01-14; 22.04.2026წ
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, ქსანის ქ.30
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	25
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“ სასწავლო გეგმა, მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგები, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პირობები და პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
დაწესებულებას პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული აქვს 40 პროფესიული სტუდენტით (ორ ცვლაში). ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა, როგორც დაწესებულების შიდა მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები, ასევე პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესაძლებლობები.
შეფასების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას გააჩნია პროგრამის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისთვის შესაბამისი სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი. თუმცა, პროგრამით გათვალისწინებული გარკვეული სწავლის შედეგების მიღწევა უნდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელდეს რეალურ სამუშაო გარემოში, პრაქტიკის ობიექტებზე, რაც ზღუდავს პროფესიულ სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრას.

წარმოდგენილი ხელშეკრულებების მიხედვით, პარტნიორი ორგანიზაციების მიერ პრაქტიკული სწავლებისთვის ერთდროულად მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა შეადგენს ჯამში 25 სტუდენტს (შპს „გორგია“ – 20 პროფესიული სტუდენტი, შპს „ნოვა“ – 5 პროფესიული სტუდენტი). აღნიშნული რაოდენობა არ შეესაბამება დაწესებულების მიერ მოთხოვნილ 40 პროფესიულ სტუდენტს და ვერ უზრუნველყოფს ყველა პროფესიული სტუდენტისთვის პრაქტიკული კომპონენტის ერთნაირი პირობებით განხორციელების შესაძლებლობის დადასტურებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი ვერ დაეთანხმა დაწესებულების მიერ მოთხოვნილ 40 პროფესიულ სტუდენტიან ზღვრულ რაოდენობას, ვინაიდან წარმოდგენილი მტკიცებულებებით პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესაძლებლობა დასტურდება მხოლოდ 25 პროფესიული სტუდენტის ფარგლებში. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა შესაძლო ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრა 25 პროფესიული სტუდენტი, რაც შესაბამისობაშია წარმოდგენილი პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობებთან და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ეტაპზე წარმოადგინა დამატებითი მტკიცებულება, კერძოდ, შპს „გორგიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების დანართი/შეთანხმება, დათარიღებული 2026 წლის 3 აგვისტოთი. წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, 2026 წლის 17 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.2 პუნქტის 2.2.5 ქვეპუნქტი ჩამოყალიბებულია ახალი რედაქციით, რომლის მიხედვითაც: „გორგია უზრუნველყოფს ერთდროულად ჯამურად 40 (ორმოცი, 20+20) პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ხელშეწყობას „გორგიას“ სამუშაო გარემოში. პრაქტიკული კომპონენტის პერიოდი/ხანგრძლივობა განისაზღვრება მოდულის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების №1 დანართით, „გორგიას“ სამუშაო დროის შუალედებში და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.“ ხელშეკრულების სხვა პირობები დარჩა უცვლელი.

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას და წარმოდგენილ დამატებით მტკიცებულებას მიიჩნევს პრაქტიკის ობიექტის მიერ ერთდროულად 40 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესაძლებლობის დამადასტურებელ დოკუმენტად.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ აღნიშნული მტკიცებულება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დასრულების შემდგომ. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტის ფარგლებში არ ჰქონდა შესაძლებლობა, ადგილზე გადაემოწმებინა ხელშეკრულებით განსაზღვრული შეცვლილი პირობების ფაქტობრივი განხორციელების შესაძლებლობა, მათ შორის, პრაქტიკის ობიექტის სამუშაო გარემოსა და შესაბამისი რესურსების პრაქტიკული ხელმისაწვდომობა 40 პროფესიული სტუდენტისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი დამატებითი მტკიცებულება ადასტურებს პრაქტიკის ობიექტის მიერ 40 პროფესიული სტუდენტის ერთდროულად მიღების ვალდებულებას, აღნიშნული მტკიცებულების წარმოდგენის დროისა და მისი ფაქტობრივი განხორციელების შესაძლებლობის ადგილზე გადამოწმების შეუძლებლობის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის ფარგლებში დადგენილი გარემოებები არ შეცვლილა. შესაბამისად, წარმოდგენილი დამატებითი მტკიცებულების გათვალისწინების მიუხედავად, ექსპერტთა ჯგუფის თავდაპირველი შეფასება ზღვრულ რაოდენობასთან დაკავშირებით უცვლელი დარჩა და პროგრამის განხორციელების დასაშვებ ზღვრულ რაოდენობად განისაზღვრა **25 პროფესიული სტუდენტი**.

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება გამომდინარეობს აკადემიის მისიიდან, სტრატეგიული მიზნებიდან და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემით განსაზღვრული მოთხოვნებიდან. პროგრამის მიზანშეწონილობა დასაბუთებულია როგორც შრომის ბაზრის მოთხოვნების, ასევე დასაქმების შესაძლებლობების ანალიზის საფუძველზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“ განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, სტრატეგიულ მიზნებთან და ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებთან.

შეფასების პროცესში წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების მიზნით დაწესებულებას შესწავლილი აქვს შრომის ბაზრის მოთხოვნები, მათ შორის დასაქმების პლატფორმებზე არსებული ვაკანსიები, დამსაქმებელთა საჭიროებები და დარგის განვითარების ტენდენციები. წარმოდგენილი ინფორმაცია იძლევა საფუძველს შეფასდეს, რომ პროგრამის შინაარსი და დაგეგმილი შედეგები ორიენტირებულია იმ კომპეტენციების განვითარებაზე, რომლებზეც შრომის ბაზარზე რეალური მოთხოვნა არსებობს.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის მიზნები ლოგიკურად უკავშირდება დაწესებულების მისიას, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების განვითარებას, კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრების მომზადებას, ასევე მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის, დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობას.

ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგების ანალიზი ადასტურებს, რომ პროგრამის ინიცირების, შემუშავებისა და დამტკიცების პროცესი განხორციელებულია დაწესებულებაში მოქმედი ნორმატიული აქტების, ხარისხის უზრუნველყოფის წესებისა და შესაბამისი პროცედურების დაცვით. პროგრამის დაგეგმვის პროცესში გამოყენებული მტკიცებულებები და მიღებული გადაწყვეტილებები შეესაბამება ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპებს და ქმნის საფუძველს პროგრამის მდგრადი განხორციელებისთვის.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აღნიშნული სტანდარტის ფარგლებში წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისია პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის, მისი ინსტიტუციურ სტრატეგიასთან შესაბამისობისა და შრომის ბაზარზე ორიენტირებულობის დასადასტურებლად. - **ინდიკატორი 2.1.1.1. - პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას - დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით, „საწყობის ოპერირების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება. პროგრამაზე მიღება ხორციელდება პროფესიული ტესტირების ან/და მოტივაციური გასაუბრების საფუძველზე, რაც განსაზღვრულია შესაბამისი შიდა რეგულაციებით.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება პროგრამის სპეციფიკასა და იმ კვალიფიკაციის მოთხოვნებს, რომლის მინიჭებასაც პროგრამა ითვალისწინებს. წარმოდგენილი მიღების პროცედურები არის მკაფიო, წინასწარ განსაზღვრული და გამჭვირვალე, ხოლო შეფასების მექანიზმები ორიენტირებულია იმ აპლიკანტების შერჩევაზე, რომლებიც პროგრამის განხორციელების პერიოდში შეძლებენ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი შესაბამისობაშია მოქმედ ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოსთან და დაწესებულების შიდა მარეგულირებელ აქტებთან. დაშვების წინაპირობები და მიღების პროცედურები უზრუნველყოფს კანდიდატების თანასწორ, ობიექტურ და არადისკრიმინაციულ შეფასებას, რაც ქმნის პროგრამაზე სამართლიანი დაშვების და სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევის წინაპირობას.

ინდიკატორი 2.1.1.2. - საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. - დაკმაყოფილებულია

3. აკადემიას შემუშავებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, ინსტრუქცია და აუდიტორიების დატვირთვის სქემა“, რომლის საფუძველზეც განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა. მეთოდოლოგია ითვალისწინებს A, B და C სასწავლო გარემოების არსებობას, მათ გამტარუნარიანობას, ასევე პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას ორ ცვლაში (დილა/საღამო).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამა „საწყობის ოპერირება“ ერთ ცვლაში ითვალისწინებს 20, ხოლო ორ ცვლაში – 40 პროფესიული სტუდენტის მიღებას. ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის პროცესში გათვალისწინებულია სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობა, ადამიანური, მატერიალური, ტექნიკური და საინფორმაციო რესურსები, ასევე პროგრამის განხორციელებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციების შესაძლებლობები.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ადგილზე დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და ადმინისტრაციასთან ინტერვიუს ფარგლებში გადაამოწმა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის საფუძვლები. შეფასების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს შესაბამის კრიტერიუმებსა და შეფასების პრინციპებს.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ პროგრამისთვის მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის შესაბამისობა დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტების რესურსებთან შეფასებულია სტანდარტის 2.2-ის 2.2.1 კომპონენტის ფარგლებში. შესაბამისად, აღნიშნულ კომპონენტში შეფასების საგანს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოადგენს მეთოდოლოგიის არსებობა და მისი გამოყენება, რის საფუძველზეც ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი 2.1.1.3. .პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. - დაკმაყოფილებულია.**

4. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“ მოდულები და მათში მითითებული სასწავლო რესურსების ჩამონათვალი. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა ბიბლიოთეკის დათვალიერება და ელექტრონული კატალოგის გაცნობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის ყველა მოდული უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო რესურსებით.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, საგანმანათლებლო რესურსები შინაარსობრივად შეესაბამება მოდულების მიზნებსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი ხელმისაწვდომია ელექტრონული ფორმატით, რაც პროფესიულ სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო რესურსებზე შეუფერხებელი წვდომით როგორც სასწავლო პროცესის განმავლობაში, ისე დამოუკიდებელი სწავლის მიზნით.

წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის განხორციელების პროცესში გამოყენებული სასწავლო მეთოდები და რესურსები შეესაბამება მოდულების შინაარსსა და დაგეგმილ სწავლის შედეგებს. სწავლების პროცესში გამოიყენება ინტერაქტიური ლექციები, ფოტო- და ვიდეომასალა, სასწავლო რესურსების დემონსტრირება, პრაქტიკული დავალებები და სწავლება რეალურ სამუშაო გარემოში, რაც ხელს უწყობს პროფესიული კომპეტენციების განვითარებასა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდიკატორი 2.1.1.4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. - დაკმაყოფილებულია.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საწყობის ოპერირება“ არ ითვალისწინებს არჩევით მოდულს. **ინდიკატორი 2.1.1.5. .საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან; - დაკმაყოფილებულია.**

6. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საწყობის ოპერირება“ დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2026 წლის 22 აპრილის №01-14 ბრძანებით. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია. შეფასების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის დამტკიცების პროცედურა განხორციელებულია დაწესებულების შიდა ნორმატიული აქტებისა და წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილებების შესაბამისად. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესი არის ფორმალურად გამართული, დოკუმენტირებული და გამჭვირვალე.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის დამტკიცების პროცედურა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხილვასა და დამტკიცებას უფლებამოსილი პირის მიერ, შესაბამისი დოკუმენტაციისა და დასაბუთების საფუძველზე, რაც შეესაბამება დაწესებულებაში მოქმედ რეგულაციებსა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს. **ინდიკატორი 2.1.1.6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ - დაკმაყოფილებულია.**

7. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“ შინაარსი, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მოდულების სტრუქტურა. შეფასების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის სახელწოდება ზუსტად ასახავს მის შინაარსობრივ მიმართულებას და შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.

პროგრამა მოიცავს როგორც ზოგად (ინგლისური ენა, ინფორმაციული წიგნიერება, მეწარმეობა), ისე პროფესიულ მოდულებს, რომლებიც თანმიმდევრულად ფარავს სასაწყობო საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, მათ შორის საწარმოს ორგანიზაციულ სტრუქტურასა და სასაწყობო ოპერაციებს, შესაბამის საკანონმდებლო და უსაფრთხოების მოთხოვნებს, საქონლის მიღებას, ტრანსპორტირებას, დასაწყობებას, აგროვებას, გაცემასა და აღრიცხვას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის მოდულებსა და სწავლის შედეგებს შორის დაცულია ლოგიკური კავშირი. თითოეული სწავლის შედეგი უზრუნველყოფილია შესაბამისი მოდულით, ხოლო მოდულების თანმიმდევრობა ქმნის პროფესიული კომპეტენციების ეტაპობრივი განვითარების შესაძლებლობას. პროგრამის შინაარსი ორიენტირებულია იმ ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობის განვითარებაზე, რომლებიც აუცილებელია საწყობის ოპერირების სფეროში პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის სახელწოდება შინაარსობრივად გამართლებულია, ზუსტად ასახავს პროგრამის პროფესიულ მიმართულებას და არ ქმნის მცდარ ან შეცდომაში შემყვან წარმოდგენას პროგრამის მიზნების, შინაარსისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების შესახებ.

ინდიკატორი 2.1.1.7. .პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი - დაკმაყოფილებულია.

8. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“ შემუშავებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და პროგრამის შემუშავების პროცედურები. წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამა შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე და შეესაბამება აკადემიის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესს“, ასევე მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

პროგრამის შემუშავების პროცესი ხორციელდება დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პროგრამის შემმუშავებელი/ადაპტირების ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაც უზრუნველყოფს შესაბამისი ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ შემუშავებული პროგრამის პროექტი და მასთან დაკავშირებული კვლევის მასალები გადის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ განხილვისა და შეფასების ეტაპს, რის შემდეგაც დირექტორი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას პროგრამის დამტკიცების ან დასახვეწად დაბრუნების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის სტრუქტურა მოიცავს პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ ძირითად კომპონენტებს, მათ შორის: პროგრამის სახელწოდებას, მიზნებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, სწავლის შედეგებსა და მათ აღწერას, შეფასების მიმართულებებს, პროგრამის მოცულობასა და ხანგრძლივობას, სწავლების მეთოდოლოგიასა და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიდგომებს.

დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ პროგრამის მოდულურ სტრუქტურაში გათვალისწინებულია ასევე ქართული ენის მოდულები („ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“), რომლებიც განკუთვნილია იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიული განათლების მიღების უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე გამოცდის/ტესტირების ჩაბარების გზით, კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამის შემდგომი ათვისებისათვის საჭირო ენობრივი კომპეტენციის განვითარებას.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის შემუშავების პროცესი არის სტრუქტურირებული, დოკუმენტირებული და შესაბამისობაშია დაწესებულების შიდა რეგულაციებთან და მოქმედ სამართლებრივ მოთხოვნებთან. პროგრამის შინაარსობრივი და სტრუქტურული ელემენტები უზრუნველყოფს მისი განხორციელებისათვის საჭირო საფუძვლების არსებობას.

ინდიკატორი 2.1.1.8. .პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. - დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. *პროფესიული პროგრამა, სასწავლო გეგმა და მოდულები*
2. *პროგრამების დამტკიცების აქტი*
3. *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები*
4. *დებულებათა კრებული*
5. *პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუქცია*
6. *ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან*
7. *განმახორციელებელი პერსონალი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ **მეტწილად შეესაბამება**
☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**
☐ **არ შეესაბამება**

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“ განხორციელებისთვის განსაზღვრული მატერიალური, საგანმანათლებლო და პრაქტიკული სწავლების რესურსები, განახორციელა სასწავლო გარემოს ადგილზე დათვალიერება და გაეცნო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციების შესაძლებლობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულება პროგრამის განხორციელებას გეგმავს ჰიბრიდული სწავლების ფორმატით, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული დისტანციური სწავლების შესაძლებლობების გათვალისწინებით. ჰიბრიდული სწავლების უზრუნველსაყოფად აკადემიას გააჩნია შესაბამისი ტექნიკური რესურსები, მათ შორის ონლაინ სწავლების პლატფორმა და B გარემოს სასწავლო აუდიტორია, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის სამუშაო ადგილებით, კომპიუტერული ტექნიკით, ინტერნეტითა და სასწავლო პროცესის მხარდამჭერი ტექნიკური საშუალებებით.

თუმცა, პროგრამის შინაარსთან დაკავშირებული გარკვეული პროგრამული უზრუნველყოფა ვიზიტის ეტაპზე კომპიუტერებში არ იყო ინსტალირებული, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული რესურსის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

დაწესებულებას ასევე აქვს დამატებითი სასწავლო სივრცის გამოყენების შესაძლებლობა, თუმცა ვიზიტის პერიოდში აღნიშნული სივრცის გამტარუნარიანობის სრულად შეფასება ვერ განხორციელდა, რადგან მასში არ იყო განთავსებული შესაბამისი ინვენტარი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ დაწესებულება გეგმავს აღნიშნული რესურსის უზრუნველყოფას.

პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს პროგრამით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. აღნიშნული ჩამონათვალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების განსაზღვრასა და მართვას.

ექსპერტთა ჯგუფმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესაძლებლობებზე, ვინაიდან „საწყობის ოპერირების“ პროგრამის სწავლის შედეგების მნიშვნელოვანი ნაწილი რეალურ სამუშაო გარემოში სწავლას უკავშირდება. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შპს „გორგია“-სა და შპს „ნოვა“-სთან, სადაც ხორციელდება ისეთი პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევა, როგორიცაა საქონლის მიღება, ტრანსპორტირება, დასაწყობება, აგროვება, გაცემა და აღრიცხვა.

პარტნიორი ორგანიზაციების საწარმოო გარემოს დათვალიერებისა და პრაქტიკული სწავლების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ აღნიშნული ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური რესურსები და სამუშაო გარემო ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების ჩართვას რეალურ სამუშაო პროცესებში და პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებას.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ პროგრამისათვის მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (40 სტუდენტი ორ ცვლაში) შესაბამისობა პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობებთან შეზღუდულია პარტნიორი ორგანიზაციების მიერ ერთჯერადად მისაღები სტუდენტების რაოდენობით. წარმოდგენილი ხელშეკრულებების მიხედვით, პრაქტიკული სწავლების უზრუნველყოფის შესაძლებლობა განსაზღვრულია 25 პროფესიულ სტუდენტზე (შპს „გორგია“ – 20 სტუდენტი, შპს „ნოვა“ – 5 სტუდენტი), რაც არ შეესაბამება დაწესებულების მიერ მოთხოვნილ მაქსიმალურ რაოდენობას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის მიზნებთან და შინაარსთან მიმართებით დაწესებულების მიერ განსაზღვრული მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები ძირითადად შესაბამისია, თუმცა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით რესურსების დაგეგმვა საჭიროებს დამატებით დასაბუთებას პრაქტიკული სწავლების კომპონენტის სრულყოფილი უზრუნველყოფის მიმართულებით. შესაბამისად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არსებული რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებას, თუმცა წარმოდგენილი მტკიცებულებები სრულად არ ადასტურებს 40 პროფესიული სტუდენტისათვის პრაქტიკული კომპონენტის ერთდროულად განხორციელების შესაძლებლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულებას პრაქტიკის ობიექტის გამტარუნარიანობის თვალსაზრისით, შეუძლია 25 პროფესიული სტუდენტის სწავლება.

მოცემული ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული, ვინაიდან პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო მატერიალური რესურსების შესაბამისობა პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობასთან სრულად არ დასტურდება. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას გააჩნია პროგრამის თეორიული კომპონენტის განხორციელებისთვის საჭირო ძირითადი რესურსები და წარმოდგენილია დამატებითი რესურსების უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ვიზიტის პერიოდში სასწავლო გარემო სრულად მზადყოფნაში არ იყო. კერძოდ, პროგრამის შინაარსთან დაკავშირებული საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა კომპიუტერულ ტექნიკაში არ იყო ინსტალირებული, ხოლო დამატებითი სასწავლო სივრცე არ იყო შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი, რის გამოც მისი ფაქტობრივი გამტარუნარიანობის შეფასება ვერ განხორციელდა. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორის ფარგლებშიდ დაფიქსირდა ხარვეზი.

ამასთან, დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ეტაპზე წარმოადგინა დამატებითი მტკიცებულებები — ვიდეო და ფოტომასალა, რომლის საფუძველზეც დასტურდება, რომ ყველა კომპიუტერში ჩატვირთულია „ფინას“ სასაწყობე პროგრამა, ხოლო A გარემო აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები ასახავს დაწესებულების მიერ განხორციელებულ ცვლილებებს, თუმცა, მოცემული ინდიკატორის ფარგლებში, დაწესებულებას არ წარმოუდგენია სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, ღონისძიებების აღწერა, რომელიც განსაზღვრავდა გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრის კონკრეტულ ნაბიჯებს, პასუხისმგებელ პირებსა და განხორციელების ვადებს. შესაბამისად, წარმოდგენილი დამატებითი მტკიცებულებების მიუხედავად, ექსპერტთა ჯგუფს არ მიეცა საკმარისი საფუძველი მოცემულ ინდიკატორთან მიმართებით შეფასების ცვლილებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის შეფასება მოცემულ ინდიკატორთან მიმართებით უცვლელი რჩება. **ინდიკატორი 2.2.1.1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. - არ არის დაკმაყოფილებული.**

2. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“ განხორციელებაში ჩართული ადამიანური რესურსი, პროფესიული განათლების მასწავლებელთა ხელშეკრულებები, დატვირთვის განაწილება და პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული ადამიანური რესურსის მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 20 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 8 ახორციელებს ზოგად მოდულებს, ხოლო 12 — პროფესიულ მოდულებს. თითოეული მასწავლებლის დატვირთვა განსაზღვრულია შესაბამისი ხელშეკრულებებითა და სასწავლო გეგმით. წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, აკადემიაში მათი დატვირთვა კვირაში 40 საათს არ აღემატება.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის მოდულების განხორციელებისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა ზოგადად შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს და ქმნის სასწავლო პროცესის ორგანიზების შესაძლებლობას. ცალკეული მოდულების განხორციელებისთვის დაწესებულებას ჰყავს ერთზე მეტი განმახორციელებელი მასწავლებელი, რაც უზრუნველყოფს ნაწილობრივ ჩანაცვლებადობას და ამცირებს სასწავლო პროცესის შეფერხების რისკებს.

ამასთან, ადამიანური რესურსის მდგრადობის შეფასებისას გამოიკვეთა გარკვეული გამოწვევები. კერძოდ, ცალკეული პროფესიული მოდულების განხორციელება დამოკიდებულია მხოლოდ ერთ პროფესიულ მასწავლებელზე, რაც ამცირებს პროგრამის უწყვეტობის უზრუნველყოფის შესაძლებლობას მასწავლებლის დროებითი მიუწვდომლობის ან სხვა გაუთვალისწინებელი გარემოების შემთხვევაში. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მოდულებისათვის, რომლებიც პროგრამის პროფესიული კომპონენტის ძირითად მიმართულებებს მოიცავს.

ასევე, პროფესიული მასწავლებლების ნაწილი აკადემიის ფარგლებს გარეთაც არის დასაქმებული, რაც საჭიროებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისას დამატებით გათვალისწინებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი დროული ჩართულობა, მოდულების უწყვეტი განხორციელება და სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის სტაბილურობა.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის განხორციელებისთვის წარმოდგენილი ადამიანური რესურსი რაოდენობრივად ქმნის პროგრამის განხორციელების საფუძველს, თუმცა მისი მდგრადობა სრულად არ არის უზრუნველყოფილი, რადგან ცალკეული მოდულების განხორციელება დამოკიდებულია შეზღუდულ რაოდენობის ადამიანურ რესურსზე და არსებობს ჩანაცვლების შესაძლებლობის გაფართოების საჭიროება.

შესაბამისად, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ადამიანური რესურსის მდგრადობის გაძლიერება, მათ შორის ცალკეული პროფესიული მოდულებისათვის დამატებითი განმახორციელებელი მასწავლებლების განსაზღვრის გზით, რათა პროგრამის განხორციელება იყოს უწყვეტი, სტაბილური და ხარისხიანი. აღნიშნული ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირდა ხარვეზი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში განმარტა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“ განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა საერთო რაოდენობა და მათი დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებას. დაწესებულების განმარტებით, ექსპერტთა მიერ მითითებული გარემოება უკავშირდება მხოლოდ ერთ მოდულს — „სასაწყობო ოპერაციებთან დაკავშირებული კანონმდებლობა და უსაფრთხოების ნორმები“, რომლის განხორციელებისთვის განსაზღვრულია ერთი შესაბამისი კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი.

დაწესებულება ასევე მიუთითებს, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ ადგენს თითოეული მოდულისათვის ორი ან მეტი განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის განსაზღვრის სავალდებულო მოთხოვნას და რომ ინდიკატორის შეფასებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადამიანური რესურსის საერთო რაოდენობაზე, მათ დატვირთვასა და პროგრამის მდგრადი განხორციელებისათვის არსებული მექანიზმების ეფექტიანობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების მოსაზრებას იმ ნაწილში, რომ ავტორიზაციის სტანდარტი თითოეულ მოდულზე ორი ან მეტი პროფესიული განათლების მასწავლებლის არსებობის ფორმალურ მოთხოვნას არ ადგენს. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასება არ ეფუძნება თითოეულ მოდულზე განმახორციელებელი მასწავლებლების კონკრეტული რაოდენობის სავალდებულოდ განსაზღვრის პრინციპს.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული საკითხი უკავშირდება არა კონკრეტულ მოდულზე მასწავლებელთა რაოდენობის ფორმალურ არასაკმარისობას, არამედ პროგრამის ადამიანური რესურსის მდგრადობასა და ჩანაცვლების შესაძლებლობას. კერძოდ, შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა ის გარემოება, რომ ცალკეული პროფესიული მოდულის განხორციელება სრულად არის დამოკიდებული მხოლოდ ერთ პროფესიული განათლების მასწავლებელზე, რაც ზრდის სასწავლო პროცესის შეფერხების რისკს აღნიშნული პირის დროებითი მიუწვდომლობის, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ან სხვა გაუთვალისწინებელი გარემოების შემთხვევაში.

ექსპერტთა ჯგუფი ითვალისწინებს დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციაში აღწერილ მექანიზმებს, რომლებიც, მათი განმარტებით, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში, მათ შორის, მოდულების განხორციელების პერიოდის გადანაცვლება, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოდულების დროებითი გადალაგება, გამოტოვებული საკონტაქტო საათების შემდგომ პერიოდში აღდგენა, დამატებითი განმახორციელებლის მოძიება და საჭიროების შემთხვევაში სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, პარტნიორ ორგანიზაციასთან ან შესაბამისი დარგის პრაქტიკოსთან თანამშრომლობა.

თუმცა, აღნიშნული მექანიზმების ზოგადი აღწერა თავისთავად არ ადასტურებს, რომ კონკრეტული მოდულის განმახორციელებელი პირის მიუწვდომლობის შემთხვევაში დაწესებულებას წინასწარ აქვს უზრუნველყოფილი შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირის დროული ჩანაცვლების რეალური შესაძლებლობა. პროგრამის მდგრადობის შეფასებისას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ შესაძლო რეაგირების მექანიზმების არსებობა, არამედ მათი პრაქტიკული განხორციელებადობა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე შემცვლელი პერსონალის ხელმისაწვდომობა.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა დაწესებულების განმარტება, რომ აღნიშნული მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი პროგრამის სხვა მოდულების განხორციელებაში არ არის ჩართული და, შესაბამისად, მისი დატვირთვა არ ქმნის გადატვირთვის ან სხვა მოდულებთან გადაფარვის რისკს. აღნიშნული გარემოება დადებითად იქნა შეფასებული, თუმცა იგი ვერ გამორიცხავს იმ რისკს, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული მოდულის განხორციელების ერთ ადამიანზე სრულ დამოკიდებულებასთან.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე აღნიშნავს, რომ პროგრამის ადამიანური რესურსის მდგრადობის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული პროფესიული განათლების მასწავლებლების ნაწილის დასაქმება აკადემიის ფარგლებს გარეთაც. აღნიშნული გარემოება თავისთავად არ წარმოადგენს პროგრამის განხორციელების შემაფერხებელ ფაქტორს, თუმცა საჭიროებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისას სათანადო გათვალისწინებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მასწავლებელთა დროული ჩართულობა, მოდულების უწყვეტი განხორციელება და პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესის სტაბილურობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამდენად, ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს დაწესებულების განმარტებას იმ ნაწილში, რომ ადამიანური რესურსის საერთო რაოდენობა და მასწავლებელთა ინდივიდუალური დატვირთვის ნორმის დაცვა თავისთავად საკმარისია პროგრამის მდგრადობის დასადასტურებლად. აღნიშნული გარემოებები მნიშვნელოვანია, თუმცა ინდიკატორის შეფასებისას ასევე უნდა შეფასდეს ადამიანური რესურსის ჩანაცვლებადობა, კონკრეტულ პირებზე დამოკიდებულების ხარისხი და გაუთვალისწინებელი შემთხვევების დროს სასწავლო პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფის რეალური შესაძლებლობა.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ თავდაპირველად იდენტიფიცირებული გარემოება არ გულისხმობს თითოეულ მოდულზე ორი ან მეტი პროფესიული განათლების მასწავლებლის სავალდებულოდ განსაზღვრას. რეკომენდაცია მიმართულია ადამიანური რესურსის მდგრადობის გაძლიერებისკენ, კერძოდ, იმ პროფესიული მოდულებისათვის, რომელთა განხორციელებაც დამოკიდებულია მხოლოდ ერთ განმახორციელებელზე, დამატებითი შესაბამისი კომპეტენციის მქონე პერსონალის მოძიებისა და/ან ჩანაცვლების რეალური მექანიზმის უზრუნველყოფისკენ.

გარდა ზემოთ აღნიშნული არგუმენტებისა, დაწესებულებამ პოზიციის დაფიქსირებისას წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N01-26, 19.06.2026, რომელშიც ბოლო ცვლილება განხორციელებულია დირექტორის 17.08.2026 წლის ბრძანებით N01-26. ინდიკატორი 2.2.1.2-ის ფარგლებში შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად განსაზღვრულია „დამატებით ასაყვანი პროფესიული მასწავლებლების შერჩევის დაწყება“. დაწესებულების მიერ აღნიშნული აქტივობა შეფასებულია „მეტწილი შესაბამისობით“ და მისი განხორციელების ვადად განსაზღვრულია ორი თვე — დაწყების თარიღად მითითებულია 17.08.2026, ხოლო დასრულების თარიღად — 10.10.2026.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული ღონისძიება მიმართულია გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრისკენ, ხოლო მისი განხორციელებისთვის განსაზღვრული ვადა რეალისტურია. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ დაწესებულებას აქვს ხარვეზის აღმოფხვრისთვის შესაბამისი ღონისძიების განხორციელების შესაძლებლობა და აღნიშნული საფუძვლად დაედო შესაბამისობის რეკომენდაციის გაცემას.

შესაბამისობის რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“ დარგობრივი მოდულების განხორციელებისთვის საჭირო რაოდენობისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლების დამატება სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.

ინდიკატორი 2.2.1.2. .პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. - მეტწილად შეესაბამება.

3. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“ განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები, მათ შორის განათლების, პროფესიული გამოცდილებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, ასევე დაწესებულების მიერ პროგრამის ხელმძღვანელის, ძირითადი და მოწვეული პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დამატებით, შეფასების პროცესში გათვალისწინებულ იქნა პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგები და მათ მიერ განსახორციელებელი მოდულების შინაარსთან და სწავლის შედეგებთან მათი კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესაბამისობა.

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების ნაწილს გააჩნია პროგრამის მიმართულებასთან დაკავშირებული ან მომიჯნავე განათლება, პროფესიული და პრაქტიკული გამოცდილება, ასევე სწავლების გამოცდილება. ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულად ვერ ადასტურებდა კონკრეტული მოდულების სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასებისთვის საჭირო დარგობრივ კომპეტენციას იმ მოცულობით, რაც აუცილებელია პროგრამის ხარისხიანი და მდგრადი განხორციელებისთვის. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეაფასა პროფესიული განათლების მასწავლებელთა შესაბამისობა დაწესებულების მიერ თავად განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. შეფასებისას გამოიკვეთა, რომ ცალკეული პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულად არ იძლეოდა დაწესებულების შიდა რეგულაციებით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების დადასტურების შესაძლებლობას.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული გასაუბრებების შედეგების შეფასებისას ცალკეული განმახორციელებლების შემთხვევაში სრულად ვერ გამოიკვეთა ის დარგობრივი ცოდნა და პრაქტიკული კომპეტენცია, რომელიც კონკრეტული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების შესაძლებლობას საკმარისი დამაჯერებლობით დაადასტურებდა. აღნიშნული გარემოება ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან ერთობლიობაში და არა მხოლოდ ცალკეული მტკიცებულების საფუძველზე.

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების მოსაზრებას, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლის შესაბამისობის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს არა მხოლოდ ფორმალური განათლების დასახელება, არამედ კონკრეტული მოდულის შინაარსთან შესაბამისი დარგობრივი ცოდნა, სამუშაო და პრაქტიკული გამოცდილება, სწავლების გამოცდილება და სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ფართო დარგობრივ სფეროსთან ან მომიჯნავე მიმართულებასთან კვალიფიკაციის შესაბამისობა თავისთავად არ წარმოადგენს კონკრეტული მოდულის ყველა სწავლის შედეგის განხორციელებისთვის საჭირო კომპეტენციის სრულად დადასტურების საფუძველს.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N01-26, 19.06.2026, რომელშიც ბოლო ცვლილება განხორციელებულია დირექტორის 17.08.2026 წლის ბრძანებით N01-26. ინდიკატორი 2.2.1.2-ის ფარგლებში შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად განსაზღვრულია: განმახორციელებელი პირებისგან დამატებით ცნობების შესასრულებელი სამუშაო აღწერილობით ან/და მოდულების ჩამონათვალით წარმოდგენა, რომელსაც სხვა კოლეჯებში ახორციელებენ პროგრამის შესაბამისად". დაწესებულების მიერ აღნიშნული აქტივობა შეფასებულია „მეტწილი შესაბამისობით" და მისი განხორციელების ვადად განსაზღვრულია ორი თვე — დაწყების თარიღად მითითებულია 17.08.2026, ხოლო დასრულების თარიღად — 10.10.2026.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული ღონისძიება მიმართულია გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრისკენ, ხოლო მისი განხორციელებისთვის განსაზღვრული ვადა რეალისტურია. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ დაწესებულებას აქვს ხარვეზის აღმოფხვრისთვის შესაბამისი ღონისძიების განხორციელების შესაძლებლობა და აღნიშნული საფუძვლად დაედო შესაბამისობის რეკომენდაციის გაცემას.

შესაბამისობის რეკომენდაცია: დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "საწყობის ოპერირება" პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეების სრულყოფა, მათი კვალიფიკაციისა და პროფესიული გამოცდილების შესაბამისობის დადასტურება განსახორციელებელ მოდულებთან მიმართებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 2.2.1.3. .პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია - მეტწილად შეესაბამება.**

4. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება" ხელმძღვანელის პირადი საქმე, განათლებისა და პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ფუნქცია-მოვალეობები, ასევე პროგრამის მართვისა და განხორციელების პროცესში მისი ჩართულობა. დამატებით, შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა პროგრამის ხელმძღვანელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ჩართული იყო საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების პროცესში, პროფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევისა და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობებში. მისი ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია და მოიცავს პროგრამის შინაარსისა და სტრუქტურის ანალიზს, სასწავლო პროცესის მონიტორინგს, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაში მონაწილეობას, პროფესიულ სტუდენტთა კონსულტირებასა და პროგრამის განხორციელების მხარდაჭერას.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა პროგრამის ხელმძღვანელის განათლება, პროფესიული გამოცდილება და დარგობრივი კომპეტენცია როგორც პროგრამის ხელმძღვანელის პოზიციისთვის დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ისე პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების უზრუნველყოფის შესაძლებლობასთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების ერთობლიობა სრულად ვერ ადასტურებს პროგრამის ხელმძღვანელის შესაბამისობას დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, კერძოდ, შინაგანაწესის მე-3 მუხლის 3.14 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებთან. აღნიშნული გარემოება ექსპერტთა ჯგუფმა ასევე გაითვალისწინა პროგრამის ხელმძღვანელის მიერ განსახორციელებელი ფუნქციების შინაარსისა და პროგრამის დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით.

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ პროგრამის ხელმძღვანელის მიერ პროგრამის ადაპტირების პროცესში მონაწილეობა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საქმიანობების განხორციელება და პროგრამის მართვის პროცესში ჩართულობა თავისთავად ვერ ანაცვლებს დაკავებული პოზიციისთვის დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების აუცილებლობას. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სრულფასოვანი შესრულებისთვის მნიშვნელოვანია შესაბამისი დარგობრივი ცოდნის, პროფესიული გამოცდილებისა და პროგრამის შინაარსის მართვისთვის საჭირო კომპეტენციების სათანადოდ დადასტურება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე წარმოადგინა დამატებითი ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის განათლების, პროფესიული გამოცდილებისა და პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციის შესახებ. დაწესებულების პოზიციით, წარმოდგენილი კვალიფიკაცია და გამოცდილება შეესაბამება მის მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტები და დამატებითი მტკიცებულებები. მიუხედავად აღნიშნულისა, ჯგუფის შეფასებით, წარმოდგენილი ინფორმაცია და მტკიცებულებები ვერ ცვლის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას და ვერ უზრუნველყოფს პროგრამის ხელმძღვანელის შესაბამისობის სრულად დადასტურებას დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ გამოვლენილი გარემოება საჭიროებს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციისა და დაკავებულ პოზიციასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის ფარგლებში თავდაპირველად დაფიქსირებული ხარვეზი შენარჩუნდა და შეფასება დარჩა უცვლელი.**ინდიკატორი 2.2.1.4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი; - არ არის დაკმაყოფილებული**

5.ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა აკადემიის ბიბლიოთეკისა და სასწავლო სივრცეების დათვალიერება, ასევე შერჩევითი პრინციპით შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“ მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა და შესაბამისობა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე განხორციელებული დათვალიერების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის მოდულებით განსაზღვრული სასწავლო რესურსები განთავსებულია აკადემიის ბიბლიოთეკაში ელექტრონული ან/და ბეჭდური ფორმით და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაადგინა, რომ აკადემიას გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტებისა და სამართლებრივი რეგულაციების განახლებულ ვერსიებზე ხელმისაწვდომობას. აღნიშნული რესურსი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მოდულების განხორციელებისას, რომლებიც დაკავშირებულია სასაწყობო ოპერაციებთან, უსაფრთხოების მოთხოვნებთან და შესაბამის სამართლებრივ რეგულაციებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“ განხორციელებისთვის განსაზღვრული სასწავლო რესურსები არის პროგრამის შინაარსთან შესაბამისი და რელევანტური. არსებული რესურსები ქმნის სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო პირობებს და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესში აუცილებელი ინფორმაციისა და მასალების ხელმისაწვდომობას.

ინდიკატორი 2.2.1.5. .საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. - დაკმაყოფილებულია.

6.ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“ ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მექანიზმები და შესაბამისი რესურსები.

ვიზიტის პერიოდში აკადემიას სსსმ პროფესიული სტუდენტები არ ჰყავდა, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე დათვალიერების საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებას გააჩნია ადაპტირებული სასწავლო გარემო, რაც უზრუნველყოფს ფიზიკური ხელმისაწვდომობის პირობებს სსსმ პირებისთვის. კერძოდ, აკადემიაში ფუნქციონირებს ლიფტი, რომელიც უზრუნველყოფს გადაადგილების შესაძლებლობას სხვადასხვა სივრცეებს შორის.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროფესიული განათლების მასწავლებლებს სამუშაო აღწერილობებითა და ხელშეკრულებებით განსაზღვრული აქვთ ვალდებულებები საჭიროების შემთხვევაში განახორციელონ სასწავლო პროცესის ადაპტირება, მათ შორის მოდულის, სასწავლო რესურსისა და შეფასების ინსტრუმენტების მოდიფიცირება/აკომოდაცია, ასევე შეიმუშაონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის.

წარმოდგენილი მიდგომები ქმნის საფუძველს, რომ საჭიროების შემთხვევაში სსსმ პროფესიულ სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა როგორც პროგრამით გათვალისწინებულ, ასევე მათი ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად ადაპტირებულ სასწავლო რესურსებსა და შეფასების მექანიზმებზე.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულებაში განსაზღვრულია შესაბამისი ორგანიზაციული და ინფრასტრუქტურული პირობები სსსმ პირების ჩართულობისა და სასწავლო პროცესში მათი საჭიროებების გათვალისწინების უზრუნველსაყოფად.

ინდიკატორი 2.2.1.6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. - დაკმაყოფილებულია.

7.ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“ საპროგნოზო ბიუჯეტი და შეაფასა მისი შესაბამისობა პროგრამის განხორციელების დაგეგმილ პროცესებთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ბიუჯეტი დათვლილია ერთი სასწავლო ჯგუფის ფარგლებში და მოიცავს 20 პროფესიულ სტუდენტს, რაც შეესაბამება პროგრამის განხორციელების ერთ ჯგუფად დაგეგმილ ფორმატს.

ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი მოიცავს პროგრამის სრულფასოვანი განხორციელებისთვის აუცილებელ ძირითად მიმართულებებს, მათ შორის:

- პროფესიული განათლების მასწავლებელთა ანაზღაურებას;
- ადმინისტრაციულ ხარჯებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;
- პერსონალის პროფესიული განვითარების ღონისძიებებს;
- პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერისა და სტუდენტური სერვისების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტი ადეკვატურად ასახავს პროგრამის ერთი სასწავლო ჯგუფის ფარგლებში განხორციელების ფინანსურ საჭიროებებს. ბიუჯეტის სტრუქტურა, შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმვა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსების განსაზღვრას და ქმნის პროგრამის სტაბილური და ხარისხიანი განხორციელების საფუძველს.

ინდიკატორი 2.2.1.7. - პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. - დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. *მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;*
2. *დოკუმენტაცია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს შესყიდვის შესახებ;*
3. *სტრუქტურული ერთეულები, სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;*
4. *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, გეგმა, მოდულები*
5. *პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;*
6. *პროგრამის განამახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;*
7. *შინაგანაწესი*
8. *საგანამანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი*
9. *გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი „შპს ინტერბიზნესის აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“. დოკუმენტი ეფუძნება ხარისხის გაუმჯობესების ციკლს — „დაგეგმე–განახორციელე–შეამოწმე–განავითარე“ (PDCA) და მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის, ადამიანური და მატერიალური რესურსების შეფასების ძირითად მიმართულებებს.
ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმით განსაზღვრულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობა შეფასების პროცესში. კერძოდ, გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების უკუკავშირის მიღება და ანალიზი, ასევე პროგრამაზე მოთხოვნის, პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების მიღწევისა და დასაქმების მაჩვენებლების შეფასება.
პროგრამის შეფასების პროცესში ჩართული არიან ხარისხის მართვის სამსახური, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელი და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეები, რაც ხელს უწყობს შეფასების პროცესის მრავალმხრივ და ობიექტურ განხორციელებას.
ვინაიდან „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ახალია და მისი განხორციელება ჯერ არ დაწყებულა, პროგრამის შეფასების ფაქტობრივი შედეგები და გაუმჯობესების ღონისძიებები ამ ეტაპზე არ არსებობს. თუმცა, დაწესებულების მიერ შემუშავებული ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფის მექანიზმები ქმნის შესაბამის საფუძველს პროგრამის განხორციელების დაწყების შემდეგ საჭირო მონაცემების სისტემური შეგროვების, ანალიზისა და შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის მონიტორინგისა და განვითარებისათვის აუცილებელი პროცესების განხორციელების შესაძლებლობას და შესაბამისობაშია ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების პრინციპებთან. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, **2.3.1.1. - .პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. - დაკმაყოფილებულია.**

2. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულებაში მოქმედი „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ შიდა მონიტორინგის ინსტრუქცია და შეაფასა პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შიდა მონიტორინგის ინსტრუქცია ითვალისწინებს სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვას, შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციას, მიღებული ინფორმაციის ანალიზსა და გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავებას. მონიტორინგის შედეგები აისახება შესაბამის ანგარიშებში, ხოლო გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე მუშავდება გაუმჯობესების ღონისძიებები.

დაწესებულების „დებულებათა კრებულის“ 36-ე მუხლით განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანისა და პროგრამის გაუქმების პროცედურები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განვითარების ან კორექტირების პროცესის რეგულირებულ განხორციელებას.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ ხარისხის მართვის სამსახურსა და პროგრამის ხელმძღვანელს განსაზღვრული აქვთ პასუხისმგებლობები პროგრამის შეფასების, მონიტორინგისა და განვითარების პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაადგინა, რომ დაწესებულებაში პრაქტიკულად ხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგის ღონისძიებები. კერძოდ, შიდა მონიტორინგის ჯგუფი სისტემატურად ესწრება სასწავლო პროცესს, ახორციელებს პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვას, მიღებული შედეგების ანალიზს და აღნიშნული ინფორმაციის გამოყენებას პროგრამის განხორციელების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

გამოკითხვის შედეგების სანდოობისა და სრულყოფილი უკუკავშირის უზრუნველსაყოფად, დაწესებულება დამატებით იყენებს ფოკუს-ჯგუფების ფორმატს პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიულ განათლების მასწავლებლებთან, ასევე იღებს დამსაქმებლების უკუკავშირს. მიღებული ინფორმაცია გამოიყენება პროგრამის განხორციელების შეფასების, გაუმჯობესების მიმართულებების განსაზღვრისა და განვითარების ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებაში არსებული შიდა მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები ქმნის პროგრამის განხორციელების შედეგების სისტემური ანალიზის, გამოვლენილი საჭიროებების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საფუძველს. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში გამოყენებული უკუკავშირის მრავალფეროვანი ფორმები ხელს უწყობს პროგრამის უწყვეტ განვითარებასა და ხარისხის გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 2.3.1.2. .პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. - დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ **მეტწილად შეესაბამება**

☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**

☐ **არ შეესაბამება**

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
7. კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“ სასწავლო გეგმა და შეაფასა მისი შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან, მოდულების ლოგიკურ თანმიმდევრობასთან და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობასთან.

წარმოდგენილი სასწავლო გეგმის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ იგი შემუშავებულია პროგრამის სტრუქტურისა და მოდულებს შორის არსებული ლოგიკური წინაპირობების გათვალისწინებით. პროგრამის განხორციელება დაგეგმილია სასწავლო გეგმის შესაბამისად, რომლის საფუძველზეც შემუშავდება მოდულების კალენდარული გეგმები და სასწავლო ცხრილები.

სასწავლო გეგმა შეესაბამება სამუშაო სტანდარტის მოთხოვნებს და მოიცავს პროგრამის ეფექტიანი განხორციელებისთვის აუცილებელ ძირითად ელემენტებს, კერძოდ:

- განსაზღვრავს მოდულების განხორციელების თანმიმდევრობას;
- ასახავს თითოეული მოდულის განხორციელების კვირობრივ განაწილებას;
- უზრუნველყოფს საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების მკაფიო გამიჯვნას;
- ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა კვირეულ დატვირთვას, რომელიც არ აღემატება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

სასწავლო გეგმა ითვალისწინებს განსხვავებული საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმებს. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე ჩაირიცხებიან არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტები, გათვალისწინებულია ქართული ენის შემავსებელი მოდულების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს მათ სრულფასოვან ჩართულობას სასწავლო პროცესში, პროფესიული ტერმინოლოგიის ათვისებასა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სასწავლო გეგმის სტრუქტურა უზრუნველყოფს სწავლის პროცესის თანმიმდევრულ განვითარებას — საბაზისო ცოდნისა და უნარების ფორმირებიდან პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებამდე.

შესაბამისად, „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და შინაარსთან და ქმნის სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას. **ინდიკატორი 2.4.1.1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად - დაკმაყოფილებულია.**

2.ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა „შპს ინტერბიზნესის აკადემიის დებულებათა კრებული“ და შეაფასა სასწავლო პროცესის ორგანიზების მარეგულირებელი პროცედურები და პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებზე რეაგირების მექანიზმები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ დებულებათა კრებულით განსაზღვრულია სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული ძირითადი პროცედურები, რომლებიც ორიენტირებულია პროფესიული სტუდენტების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტით რეგულირდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების, პროგრამის ცვლილების ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლების უზრუნველყოფის, შეფასების, აპელაციის, კვალიფიკაციის მინიჭების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების, სწავლების დამატებითი პერიოდის განსაზღვრის, სსსმ პირების სასწავლო პროცესში ჩართვის, საწარმოო პრაქტიკის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების საკითხები.

ვინაიდან „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ვიზიტის პერიოდში ჯერ არ იყო განხორციელებული, დაწესებულებას არ ჰყავდა პროფესიული სტუდენტები და კურსდამთავრებულები, შესაბამისად, პრაქტიკული გამოცდილებისა და უკუკავშირის შეფასება ამ მიმართულებით ვერ განხორციელდა.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებზე რეაგირებაზე პასუხისმგებლობა განაწილებულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებს შორის. აღნიშნული თანამშრომლობა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის დაგეგმვას, წარმართვასა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებაში არსებული მარეგულირებელი დოკუმენტები და პასუხისმგებლობების განსაზღვრული განაწილება ქმნის პროფესიული სტუდენტების საჭიროებებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ორგანიზების საფუძველს და უზრუნველყოფს შესაბამისი პროცედურების განხორციელების შესაძლებლობას პროგრამის ამოქმედების შემდეგ. **ინდიკატორი 2.4.1.2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. - დაკმაყოფილებულია.**

3. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“ ფარგლებში დაგეგმილი სწავლა-სწავლების მეთოდები, გამოყენებული ტექნოლოგიური რესურსები და პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მექანიზმები.

ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ აკადემიაში შექმნილია შესაბამისი პირობები სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებისთვის. სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია სწავლების პროცესისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებებით, მათ შორის კომპიუტერებითა და ვიზუალური დემონსტრირების შესაძლებლობებით. ასევე, დაწესებულებას შეძენილი აქვს ონლაინ სწავლებისთვის საჭირო პლატფორმები, მათ შორის Zoom-ის ლიცენზია, შეფასების პროგრამული უზრუნველყოფა და „საწყობის ოპერირების“ სფეროსთან დაკავშირებული პროგრამული უზრუნველყოფის დემოვერსია.

აკადემია „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას გეგმავს ჰიბრიდული სწავლების ფორმატით, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული დისტანციური სწავლების შესაძლებლობების გათვალისწინებით. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მოქნილ ორგანიზებას და ხელს უწყობს სხვადასხვა სასწავლო რესურსის ეფექტიან გამოყენებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდულების სპეციფიკის გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებლები იყენებენ სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებს, მათ შორის ინტერაქციულ სწავლებას, ვიზუალური მასალების გამოყენებას, პრაქტიკულ სავარჯიშოებსა და დამატებითი სასწავლო რესურსების მიწოდებას. აღნიშნული მიდგომები ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების მიერ სასწავლო მასალის გააზრებას და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის განსაზღვრულია პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობა, რომელთა ვალდებულებას წარმოადგენს პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა. აღნიშნული ქმნის შესაძლებლობას, სტუდენტებმა მიიღონ რეალურ სამუშაო გარემოსთან დაკავშირებული გამოცდილება და განიმტკიცონ პროფესიული უნარები.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეაფასა პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულება. ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ აკადემია უზრუნველყოფს მასწავლებლებისთვის თანამედროვე სწავლებისა და შეფასების მეთოდებთან დაკავშირებული ტრენინგების ჩატარებას. კერძოდ, მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ ბოლო პერიოდში მონაწილეობდნენ ტრენინგში „სტუდენტების ცოდნის შეფასების მეთოდები“.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებაში შექმნილია თანამედროვე სწავლების მეთოდების გამოყენებისთვის საჭირო პირობები. გამოყენებული ტექნოლოგიური რესურსები, პრაქტიკული სწავლების მიდგომები და პროფესიული მასწავლებლების განვითარების ღონისძიებები ხელს უწყობს პროგრამის პრაქტიკულ ორიენტაციას და პროფესიული სტუდენტების მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.

ინდიკატორი 2.4.1.3. -სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას; - დაკმაყოფილებულია.

4. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა „შპს ინტერბიზნესის აკადემიის დებულებათა კრებულით“ განსაზღვრული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურები და შეაფასა მათი შესაბამისობა პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების მიმართულებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენისა და შესაბამისი მხარდაჭერის მექანიზმები. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, რაც მოიცავს მოდულის, სასწავლო რესურსის, სწავლების მიდგომებისა და შეფასების ინსტრუმენტების მოდიფიცირებას ან გონივრულ მისადაგებას პროფესიული სტუდენტის საჭიროებების შესაბამისად.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სხვადასხვა მონაწილე მხარის ჩართულობა, მათ შორის პროფესიული სტუდენტის, პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და შესაბამისი ადმინისტრაციული პირების მონაწილეობა. არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში პროცესში შესაძლებელია ჩაერთოს მისი კანონიერი წარმომადგენელი, ხოლო სპეციალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში — შესაბამისი სპეციალისტები, მათ შორის მოწვეული ფსიქოლოგი და სპეციალური მასწავლებელი.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესის განხორციელებისას ისინი ითვალისწინებენ პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებენ სწავლების მიდგომების, სასწავლო აქტივობებისა და რესურსების ადაპტირებას.

ვინაიდან „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ვიზიტის პერიოდში ჯერ არ იყო განხორციელებული და დაწესებულებას არ ჰყავდა პროფესიული სტუდენტები და კურსდამთავრებულები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების პრაქტიკული განხორციელების გამოცდილების შეფასება ამ ეტაპზე ვერ განხორციელდა.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებაში განსაზღვრული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცედურები ქმნის პროფესიული სტუდენტების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინების შესაძლებლობას და უზრუნველყოფს ინკლუზიური, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ორგანიზების საფუძველს. **ინდიკატორი 2.4.1.4. .პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები; - დაკმაყოფილებულია.**

5. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პირობები და შეაფასა პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობა რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების უზრუნველყოფის მიმართულებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული შეფასების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შპს „ნოვა“-სთან და შპს „გორგია“-სთან. პარტნიორი ორგანიზაციების საწარმოო გარემო შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ჩართვას საწყობის ოპერირების რეალურ პროცესებში.

ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი შპს „გორგია“-ს საწარმოო გარემოში, დაათვალიერა საწყობის ინფრასტრუქტურა, არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსები და გაესაუბრა ორგანიზაციის წარმომადგენელს. გასაუბრების ფარგლებში პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელმა დაადასტურა პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართვის მზაობა და გამოხატა მზადყოფნა, უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტებისთვის პრაქტიკული სწავლების შესაბამის გარემოში განხორციელება.

ასევე, დაწესებულების მიერ განხორციელებული კომუნიკაციის ფარგლებში, შპს „ნოვა“-ს წარმომადგენელმა დაადასტურა პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში მონაწილეობის მზადყოფნა და პარტნიორობის ფარგლებში განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობა.

პარტნიორი ორგანიზაციების გარემოში შესაძლებელია ისეთი პროფესიული საქმიანობების განხორციელება, როგორიცაა ტვირთის მიღება-გაცემა, საქონლის დასაწყობება, ინვენტარიზაცია, დოკუმენტაციის წარმოება, შიდა გადაადგილება და საწყობის უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ორგანიზაციებში არსებული ტექნოლოგიური რესურსები, სამუშაო გარემო და კვალიფიციური პერსონალი ქმნის პროფესიული სტუდენტების მიერ პრაქტიკული უნარების განვითარების შესაძლებლობას.

დადგინდა, რომ პარტნიორი ორგანიზაციები გამოყოფენ პასუხისმგებელ პირებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერას პრაქტიკული სწავლების პროცესში, ხელს უწყობენ მათ ჩართულობას სამუშაო პროცესებში და ზედამხედველობას უწევენ უსაფრთხოებისა და შრომის პირობების დაცვას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობა სათანადოდ არის უზრუნველყოფილი. პარტნიორი ორგანიზაციების ინფრასტრუქტურა, ტექნიკური რესურსები და შესაბამისი ადამიანური რესურსი ქმნის სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას და ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტებისათვის საწყობის ოპერირების პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი პრაქტიკული კომპეტენციების ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი2.4.1.5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით; - დაკმაყოფილებულია.

6.ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“ ფარგლებში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და შეაფასა როგორც აკადემიაში, ისე რეალურ სამუშაო გარემოში უსაფრთხო სასწავლო პროცესის ორგანიზების პირობები.

დადგინდა, რომ პროგრამის თეორიული მოდულების განხორციელება არ საჭიროებს განსაკუთრებულ უსაფრთხოების პირობებს ან სპეციალურ მიდგომებს, თუმცა დაწესებულებაში განსაზღვრულია სასწავლო და სამუშაო პროცესის უსაფრთხოდ წარმართვის შესაბამისი რეგულაციები. კერძოდ, „შპს ინტერბიზნესის აკადემიის დებულებათა კრებულით“ განსაზღვრულია უსაფრთხოების სამსახურის უფლება-მოვალეობები, რომლის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სასწავლო და სამუშაო პროცესის უსაფრთხო გარემოში უზრუნველყოფა.

პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების მიზნით აკადემია უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ტრენინგების ჩატარებას, რაც ხელს უწყობს უსაფრთხო სამუშაო პრაქტიკის ჩამოყალიბებას და პროფესიული საქმიანობისას შესაბამისი მოთხოვნების დაცვას.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა ეკისრებათ პარტნიორ ორგანიზაციებს. აღნიშნული ვალდებულებები განსაზღვრულია აკადემიასა და პარტნიორ ორგანიზაციებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისი რეალური სამუშაო გარემოს შექმნას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებაში განსაზღვრულია უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესაბამისი მექანიზმები, როგორც სასწავლო, ისე პრაქტიკული სწავლების გარემოში, რაც ქმნის პროფესიული სტუდენტებისათვის უსაფრთხო და სწავლის შედეგების მიღწევაზე ორიენტირებულ პირობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.4.1.6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. - დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. *პროფესიული პროგრამა, გეგმა, მოდულები*
2. *გასაუბრების შედეგები*
3. *ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციასთან*
4. *დებულებათა კრებული*
5. *ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან*

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ **მეტწილად შეესაბამება**
☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**
☐ **არ შეესაბამება**

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული შეფასების სისტემა და შეფასების პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამაში განსაზღვრული შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს. პროგრამით გათვალისწინებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება, ხოლო სწავლის შედეგების მიღწევა ფასდება პრინციპით — „დადასტურდა/ვერ დადასტურდა“.
„შპს ინტერბიზნესის აკადემიის დებულებათა კრებულით“ განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების პროცედურები, მათ შორის შეფასების ინსტრუმენტის გამოყენების წესი, პროფესიული სტუდენტის ინფორმირების მექანიზმები, შეფასების შედეგების გასაჩივრებისა და განმეორებითი შეფასების პროცედურები.
დადგინდა, რომ სასწავლო პროცესის მართვის სამსახური უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას შეფასების სისტემის შესახებ, ხოლო პროფესიული განათლების მასწავლებლები ვალდებულნი არიან სტუდენტებს გააცნონ შეფასების ინსტრუმენტები, შეფასების კრიტერიუმები და დადებითი შეფასების მიღწევის პირობები.
პროფესიული სტუდენტებისთვის შეფასების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, აკადემიის ვებგვერდზე განთავსებულია სტუდენტის გზამკვლევი, რომელშიც ასახულია პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.
ვიზიტის ფარგლებში ასევე დადასტურდა ელექტრონული შეფასების პლატფორმის — Testmoz-ის გამოყენების შესაძლებლობა, რაც ხელს შეუწყობს შეფასების პროცესის ეფექტიან ორგანიზებასა და შეფასების შედეგების ელექტრონულ აღრიცხვას.
ვინაიდან „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა წარმოდგენილია დამატების ეტაპზე და მისი განხორციელება ჯერ არ დაწყებულა, ექსპერტთა ჯგუფს არ შეუსწავლია პრაქტიკაში გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები და შეფასების პროცესის განხორციელების შედეგები. აღნიშნული მიმართულებით შეფასება განხორციელდა წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტაციისა და პროგრამით განსაზღვრული მიდგომების საფუძველზე.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებაში განსაზღვრული შეფასების სისტემა და შესაბამისი რეგულაციები ქმნის სწავლის შედეგების ვალიდურად, სანდოდ, გამჭვირვალედ და ობიექტურად შეფასების განხორციელების საფუძველს.
ინდიკატორი 2.4.2.1. - პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
- დაკმაყოფილებულია.
2.ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულებაში მოქმედი პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციისა და შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებაში განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცედურა. შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების მიზნით აკადემია იყენებს სპეციალურ შემოწმების ფურცელს, რომლის საფუძველზეც ხორციელდება ინსტრუმენტის ტექნიკური და შინაარსობრივი გადამოწმება. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდურობას ადასტურებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის შესაბამისი პირი ან იმავე დარგის სპეციალისტი, რის შედეგადაც გამოყენებაში გადადის მხოლოდ შემოწმებული და ვალიდურად მიჩნეული ინსტრუმენტი.

ვერიფიკაციის პროცესის განხორციელების მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისი მექანიზმები. თეორიული კომპონენტის შეფასების შემთხვევაში აკადემია იყენებს ელექტრონულ შეფასების პლატფორმას, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის დაცულ და გამჭვირვალე წარმართვას. პლატფორმაზე პროფესიული სტუდენტის ავტორიზაცია ხორციელდება ინდივიდუალური მონაცემებისა და პაროლის გამოყენებით, ხოლო საგამოცდო პროცესის დაწყებამდე სტუდენტს მიეწოდება ინფორმაცია შეფასების წესის, შეფასების სქემის, გამოცდის ხანგრძლივობის, განმეორებითი შეფასებისა და აპელაციის პროცედურების შესახებ.

ელექტრონული შეფასების პროცესში გამოყენებულია დამატებითი დაცვის მექანიზმები, მათ შორის კითხვების რანდომიზებული შერჩევა, რაც ამცირებს შეფასების პროცესზე გარე ფაქტორების გავლენას და ხელს უწყობს ობიექტური შეფასების უზრუნველყოფას. შეფასების დასრულების შემდეგ პროფესიული სტუდენტი იღებს ინფორმაციას მიღწეული შედეგის, დაგროვებული ქულებისა და დაშვებული შეცდომების შესახებ, თუმცა სისტემაში არ არის ხელმისაწვდომი სწორი პასუხები, რაც ხელს უწყობს შეფასების სანდოობის შენარჩუნებას. განმეორებითი შეფასების შემთხვევაში გათვალისწინებულია კითხვებისა და დისტრაქტორების ცვლილება.

იმ შემთხვევაში, თუ თეორიული კომპონენტის შეფასება ხორციელდება ელექტრონული პლატფორმის გამოყენების გარეშე, ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შერჩევითი პრინციპით. განხორციელებული პროცესის შედეგები აისახება შესაბამის დასკვნაში და საჭიროების შემთხვევაში გაიცემა გაუმჯობესების რეკომენდაციები.

პრაქტიკული კომპონენტის შეფასებისას გათვალისწინებულია შეფასების პროცესზე დამატებითი კონტროლის მექანიზმი — პროცესს შესაძლებელია დაესწროს დარგის სხვა პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროგრამის ხელმძღვანელი ან სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენელი, რაც დასტურდება შეფასების ინსტრუმენტსა და შესაბამის შეფასების ფურცელზე ხელმოწერით.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ მათთვის ცნობილია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და შეფასების პროცესის ვერიფიკაციის მექანიზმები. მასწავლებლებმა აღწერეს აღნიშნული პროცესების განხორციელების პრაქტიკა და აღნიშნეს, რომ აკადემია უზრუნველყოფს მათ პროფესიულ განვითარებას შეფასების მიმართულებით, მათ შორის ჩაუტარდა ტრენინგი პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების საკითხებზე.

ვინაიდან „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა წარმოდგენილია დამატების ეტაპზე და მისი განხორციელება ჯერ არ დაწყებულა, ექსპერტთა ჯგუფს არ შეუფასებია აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკული გამოყენების შედეგები კონკრეტულად ამ პროგრამის ფარგლებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებაში მოქმედი ვალიდაციისა და ვერიფიკაციის მექანიზმები ქმნის შეფასების პროცესის სანდოდ, გამჭვირვალედ და ობიექტურად განხორციელების საფუძველს და უზრუნველყოფს შეფასების ხარისხის კონტროლის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.4.2.2. - პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს; - დაკმაყოფილებულია.

3.წარმოდგენილი რეგულაციებით განსაზღვრულია შეფასების შედეგებისა და მტკიცებულებების როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით აღრიცხვისა და შენახვის წესი. შეფასების უწყისებში და ელექტრონულ რეესტრში აისახება პროფესიული სტუდენტის, პროგრამის, მოდულისა და სწავლის შედეგის შესახებ ინფორმაცია. Testmoz-ის გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია შეფასების თარიღის, მიღებული შედეგისა და მცდელობის შესახებ მონაცემების ელექტრონულად შენახვა. განმსაზღვრელი შეფასების მტკიცებულებები ინახება სამი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც მათი განადგურება ხორციელდება შესაბამისი აქტის საფუძველზე. აღნიშნული უზრუნველყოფს შეფასების შედეგების მიკვლევადობასა და საჭიროების შემთხვევაში მათ გადამოწმებას.

ინდიკატორი 2.4.2.3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, - დაკმაყოფილებულია.

4. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულებაში მოქმედი პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების უკუკავშირის, განხილვისა და შემდგომი განვითარების მიზნით გამოყენების მექანიზმები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ აკადემიაში განსაზღვრულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტებთან განხილვისა და მათი შემდგომი განვითარების ხელშეწყობის მიზნით გამოყენების პროცედურები.

„შპს ინტერბიზნესის აკადემიის დებულებათა კრებულით“ განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტისათვის შესრულებულ სამუშაოზე უკუკავშირის მიწოდების ვალდებულება. ელექტრონული შეფასების პლატფორმის გამოყენების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი შეფასების დასრულებისთანავე იღებს ინფორმაციას დაშვებული შეცდომების შესახებ, რაც ხელს უწყობს მიღწეული შედეგების გააზრებას და გაუმჯობესების მიმართულებების განსაზღვრას.

იმ შემთხვევაში, როდესაც შეფასება ხორციელდება ელექტრონული პლატფორმის გამოყენების გარეშე, უკუკავშირის მიწოდებისას გათვალისწინებულია კონფიდენციალურობის პრინციპი. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასების შედეგებს განიხილავს განზოგადებული ფორმით, ხოლო კონკრეტული პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგის გასაჯაროება დაუშვებელია მისი თანხმობის გარეშე. პროფესიულ სტუდენტს, საკუთარი შედეგების გაცნობის მიზნით, შესაძლებლობა აქვს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში გაეცნოს საკუთარ ნამუშევარს.

დაწესებულებაში მოქმედი შეფასების სისტემა ითვალისწინებს განმავითარებელი შეფასების გამოყენებას პროფესიული სტუდენტის პროგრესისა და გასაუმჯობესებელი მიმართულებების გამოვლენის მიზნით, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასევე, „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით“ განსაზღვრულია შეფასების შედეგების ანალიზი და მათი გამოყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

ვინაიდან „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა წარმოდგენილია დამატების ეტაპზე და მისი განხორციელება ჯერ არ დაწყებულა, პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების შეფასების შედეგების პრაქტიკული ანალიზი და მათი გამოყენების გამოცდილება ამ ეტაპზე არ არსებობს. შეფასება განხორციელდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტაციისა და განსაზღვრული პროცედურების საფუძველზე.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებაში განსაზღვრული შეფასების შედეგების უკუკავშირისა და გამოყენების მექანიზმები ქმნის პროფესიული სტუდენტების პროგრესის მხარდაჭერისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების საფუძველს.

ინდიკატორი 2.4.2.4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის - დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ენერგომენეჯმენტი“, მათ შორის შეფასებისა და კრედიტის მინიჭების მარეგულირებელი ნაწილი;*
2. *„შპს ინტერბიზნესის აკადემიის დებულებათა კრებული“;*
3. *.„შპს ინტერბიზნესის აკადემიის „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;*
4. *შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების/ვალიდაციის ფორმა;*
5. *შეფასების მტკიცებულებების ელექტრონული რეესტრის ფორმები;*
6. *Testmoz-ის შეძენისა და მოდიფიცირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და პლატფორმის ფუნქციონალი;*

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ **მეტწილად შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს „ინტერბიზნესის აკადემია“ პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას გეგმავს ახალ მისამართზე — ქ. თბილისში, ქსნის ქ. №30-ში. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა აკადემიის „დებულებათა კრებული“, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტები და ახალ მისამართზე თანამშრომელთა გადაყვანასთან დაკავშირებული შეთანხმებები. „დებულებათა კრებულის“ მე-6 მუხლით განსაზღვრულია აკადემიის მართვის ორგანოები და ძირითადი სტრუქტურული ერთეულები, მათ შორის ხარისხის მართვის, ადმინისტრაციის, სასწავლო პროცესის მართვისა და უსაფრთხოების სამსახურები. შესაბამისი თავებითა და მუხლებით გაწერილია სტრუქტურული ერთეულებისა და მათ შემადგენლობაში შემავალი პირების ფუნქციები და ანგარიშვალდებულება. ახალ მისამართზე სამუშაოდ განსაზღვრულია მენეჯერი, სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი, დამხმარე პერსონალი და უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი. მათთან გაფორმებული შეთანხმებებით სამუშაო ადგილად განსაზღვრულია ახალი მისამართი. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის, ადამიანური რესურსების მართვისა და სხვა ადმინისტრაციული ფუნქციები განხორციელდება აკადემიის ერთიანი ორგანიზაციული სტრუქტურის ფარგლებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, აკადემიაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული და ვრცელდება ახალ მისამართზე დაგეგმილ საქმიანობაზეც. **ინდიკატორი 4.1.1.1 პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული - დაკმაყოფილებულია.**

2. აკადემიის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები განაწილებულია საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად. დირექტორი ხელმძღვანელობს დაწესებულების საქმიანობას და ზედამხედველობს სტრუქტურული ერთეულების მუშაობას, ხოლო სასწავლო პროცესის, ხარისხის უზრუნველყოფის, ადამიანური რესურსების მართვის, ადმინისტრაციული და უსაფრთხოების ფუნქციები შესაბამის პასუხისმგებელ პირებსა და სამსახურებზეა განაწილებული. ახალ მისამართზე განსაზღვრული პერსონალი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ადმინისტრირებას, ყოველდღიური საორგანიზაციო საკითხების მართვას, სივრცის მოვლა-დასუფთავებასა და უსაფრთხოებას. დანარჩენი ფუნქციები შესრულდება აკადემიის მოქმედი სტრუქტურული ერთეულების მიერ ერთიანი მართვის სისტემის ფარგლებში. ინტერვიუს დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ სასწავლო პროცესის მოცულობისა და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით იგეგმება ახალ მისამართზე დამატებითი პერსონალის დასაქმებაც. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების არსებული განაწილება უზრუნველყოფს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ორგანიზებას და ქმნის ახალ მისამართზე სასწავლო პროცესის მართვის სათანადო საფუძველს. **ინდიკატორი. 4.1.1.2პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას - დაკმაყოფილებულია.**

3. აკადემიის „დებულებათა კრებულით“ ხარისხის მართვის სამსახური განსაზღვრულია ცალკე სტრუქტურულ ერთეულად, რომლის ფუნქციებია დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგი, შეფასება, მონაცემების ანალიზი და გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავება.

„ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ მე-8 მუხლით განსაზღვრულია შიდა მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობა და პასუხისმგებლობები. ჯგუფში ხარისხის მართვის სამსახურთან ერთად მონაწილეობენ სხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები, პროგრამის ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში დარგის სპეციალისტები. ამავე დოკუმენტის 11.2 პუნქტის თანახმად, ვერიფიკაციის პროცესში არ შეიძლება ჩაერთოს პირი, რომელმაც შეფასების ინსტრუმენტი შეიმუშავა ან მის შექმნაში მონაწილეობდა. ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, ხოლო მონიტორინგისა და შეფასების პროცესში საჭიროების შესაბამისად ერთვებიან სხვა პასუხისმგებელი პირებიც. წარმოდგენილი რეგულაციებით უზრუნველყოფილია ფუნქციების გამიჯვნა და შეფასების პროცესში ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება. **ინდიკატორი 4.1.1.3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. *შპს „ინტერბიზნესის აკადემიის“ „დებულებათა კრებული“;*
2. *აკადემიის დირექტორის 2017 წლის 9 ნოემბრის №01-44 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, შემდგომი ცვლილებებით;*
3. *2026 წლის 29 ივლისს თანამშრომლებთან გაფორმებული შეთანხმებები სამუშაო ადგილის მისამართის ცვლილების შესახებ;*
4. *პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუების შედეგები;*
5. *ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია ახალ მისამართზე პერსონალის ფუნქციური განაწილებისა და დამატებითი ადამიანური რესურსის განსაზღვრის შესახებ.*

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა აკადემიის „პერსონალის მართვის პოლიტიკა“, შინაგანაწესი, თანამშრომლებთან გაფორმებული შეთანხმებები და ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი პირადი საქმეები. „პერსონალის მართვის პოლიტიკა“ არეგულირებს პერსონალის საჭიროების განსაზღვრის, მოზიდვის, შერჩევის, დასაქმების, ადაპტაციის, შეფასების, განვითარების, წახალისებისა და შრომითი ურთიერთობის საკითხებს. შინაგანაწესით განსაზღვრულია პერსონალის სამსახურში მიღების პირობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სამუშაო და დასვენების დრო, დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის წესები. ახალ მისამართზე განსაზღვრულ თანამშრომლებთან გაფორმებულია შეთანხმებები, რომლებითაც შეიცვალა შრომითი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაო ადგილი. აღნიშნული ადასტურებს, რომ თანამშრომელთა ახალ მისამართზე გადაყვანა განხორციელდა შრომითი ურთიერთობის წერილობითი მოწესრიგების გზით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე არ გამოვლენილა გარემოება, რომელიც პერსონალის მართვის პროცესების მოქმედ რეგულაციებთან შეუსაბამობაზე მიუთითებდა. **ინდიკატორი 4.1.2.1.პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად - დაკმაყოფილებულია.**

2. „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ მე-3–მე-5 მუხლებით განსაზღვრულია კადრის საჭიროების დადგენის, კანდიდატების მოზიდვისა და პერსონალის შერჩევის პროცედურები. პერსონალის მოზიდვა შესაძლებელია როგორც შიდა, ისე გარე წყაროებიდან, ხოლო ვაკანტურ პოზიციაზე კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულია შესაბამისი სამუშაო აღწერილობა, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, განათლება და გამოცდილება. შინაგანაწესის მე-3 მუხლით განსაზღვრულია ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის გავრცელების, კანდიდატთა დოკუმენტაციის შესწავლის, გასაუბრებისა და შრომითი ურთიერთობის გაფორმების პროცედურები. ამავე რეგულაციით დაშვებულია არსებული თანამშრომლის სხვა პოზიციაზე ან სამუშაო ადგილზე გადაყვანა მისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების გათვალისწინებით. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ახალ მისამართზე განსაზღვრული პერსონალის პირადი საქმეები. ინტერვიუს დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა ასევე დაადასტურეს, რომ დამატებითი პერსონალის შერჩევა განხორციელდება აკადემიაში მოქმედი პროცედურების შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, განსაზღვრული მიდგომები ქმნის შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალის შერჩევისა და დასაქმების საფუძველს. **ინდიკატორი 4.1.2.2 პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით - დაკმაყოფილებულია.**

3. აკადემიის შინაგანაწესის 3[1] მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციული პერსონალის ცალკეული პოზიციების საკვალიფიკაციო მოთხოვნები. მოთხოვნები ითვალისწინებს პოზიციის შესაბამის განათლებას, სამუშაო გამოცდილებასა და საჭირო პროფესიულ კომპეტენციებს.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში შეისწავლა ახალ მისამართზე სამუშაოდ განსაზღვრული პერსონალის პირადი საქმეები, მათ შორის განათლებისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები. წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ პოზიციებსა და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი 4.1.2.3.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას - დაკმაყოფილებულია.**

4. აკადემიის „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ მე-2 მუხლით პერსონალის მართვის ძირითად პრინციპებად განსაზღვრულია გადაწყვეტილებების მიღებაში ჩართულობა, ღიაობა, გუნდურობა, ურთიერთპატივისცემა და თანამშრომლობა. პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება ითვალისწინებს ადმინისტრაციისა და სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელთა მონაწილეობას.

„ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით“ განსაზღვრული შიდა მონიტორინგისა და შეფასების პროცესები ასევე ეფუძნება ხარისხის მართვის, სასწავლო პროცესის მართვის, ადმინისტრაციის, პროგრამის ხელმძღვანელებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების თანამშრომლობას.

ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ ახალ მისამართზე საქმიანობის დაგეგმვისა და პროგრამების დამატების პროცესში ჩართულები იყვნენ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები. პერსონალმა დაადასტურა მათ შორის ფუნქციური კომუნიკაციისა და თანამშრომლობის პრაქტიკა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულების პერსონალის მართვის მიდგომები ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

ინდიკატორი 4.1.2.4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს - დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. *შპს „ინტერბიზნესის აკადემიის“ „დებულებათა კრებული“;*
2. *აკადემიის დირექტორის 2017 წლის 9 ნოემბრის №01-44 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, შემდგომი ცვლილებებით;*
3. *აკადემიის დირექტორის 2019 წლის 16 დეკემბრის №01-46 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის პოლიტიკა“, შემდგომი ცვლილებებით;*
4. *შპს „ინტერბიზნესის აკადემიის“ შინაგანაწესი;*
5. *2026 წლის 29 ივლისს თანამშრომლებთან გაფორმებული შეთანხმებები სამუშაო ადგილის მისამართის ცვლილების შესახებ;*
6. *ახალ მისამართზე სამუშაოდ განსაზღვრული პერსონალის პირადი საქმეები;*
7. *პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუების შედეგები;*

შეფასება:

- ***გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.***
- ***შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.***

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა აკადემიის „პერსონალის მართვის პოლიტიკა“, შინაგანაწესი და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ მე-7 მუხლით განსაზღვრულია პერსონალის საქმიანობის შეფასების მიზანი, პერიოდულობა და გამოყენებული მეთოდები. შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ და ეფუძნება სტრუქტურული ერთეულების ანგარიშებს, დაკვირვებასა და წინასწარ შემუშავებულ კითხვარებს. დოკუმენტის დანართით ასევე წარმოდგენილია თანამშრომლის შეფასების კითხვარი, რომელიც მოიცავს შესრულებული სამუშაოს, პროფესიული უნარების, გუნდური მუშაობის, კომუნიკაციისა და შემდგომი განვითარების საჭიროებების შეფასებას. შინაგანაწესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულია პერსონალის საჭიროებების პერიოდული კვლევა და შედეგების საფუძველზე განვითარების ღონისძიებების დაგეგმვა. ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებების გამოვლენის პროცესებს კოორდინაციას უწევს ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებაში მოქმედი მექანიზმები უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრას. **ინდიკატორი 4.2.1.1.პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას - დაკმაყოფილებულია.**

2. აკადემიის პერსონალის განვითარების ღონისძიებების დაგეგმვის საფუძველს წარმოადგენს პერსონალის საქმიანობის შეფასება, საჭიროებების კვლევა, შიდა მონიტორინგის შედეგები და თანამშრომლებისგან მიღებული უკუკავშირი. „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ მე-9 მუხლი ითვალისწინებს პერსონალის განვითარების მიზნით გამოკითხვების, ტრენინგების, კონფერენციებისა და მომზადება-გადამზადების ღონისძიებების განხორციელებას. შინაგანაწესის მე-5 მუხლის შესაბამისად, კვლევის შედეგები განიხილება დირექტორისა და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ, რის საფუძველზეც იგეგმება შემდგომი განვითარების ღონისძიებები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით განსაზღვრული შიდა მონიტორინგის გეგმა მოიცავს ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების ტრენინგს, კონსულტირებას, გამოკითხვასა და მიღებული შედეგების ანალიზს. ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე განვითარების ღონისძიებების დაგეგმვასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელებას კოორდინაციას უწევს ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი. აღნიშნული უზრუნველყოფს პერსონალის განვითარების პროცესის გამოვლენილ საჭიროებებთან დაკავშირებას. **ინდიკატორი4.2.1.2პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით - დაკმაყოფილებულია.**

3. აკადემიის პერსონალის მართვის რეგულაციები ვრცელდება როგორც ადმინისტრაციულ პერსონალზე, ისე პროფესიული განათლების მასწავლებლებზე. „პერსონალის მართვის პოლიტიკით“ განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა შეფასება პროფესიული სტუდენტების გამოკითხვისა და თვითშეფასების კითხვარების გამოყენებით. შეფასების მიზანია მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების გამოვლენა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით“ გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა კონსულტირება, სწავლებისა და შეფასების მეთოდებთან დაკავშირებული ტრენინგები, სასწავლო პროცესზე დაკვირვება და განმახორციელებელი პირების გამოკითხვა. აღნიშნული აქტივობების დაგეგმვასა და შედეგების ანალიზს ახორციელებენ ხარისხის მართვისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურები. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებაში მოქმედი მიდგომები ქმნის პროფესიული განათლების მასწავლებელთა პედაგოგიური და დარგობრივი კომპეტენციების განვითარების ხელშემწყობ გარემოს. **ინდიკატორი 4.2.1.3 პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით - დაკმაყოფილებულია.**

4. „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ მე-6 მუხლით განსაზღვრულია ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის პროცესი. ახალ თანამშრომელს ადაპტაციის პროცესში დახმარებას უწევენ ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, უშუალო ხელმძღვანელი და კოლეგები.

ახალი თანამშრომელი ეცნობა აკადემიის დებულებათა კრებულს, შინაგანაწესს, სამუშაო აღწერილობასა და პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკას. შინაგანაწესის 30-ე მუხლით ასევე განსაზღვრულია ადმინისტრაციის ვალდებულება, სამუშაოზე მიღებისას თანამშრომელს გააცნოს დაწესებულების ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტები და მისი სამუშაო ფუნქციები.

ახალ მისამართზე გადაყვანილი პირები აკადემიის მოქმედი თანამშრომლები არიან და იცნობენ დაწესებულების მართვის სისტემასა და რეგულაციებს. დაწესებულების განმარტებით, ახალ მისამართზე დამატებითი პერსონალის მიღების შემთხვევაში მათი ინტეგრაცია განხორციელდება მოქმედი პროცედურის შესაბამისად. **ინდიკატორი 4.2.1.4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან - დაკმაყოფილებულია.**

5. აკადემიის დირექტორის 2019 წლის 16 დეკემბრის №01-46 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის პოლიტიკა“ შემდგომი ცვლილებებით ეფუძნება ღიაობის, ჩართულობის, გუნდურობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. თანამშრომლის შეფასების ფორმა ითვალისწინებს ინიციატივის, სიახლეებისადმი ღიაობისა და პროფესიული განვითარების სურვილის შეფასებას, ასევე თანამშრომლის შემდგომი განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების განსაზღვრას. „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ მე-8 მუხლითა და შინაგანაწესის მე-17 მუხლით განსაზღვრულია პერსონალის წახალისების ფორმები, მათ შორის მადლობის გამოცხადება, პრემიის გაცემა და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება. წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ბრძანებით. ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ პერსონალს შესაძლებლობა აქვს დააფიქსიროს პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებები და ინიციატივები, რომლებიც განიხილება დაწესებულების პასუხისმგებელი პირების მიერ. ექსპერტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჯგუფის შეფასებით, არსებული რეგულაციები და მართვის მიდგომები ხელს უწყობს პერსონალის ინიციატივების გამოვლენასა და მხარდაჭერას. **ინდიკატორი 4.2.1.5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები - დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. *აკადემიის დირექტორის 2019 წლის 16 დეკემბრის №01-46 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის პოლიტიკა“, შემდგომი ცვლილებებით;*
2. *შპს „ინტერბიზნესის აკადემიის“ შინაგანაწესი;*
3. *აკადემიის დირექტორის 2017 წლის 9 ნოემბრის №01-44 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, შემდგომი ცვლილებებით;*
4. *პასუხისმგებელ პირებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები*

შეფასება:

- ***გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.***
- ***შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.***

☒ **შეესაბამება**
☐ **მეტწილად შეესაბამება**
☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**
☐ **არ შეესაბამება**

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს „ინტეგრიზნესის აკადემია“ ქ. თბილისში ქსნის ქუჩა N30-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე ფლობს 490 კვ.მ ფართს, (სააკადასტრო კოდი: N 01.12.08.003.047.01.04.005) რომელშიც განთავსებულია ოთხი თეორიული სწავლების აუდიტორია(N1; N12; N24 და N 25; ორი კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორია(N21 და N22); დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი სახელოსნო (მასაჟის თერაპიის ლაბორატორია; N 23); ორი ადმინისტრაციული სივრცე(N4 და N11); დასასვენებელი/სარეკრეაციო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის - დაწესებულების ფოიე; გამიჯნული სანიტარული კვანძები; სივრცე პროფესიულ სტუდენტთა სპორტული ან შემოქდებითი საქმიანობისათვის – N24 და N25 სივრცეები შესაძლებელია გაერთიანდეს და გამოყენებული იქნეს, შემოქმედებითი საქმიანობისთვის, ასევე გამოიყენება შალვა ჯაფარიძის ლოკაციაც; ბიბლიოთეკა/სამკითხველო დარბაზი და სივრცე არქივისთვის განთავსებულია შალვა ჯაფარიძის ლოკაციაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გარდა აღნიშნულისა, აზომვითი ნახაზის შესაბამისად, დაწესებულებას მოცემული შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე აქვს დამოუკიდებელი შესასვლელი(ფართი - 25. 4 კვ.მ), რომელშიც განათავსებულია კორიდორი და დაცვის სივრცე. აღნიშნული ფართების დაწესებულების მფლობელობაში არსებობა დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით, შენობის აზომვითი ნახაზითა და სივრცეების სპეციალური ფორმით.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის პერიოდში დაათვალიერა დაწესებულების ფართი, რომელშიც სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა და შენობის გარკვეული ნაწილი არ იყო აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით, თუმცა წარმოდგენილი იყო ინვენტარის/აღჭურვილობის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღნიშნულთან დაკავშირებით, კოლეჯს წარმოდგენილი ჰქონდა შპს „ინტერბიზნესის აკადემიის“ დირექტორის 2026 წლის 19 ივნისის ბრძანება N 01-26 დამტკიცებული სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც დაწესებულება მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს დაასრულებს და შესყიდულ ინვენტარს განათავსებს 2026 წლის აგვისტოში. თუმცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი/უზუსტობა, კოლეჯს მოცემული აქტივობის დაწყების თარიღად მითითებული აქვს 2025 წლის დეკემბერი. შესაბამისად, დაწყებისა და დასრულების თარიღს შორის რვა თვიანი ვადაა განსაზღვრული, რაც მეტწილი შესაბამისობის ვადას(ექვს თვეს) სცდება. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლებმა გასაუბრებისას განმარტეს, რომ აღნიშნული სარემონტო სამუშაოები დაიწყო 2025 წლის დეკემბერში, თუმცა მათ ორთვენახევრიანი პერიოდი გადათვალეს სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის დამტკიცების თარიღიდან.

ზემოთ აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, დაწესებულებას იდენტიფიცირებული ჰქონდა გამოწვევა, რომლის წინაშეც იდგა, გასაუბრებისას გაჟღერებული ინფორმაციის საფუძველზეც ტექნიკურ ხარვეზად დაფიქსირდა მითითებული ვადა. შესაბამისად, გაიცა ***შესაბამისობის რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზუნველყოს სარემონტო სამუშაოების დასრულება და ფართის აღჭურვა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, 2026 წლის აგვისტოს ბოლომდე.***

დაწესებულებამ, არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისას განმარტა, რომ აღნიშნული ინდიკატორის ფარგლებში გაცემული შესაბამისობის რეკომენდაცია მათი მხრიდან უკვე შესრულებულია. ასევე, წარმოადგინა დაკორექტირებული სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა(დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N01-26, 19.06.2026. ბოლო ცვლილება: დირექტორის 17.08.2026 წლის ბრძანებით N01-26.), რომელშიც ინდიკატორი 5.1.1.1.-ის ფარგლებში იდენტიფიცირებული საჭიროება:"ფართში არ არის დასრულებული რემონტი რის გამოც, აუდიტორიებში არ არის განთავსებული სასწავლო ინვენტარი და აღჭურვილობა (პროფესიული სტუდენტის სკამი და მაგიდა, კომპიუტერები, ეკრანი, პრინტერი და სხვა)." ამოღებულია. ექსპერტთა ჯგუფმა იხელმძღვანელა დაწესებულების მიერ პროგრამების დამატების განაცხადებთან ერთად წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით და იმ ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, რომელიც ექსპერტთა ჯგუფს ადგილზე ვიზიტის დროს დახვდა. შესაბამისად, მოცემული ინდიკატორის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის შეფასება არ შეცვლილა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 5.1.1.1. - დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით; - მეტწილად შეესაბამება.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. დაწესებულებას პროფესიული სტუდენტის გზამკვლევში გაწერილი აქვს, პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობები, რომლის შესაბამისადაც პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია, ისარგებლოს აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით. აღნიშნული გარემობა დადასტურდა ადმინისტრაციულ პერსონალთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძვლეზეც. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 5.1.1.2. - დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის; - დაკმაყოფილებულია.**

3. შპს ინტერბიზნესის აკადემიას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები, რომელიც არეგულირებს ტერიტორიის, დერეფნების, სალექციო ოთახების, ლაბორატორიების, სველი წერტილების/ტუალეტების დასუფთავებისა და დეზინფექციის ჩატარების პროცედურებსა და პერიოდულობას. ეპიდემიოლოგიურად კეთილსაიმედო პერიოდში კოლეჯში ყოველდღიურად უნდა მოხდეს საკლასო ოთახების და სხვა სასწავლო და დამხმარე ოთახების დალაგება მეცადინეობის დამთავრების შემდეგ. გაიწმინდოს მტვრიანი ადგილები (ფანჯრისრაფები, რადიატორები, მერხები და სხვა. კვირაში სამჯერ უნდა მოხდეს კოლეჯის ტერიტორიის იატაკის სველი წესით მორეცხვა და დასუფთავება, თვეში ერთხელ უნდა ჩატარდეს კოლეჯის გენერალური დასუფთავება არა მარტო სარეცხი საშუალებებით, არამედ სადეზინფექციო ხსნარების გამოყენებით.სველი წერტილების დასუფთავება უნდა მოხდეს სათანადო წესით ყოველდღიურად, ეპიდსიტუაციის მიუხედავად. ეპიდემიოლოგიურად არაკეთილსაიმედო პერიოდში ყოველდღიურ დეზინფექციას ექვემდებარება ყველა ოთახი, სადაც გამოვლინდა დაავადების შემთხვევა. სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარების ხანგრძლივობა კერაში დამოკიდებულია ეპიდსიტუაციაზე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრების მითითებების შესაბამისად დაავადების კერის ლიკვიდაციამდე. ნაგვის ურნების დაცლა უნდა მოხდეს ყოველ დღე სამეცადინეო პროცესის დასრულების შემდეგ ან საჭიროებისამებრ. საყოფაცხოვრებო, სასწავლო და საოფისე ნარჩენები უნდა მოთავსდეს სპეციალურ კონტეინერებში და უნდა იქნას უტილიზებული ქალაქის მუნიციპალიეტის მიერ გამოყოფილ სპეციალურ ადგილზე. აღნიშნული დასტურდება ვიზუალური დათვალიერებითაც. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 5.1.1.3 - დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები; - დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულება ახალ ფართზე იმატებს ოთხ ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელშიც ჯერ კიდევ მიმდინარეობს სარემონტიო სამუშაოები, შესაბამისად, ბუნებრივი აირის მოხმარების გადახდის ქვითრები არ წარმოუდგენია, თუმცა შენობა-ნაგებობაში განთავსებული ფართის ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ დაწესებულების საკუთრებაში არსებული კორპუსი უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. **ინდიკატორი 5.1.1.4. - შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით; - დაკმაყოფილებულია.**

5. შპს ინტერბიზნესის აკადემიაში ფუნქციონირებს კოლეჯის დირექტორის მიერ 2019 წლის 16 დეკემბრის N 01-46 (ბოლო ცვლილება:ბრძ.N01-53; 15.11.2024) ბრძანებით დამტკიცებული შრომის უსაფრთხოების, გარემოს დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობებს და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვრცელდება აკადემიის პერსონალზე, პროფესიული განათლების მასწავლებლებზე, მოწვეულ სპეციალისტებსა და პროფესიულ სტუდენტებზე. აკადემიის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი პრინციპებია მუდმივად იზრუნოს დასაქმებულებსა და პროფესიულ სტუდენტებზე, უსაფრთხო გარემოს შექმნასა და მათი ჯანმრთელობის დაცვაზე სამუშაო და სასწავლო სივრცეში, დაიცვას შრომის უსაფრთხოების სამართლებრივი ნორმები, წესები და საჭიროების შემთხვევაში შეასრულოს ეს მოთხოვნები, რათა თავიდან აიცილოს პერსონალის და პროფესიული სტუდენტების დაშავება და მათი ჯანმრთელობის დაზიანება. შრომის უსაფრთხოების დაცვას აკადემია კომპლექსურად განიხილავს, რაც აისახება მიზნობრივი ინსტრუქტაჟების ჩატარებაში, რისკების შეფასებაში, ეფექტიანი კონტროლის ზომების განსაზღვრაში, უბედური შემთხვევების და პროფესიული დაავადებების გამოვლენა-აღრიცხვაში, საწარმოო დანადგარების უსაფრთხო რეჟიმში მუშაობაში, მათ გამართულობასა და პასპორტების/ექსპლოატაციის ინსტრუქციების არსებობაში, სასწავლო გარემოს მუდმივ მონიტორინგსა და სხვა.

კოლეჯს ჰყავს შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სერტიფიცირებული პირი, რომელიც აწვდის ინფორმაციას კოლეჯის დირექტორს აკადემიის საქმიანობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, შეიმუშავებს და განაახლებს შრომის უსაფრთხოებისდ დაცვის წესებს, ინსტრუქციებს, პროცედურებს და უზრუნველყოფს მათი საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობას, შეიმუშავებს საჭირო დოკუმენტაციასა და სამუშაო ფორმებს, აკადემიის პერსონალს აცნობს შრომის უსაფრთხოების გეგმას, გეგმაავს/ატარებს ტრენინგებს, აფასებს რისკებს და სხვა. **ინდიკატორი 5.1.1.5 - დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები; - დაკმაყოფილებულია.**

6. შპს ინტერბიზნესის აკადემიას შემუშავებული აქვს კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 09 ნოემბრის N01-44 ბრძანებით დამტკიცებული(ბოლო ცვლილება:2026 წლის 17 მარტის 01-07 ბრძანება) „დებულებათა კრებული“, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალა/ნედლეულის შემენა, შენახვის და გახარჯულის აღრიცხვის პროცედურას. კოლეჯის სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების რაოდენობის, პროგრამაში შემავალი მოდულების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი უზრუნველყოფს მასალებისა და ნედლეულის მოთხოვნის წარდგენას დირექტორისათვის მოდულის დაწყებამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, ხოლო შესყიდული მასალა-ნედლეული მოდულის დაწყებამდე და გადაეცემა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს. სასწავლო პროცესის სამსახურის უფროსი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე უზრუნველყოფს მასალა/ნედლეულის მოდულის განმახორციელებელი პირისათვის გადაცემას. აკადემია პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებელი მოდულის მასალა/ნედლეულის შემენას არ ახორციელებს. გამომდინარე იქედან, რომ კოლეჯი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების ეპატზეა მასალა-ნედლეულის მიღებაჩაბარების აქტები არ გამოუთხოვია ექსპერტთა ჯგუფს, თუმცა ზემოთ აღნიშნული რეგულაციისა და გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ **ინდიკატორი - 5.1.1.6 დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები; - დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. შპს ინტერბიზნესის აკადემიაში ფუნქციონირებს კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 09 ნოემბრის N01-44 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც ეფუძნება "დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე" ციკლს. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცვს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას, რომლის შემადგენელი ნაწილია მატარიალური და საგანმანათლებლო რესურსები. დაწესებულება ახორციელებს პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვას, რაც ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ინდიკატორია. გარდა ამისა, აკადემიაში შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომლიც სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფნის მიზნით მონიტორინგს უწევს მათ შორის მატარიალური რესურსების მდგომარეობას. აღნიშნული პრაქტიკა დადასტურდა, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით და ანგარიშებით, რომლის ერთ-ერთ მტკიცებულებას წარმოადგენდა რესურსების შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტები. აღნიშული პრაქტიკა დაწესებულებას დანერგილი არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში. რეგულაციიდან გამომდინარე კი, ახალი ლოკაციისა და პროგრამების ფარგლებშიც განაგრძობს აღნიშნული პრაქტიკის განხორციელებას. ზემოთ აღნიშნული რეგულაციის, მტკიცებულებებისა და გასაუბრების საფუძვლეზე დასტურდება, რომ **ინდიკატორი 5.1.1.7 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას; - დაკმაყოფილებულია.**

8. აკადემიის შენობა-ნაგებობის ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ დაწესებულების ახალ მისამართზე მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მარაგდება წყლით, დაწესებულებას უწყვეტად მიეწოდება ელექტრო ენერგია, ფუნქციონირებს ვენტილაცია, სველ წერტილებში დაცულია ჰიგიენური ნორმები.

ინდიკატორი 5.1.1.8. - პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის; - დაკმაყოფილებულია.

9. დაწესებულების შენობა-ნაგებობის ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ ყველა სასწავლო ფართს, მათ შორის ბიბლიოთების სამკითხველო დარბაზს აქვს, როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური განათება.

ინდიკატორი 5.1.1.9 - ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა; - დაკმაყოფილებულია.

10. კოლეჯის შიდა გეგმარება ოპტიმალურად უზრუნველყოფს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების შეუფერხებელ წარმართვას. შენობაში არ არის გამავალი ოთახები. სასწავლო აუდიტორიები, ადმინისტრაციული სამუშაო სივრცეები, ბიბლიოთეკა და პრაქტიკული ლაბორატორიები ერთმანეთისგან იზოლირებულია, რაც გამორიცხავს ხმაურსა და სამუშაო პროცესში ხელშეშლას. ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ თეორიული და პრაქტიკული სწავლების სივრცეები განლაგებულია ლოგიკურად. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი - 5.1.1.10 სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას - დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

11. დაწესებულებას ახალ ლოკაციაზე ქსნის ქუჩა N30 არ აქვს ფართი გამოყოფილი ბიბლიოთეკისთვის, თუმცა პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ შალვა ჯაფარიძის ლოკაციაზე არსებული ბიბლიოთეკითა და სამკითხველო დარბაზით. ასევე, ყველა სასწავლო რესურსი პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ელექტრონულ ბიბლიოთეკაში, რომელიც დაწესებულების ვებ-გვერდზეა განთავსებული.

ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს აკადემიის სასწავლო საქმიანობის შეფერხების გარეშე განხორციელებას, მისი მიზანია აკადემიის პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების უზრუნველყოფა წიგნადი ფონდით, როგორც ბეჭდითი ასევე ელექტრონული სახის რესურსებით. ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება აქვთ აკადემიის პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს, პროფესიულ მასწავლებლებს, აკადემიის ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს. დაწესებულებაში შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, რომელიც გამოკრულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილზე.

დაწესებულებას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელიც ატარებს სათანადო ღონისძიებებს ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის, საბიბლიოთეკო ფონდების დაცვის, თანამშრომელთა და მკითხველთათვის აუცილებელი პირობების შექმნის მიზნით; უზრუნველყოფს მკითხველთა მომსახურებას ბიბლიოთეკის ფონდებით, კატალოგებით, კარტოთეკებით და სხვადასხვა სახის ინფორმაციით; უზრუნველყოფს სასწავლო რესურსის გაციფრულებას, დამუშავებას საბიბლიოთეკო წესით და მსურველთა უზრუნველყოფას; იღებს წიგნებს, უზრუნველყოფს მათ დამუშავებას საბიბლიოთეკო საერთაშორისო სტანდარტებით; უზრუნველყოფს წიგნების აღრიცხვას ელექტრონულ და ქაღალდის კატალოგებში; უზრუნველყოფს აკადემიის მიერ გამოწერილი პერიოდიკის დამუშავებასა და აღრიცხვას; უზრუნველყოფს აკადემიის სამკითხველო დარბაზში სათანადო წესრიგის დაცვას. ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსი (მატერიალური და ელექტრონული წიგნები) დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ზემოთ აღნიშნული მტკიცებულებებითა და დაწესებულების ბიბლიოტეკართან გასაუბრების საფუძველზე; **ინდიკატორი 5.1.1.11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. - დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

1. შპს „ინტერბიზნესის აკადემიის“ დებულებათა კრებული (დამტკიცებულია შპს ინტერბიზნესის აკადემიის დირექტორის 2017 წლის 09 ნოემბრის N01-44 ბრძანებით);

2. მონაწერი საჯარო რეესტრიდან;

3. სივრცეების/ფართების განაწილების ფორმა;

4. აზომვით ნახაზი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. შპს „ინტერბიზნესის აკადემიის“ შრომის უსაფრთხოების, გარემოს დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა (დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 16 დეკემბრის N01 – 46 ბრძანებით)

6. შპს „ინტერბიზნესის აკადემიის“ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (დამტკიცებულია დირექტორის 2017 წლის 09 ნოემბრის N01 – 44 ბრძანებით);

7. შპს „ინტერბიზნესის აკადემიის“ სანიტარული დასუფთავების წესი (დამტკიცებულია დირექტორის 2018 წლის 02 აგვისტოს N01 – 34 ბრძანებით);

8. შპს „ინტერბიზნესის აკადემიის“ დირექტორის 2026 წლის 19 ივნისის ბრძანება N 01-26დამტკიცებული სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;

8. გასაუბრების შედეგები;

9. ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შპს „ინტერბიზნესის აკადემიის“ დირექტორის 2026 წლის 19 ივნისის №01-26 ბრძანებით დამტკიცებული აქვს სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც ინდიკატორი 5.1.2.1 დაწესებულების მიერ შეფასებულია ნაწილობრივ შესაბამისობად.

დაწესებულების განმარტებით, აკადემიის ფართი განთავსებულია მრავალსართულიანი შენობის მეორე სართულზე, ხოლო სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა გაიცემა მთლიან შენობაზე. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სამშენებლო კომპანიას დაქირავებული ჰყავს სახანძრო უსაფრთხოების მიმართულებით მომუშავე კომპანია, რომელიც ახორციელებს შესაბამის სამუშაოებს. დაწესებულების განცხადებით, აღნიშნულ კომპანიას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ძირითადი ნაწილი შესრულებული აქვს და სამშენებლო კომპანიას აქვს ვალდებულება, დაწესებულებას წარუდგინოს სახანძრო უსაფრთხოების დადებითი დასკვნა. აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი მიმოწერითაც, რომლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიხედვითაც, 2026 წლის 16 ივნისის მდგომარეობით, სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სამუშაოების დასრულება დაგეგმილია სამი თვის ვადაში.

მიუხედავად აღნიშნულისა, დაწესებულებამ ინდიკატორი ნაწილობრივ შესაბამისობად შეაფასა. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული პროცესი დაწესებულებაზე პირდაპირ არ არის დამოკიდებული, ვინაიდან სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულება აღებული აქვს სხვა კომპანიას. შესაბამისად, შესაძლო რისკების გათვალისწინებით, დაწესებულებამ ინდიკატორის სრულ შესაბამისობაში მოყვანისთვის განსაზღვრა უფრო ხანგრძლივი ვადა.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებული ვადები და დაადგინა, რომ ინდიკატორის შესაბამისობის უზრუნველყოფის პროცესის დაწყების თარიღად მითითებულია 2024 წლის დეკემბერი, ხოლო დასრულების თარიღად — 2027 წლის ნოემბერი. შესაბამისად, დაწესებულების მიერ განსაზღვრული ნაწილობრივი შესაბამისობის პერიოდი სცდება ინდიკატორის შესრულებისთვის მითითებულ ვადებს. დაწესებულების განმარტებით, ვადის ათვლა განხორციელდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის დამტკიცების თარიღიდან, თუმცა აღნიშნული მიდგომა არ ცვლის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში ასახულ ვადებს და მათ შეფასებისას გათვალისწინებულ მნიშვნელობას.

გარდა ზემოთაღნიშნულისა, მოცემულ ინდიკატორთან მიმართებით დაფიქსირდა ხარვეზი, რადგან დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი შენობის მდგრადობის დამადასტურებელი შესაბამისი დასკვნა, რაც აუცილებელია უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის დასადასტურებლად. აღნიშნული საკითხი ასევე არ იყო ასახული სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში.

აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულებამ, არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისას წარმოადგინა დაკორექტირებული სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა(დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N01-26, 19.06.2026. ბოლო ცვლილება: დირექტორის 17.08.2026 წლის ბრძანებით N01-26.), რომელშიც იდენტიფიცირებულია გასაუმჯობესებელი გარემოება:შენობა-ნაგებობის მდგრადობის დადებითი დასკვნის მოპოვება. შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად კი განსაზღვრული აქვს: სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპეტიზის ბიუროს დაჩქარებული წესით ექსპერტიზის ჩატარება დაწესებულების მფლობელობაში არსებული ფართის ტექნიკური მდგომარეობისა და ექსპლუატაციის ვარგისიანობის დასადგენად.დაწესებულებას აღნიშნული ინდიკატორის დაკმაყოფილების ვადად განსაზღვრული აქვს ხუთი თვე(დაწყების თარიღი 31/07/2026 - დასრულების თარიღი 28/12/2026), რაც სრულიად რეალისტურია მოცემული აქტივობის განსახორციელებლად. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორის ფარგლებში გაიცა **შესაბამისობის რეკომენდაცია:** დაწესებულებამ უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოებისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის დადებითი დასკვნის მოპოვების მიმართულებით დაწყებული ღონისძიებების დასრულება და შესაბამისი დოკუმენტაციის მოპოვება სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში განსაზღვრულ ვადაში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, იდნიკატორი 5.1.2.1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები; - მეტწილად შეესაბამება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. შპს „ინტერბიზნესის აკადემიას“ შემუშავებული აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, განსაზღვრული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის რეგისტრაციის წესი და პასუხისმგებელი პირი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პასუხისმგებელ პირს გავლილი აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების კურსი, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით. აღნიშნულ პირთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებას თან ახლავს შეთანხმება, რომლის მიხედვითაც დასაქმების ადგილად განსაზღვრულია ქ. თბილისი, ქსნის ქუჩა №30.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში შეაფასა პირველადი გადაუდებელი დახმარების პრაქტიკული უზრუნველყოფის საკითხი და დაადგინა, რომ ახალ ლოკაციაზე დაწესებულებას არ ჰქონდა წარმოდგენილი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისთვის აუცილებელი სამედიცინო ყუთი. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, იმ შემთხვევებში, როდესაც საჭირო სამედიცინო დახმარების აღმოჩენა სცდება დაწესებულების კომპეტენციას, უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი სამსახურების, მათ შორის გადაუდებელი დახმარების სამსახურის (112), ოპერატიული გამოძახება.

მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი და აქვს შესაბამისი პროცედურები, პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი მინიმალური მატერიალური რესურსის (სამედიცინო ყუთის) არარსებობა ახალ ლოკაციაზე სრულად ვერ უზრუნველყოფს მექანიზმის პრაქტიკულ განხორციელებას.

დაწესებულებამ აღნიშნულ საკითხთან მიმართებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის თანახმადაც, ახალ ლოკაციაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მინიმალური მატერიალური რესურსი — პირველადი დახმარების ყუთი — შეძენილი იყო და ვიზიტის პერიოდში დაწესებულებაში არსებობდა. დაწესებულების განმარტებით, ექსპერტთა დასკვნაში ასახული გარემოება, თითქოს ახალ ლოკაციაზე აღნიშნული რესურსი უზრუნველყოფილი არ იყო, არ ასახავს ფაქტობრივ მდგომარეობას.

ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული პოზიცია განიხილა ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული შეფასებისა და ადგილზე არსებული მტკიცებულებების გათვალისწინებით. ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ახალ ლოკაციაზე პირველადი დახმარების ყუთის არსებობა ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვერ იქნა დადასტურებული. შესაბამისად, შეფასების მომენტში ექსპერტთა ჯგუფს არ გააჩნდა ადგილზე პირველადი დახმარების ყუთის არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულება.

ამასთან, დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციით წარმოდგენილი განმარტება და შესაბამისი დამატებითი ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა. თუმცა, აღნიშნული მტკიცებულება წარმოდგენილია ექსპერტთა ვიზიტის დასრულების შემდგომ და ვერ ცვლის ვიზიტის ფარგლებში დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, რომლის საფუძველზეც შეფასდა პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმის პრაქტიკული უზრუნველყოფა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა, თუმცა წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაცია ვერ გახდა ვიზიტის ფარგლებში დაფიქსირებული შეფასების ცვლილების საფუძველი. შესაბამისად, ინდიკატორის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ თავდაპირველად დაფიქსირებული შეფასება დარჩა უცვლელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 5.1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; - არ არის დაკმაყოფილებული**

3. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შემუშავებულია შპს ინტერბიზნესის აკადემიის საგანგებო შტაბის წევრების მიერ და დამტკიცებულია: შპს ინტერბიზნესის აკადემიის დირექტორის მიერ ქ. თბილისი 2026 წლის 29 ივნისის №01-28 ბრძანებით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №508 დადგენილებით დამტკიცებული ,,სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის შესაბამისად". შპს ინტერბიზნესის აკადემიაში ფუნქციონირებს საგანგებო შტაბი, რომელიც წარმოადგენს საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მათზე მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების მაკოორდინირებელ და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს. საგანგებო შტაბის უფროსი არის დირექტორი. ხოლო, მისი მოადგილე - საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად სპეციალურად უფლებამოსილი პირი, რომელიც გეგმის შესაბამისად კოორდინაციას უწევს რეაგირების ძალებსა და საშუალებებს, მუდმივად უკავშირდება შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ოპერატიულ მორიგეს და არსებული სიტუაციის შესახებ ამზადებს წერილობით მოხსენებებს.

კოლეჯს შემუშავებული აქვს ხანძრის შემთხვევაში მოქმედების წესი, ევაკუაციის უზრუნველყოფისათვის მოქმედების ინსტრუქცია, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიების უზრუნველყოფის გეგმა. აკადემიაში არსებობს საგანგებო კრიზისული და ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებულია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ 2026 წლის 14 ივლისს. (წერილის ნომერი: MIA 9 26 02487735) ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, - **ინდიკატორი 5.1.2.3.დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი; - დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულებას ჰყავს დაცვის თანამშრომელი, რომელიც ოცდაოთხი სააათის განმავლობაში უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. ასევე, დაწესებულებაში დამონტაჟებულია ვიდეოკამერები, როგორც შიდა ასევე, გარე პერიმეტრზე. კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „მაზერისთან", რომელიც უზრუნველყოფს აკადემიის ვიდეომეთვალყურეობის სისტემის ადმინისტრირებას და გამართულ ფუნქციონირებას, კოლეჯის ვიდეომეთვალყურეობის წესის შესაბამისად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 5.1.2.4. - დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. - დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. დებულებათა კრებული (დამტკიცებულია შპს ინტერბიზნესის აკადემიის დირექტორის 2017 წლის 09 ნოემბრის N01-44 ბრძანებით); •

2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;

3. შრომის უსაფრთხოების, გარემოს დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა (დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 16 დეკემბრის N01 – 46 ბრძანებით);

4. შპს „ინტერბიზნესის აკადემიის“ პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ჟურნალი;

5. შპს „ინტერბიზნესის აკადემიის“ დირექტორის 2026 წლის 19 ივნისის ბრძანება N 01-26დამტკიცებული სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;

6. ინტერვიუს შედეგები;

7.ვიზუალური დათვალიერების შედეგი.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
[redacted] არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში შექმნილი IT ინფრასტრუქტურა სრულ შესაბამისობაშია ადმინისტრაციულ და საგანმანათლებლო პროცესებთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ვიზუალური დათვალიერებითა და დოკუმენტური შესწავლით დადასტურდა შემდეგი: სასწავლო და ადმინისტრაციული სივრცეები აღჭურვილია სათანადო პარამეტრების მქონე პერსონალური კომპიუტერებით/ნოუთბუქებით. ტექნიკის რაოდენობა და სიმძლავრე შეესაბამება სტუდენტთა საერთო კონტინგენტსა და საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას. კომპიუტერული ტექნიკა აღჭურვილია შესაბამისი ოპერაციული სისტემებითა და პროგრამული პაკეტებით, რომლებიც აუცილებელია როგორც ადმინისტრაციული საქმიანობისთვის, ისე პროფესიულ სტუდენტთა მიერ სასწავლო მასალების დასამუშავებლად. მთელ პერიმეტრზე ხელმისაწვდომია ინტერნეტი. კოლეჯი უზრუნველყოფს როგორც კაბელურ, ისე უკაბელო კავშირს. ინტერნეტის მიწოდების უწყვეტობა და ადმინისტრაციული/სასწავლო პროცესების ციფრული მხარდაჭერა დასტურდება პროვაიდერ კომპანიასთან - ინტერნეტ/IPTV/VoIP მომსახურების სააბონენტო ხელშეკრულებით შპს „მაგთისთან“ .(17.06.2016). ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 5.2.1.1 პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს; - დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულებას საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვის საკითხები გატანილი აქვს გარე კონტრაქტორზე (აუთსთორზე), რისთვისაც გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „მაზერთან“, რომელიც საკუთარი ადამიანური რესურსით უზრუნველოფს საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვას. კერძოდ, უზრუნველყოფს აკადემიას კომპიუტერული და ელექტრონული აპარატურით, წარმართავს IT მართვის პროცედურებს, ახორციელებს კომპიუტერული ტექნიკის შემოწმებას, პროგრამულ უზრუნველყოფას და ვირუსისგან დაცვას. უზრუნველყოფს, როგორც ქსელურ ისე უკაბელო შეუფერხებელ წვდომას ინტერნეტთან. ორგანიზაცია მრავალი წელია უკვე კოლეჯს ემსახურება, ახორციელებს IT რისკების მართვას, კვირაში ერთხელ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გეგმიურად, ხოლო არაგეგმიურ შემთხვევაში საჭიროებიდან გამომდინარე. ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, **ინდიკატორი 5.2.1.2 პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას; - დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კერძო კოლეჯების ასოციაციას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს „მონაცემთა დაცვის გუნდთან“, რომლის ფარგლებშიც კოლეჯს ემსახურება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რის შესახებაც ინფორმაცია განთავსებულია სათანადო პორტალსა და კოლეჯის ვებ-გვერდზე. აკადემიის ყველა თანამშრომელი და პროფესიული სტუდენტი ავსებს თანხმობის ფორმას, რითაც ადასტურებს მათი პერსონალური მონაცემების გამოყენებას კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე. ვიდეოკონტროლზე პასუხისმგებელი პირია უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, პერსონალურ მონაცემთა გამოყენებაზე პასუხისმგებელია ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი სამუშაო აღწერილობის შესაბამისად კომპეტენციის ფარგლებში. დაწესებულებას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა. ზემოთ აღნისნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 5.2.1.3 დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას; - დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს აკადემიაში მიმდინარე საქიანობისა და პროცესების, მათ შორის საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის შეფასებას. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა წარმოადგინა მასალა, რითიც დადგინდა, რომ იგი პერიოდულად აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების ეფექტიანობას, აანალიზებს კვლევის შედეგებს და გასცემს რეკომენდაციებს, თუმცა აღნიშნული პროცესები ჯერ არ განხორციელებულა ახალი ლოკაციის ფარგლებში, რადგან დაწესებულება პროგრამების დამატების ეტაპზეა. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 5.2.1.4 პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას; - დაკმაყოფილებულია.**

5. შპს ინტერბიზნესის აკადემიაში დარეგულირებულია პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა და მომსახურება. კოლეჯის კომპიუტერული ინფრასტრუქტურით სარგებლობა დასაშვებია მხოლოდ სასწავლო მიზნებისთვის. მოსარგებლე პირმა უნდა დაიცვას გარკვეული წესები, მაგალითად, თვითნებურად არ ჩართოს/არ გამორთოს კომპიუტერი ქსელიდან, არ დააზიანოს ქონება და სხვა. განსაზღვრულია აგრეთვე კომპიუტერული კლასის მუშაობის საათები და დღეები, რაც დადასტურდა კოლეჯის პერსონალთან გასაუბრების საფუძველზეც. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 5.2.1.5 პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება; - დაკმაყოფილებულია.**

6. დაწესებულებას შექმნილი აქვს პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიულ მასწავლებელთა მეილ-ლისტები, რომლებიც ახლდება ყოველწლიურად. ასევე, ადმინისტრაციული პერსონალისთვის წარმოდგენილია აკადემიის დომეინის ელ-ფოსტები. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 5.2.1.6 პსდ**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით. - დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. *დებულებათა კრებული (დამტკიცებულია შპს ინტერბიზნესის აკადემიის დირექტორის 2017 წლის 09 ნოემბრის N01-44 ბრძანებით);*
2. *შპს „მონაცემთა დაცვის გუნდთან“ გაფორმებული ხელშეკრულება;*
3. *შპს „მაზერთან“ გაფორმებული ხელშეკრულება;*
4. *ინტერნეტპროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება;*
5. *ინტერვიუს შედეგები*
6. *ვიზუალური დათვალიერების შედეგები*

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების დებულებათა კრებულში განსაზღვრულია საქმისწარმოებასთან დაკავშირებული რეგულაციები და ნორმები. საქმისწარმოების ერთიანი წესის ძირითადი მიზანია დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება აკადემიაში, თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით დოკუმენტური ინფორმაციის დასამუშავებლად საჭირო პირობების შექმნა და მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება. რეგულაცია განსაზღვრავს დოკუმენტების მოძრაობას და საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს აკადემიის დოკუმენტებზე მუშაობის წესს, აკადემიის ბრძანებების, ოქმების, აქტების, სამსახურებრივი ბარათების, მოქალაქეთა განცხადებების, წერილებისა და შემოსული კორესპონდენციის მომზადებისა და რეგისტრაციის, ასევე ხელშეკრულებების, შეთანხმებებისა და მემორანდუმების რეგისტრაციისა და შენახვის წესებს. ასევე, კოლეჯში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის და მასში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების საფუძვლებს. კოლეჯის საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასალებით დადგინდა, რომ დაწესებულება იცავს საქმისწარმოების წესებს. დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები დანომრილია, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძულია. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 5.2.2.1 პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი; - დაკმაყოფილებულია.**

2. კოლეჯში მართვის პროცესები დაფუძნებულია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაზე, რაც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო საქმიანობის ოპერატიულობასა და გამჭვირვალობას. კოლეჯი აქტიურად იყენებს დოკუმენტბრუნვის ერთიან ელექტრონულ სისტემას — E-FLOW. სისტემა უზრუნველყოფს ბრძანებების, კორესპონდენციისა და შიდა ბარათების ელექტრონულ ვიზირებას, რეგისტრაციასა და დაარქივებას, რაც მინიმუმამდე ამცირებს ბიუროკრატიულ დანახარჯებსა და დოკუმენტის დაკარგვის რისკს. დაწესებულებას საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის განვითარება, მხარდაჭერა, ტექნიკური მომსახურება, მიმწოდებლის სერვერზე განთავსება და მისი ადმინისტრირების მომსახურება შესყიდული აქვს ააიპ საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციისგან, რომელიც დასტურდება, ხელშეკრულებით. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 5.2.2.2 პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის; - დაკმაყოფილებულია.**

3. შპს ინტერბიზნესის აკადემია ხელმძღვანელობს რეესტრის წარმოების ერთიანი წესით, აწარმოებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საინფორმაციო მართვის სისტემას (evet.emis.ge), სისტემაში ინფორმაციის ასახვაზე პასუხისმგებელი პირია საქმისწარმოების მენეჯერი, რომელთან გასაუბრებითა და ფაქტობრივი მდგომარეობით დადგინდა, რომ დაწესებულება ინფორმაციას რეესტრში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 17 თებერვლის N11/ნ ბრძანებით დადგენილი წესით, კოლეჯის დირექტორის მიერ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის გამოცემისთანავე ასახავს. - **ინდიკატორი 5.2.2.3 პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას; - დაკმაყოფილებულია.**

4. კოლეჯი მუდმივ რეჟიმში, ჯეროვნად და დადგენილ ვადებში ახორციელებს ანგარიშგებას, უკუკავშირსა და ინფორმაციის მიწოდებას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ სახელმწიფო უწყებებთან. **ინდიკატორი 5.2.2.4 პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. - დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. *დებულებათა კრებული (დამტკიცებულია შპს ინტერბიზნესის აკადემიის დირექტორის 2017 წლის 09 ნოემბრის N01-44 ბრძანებით);*
2. *კოლეჯის საქმისწარმოების დოკუმენტაცია და ჟურნალები;*
3. *განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. *eFlow - ს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში ასახული ინფორმაცია;*
5. *გასაუბრების შედეგები*

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს ინტერბიზნესის აკადემიის ვებ გვერდი და სოციალურ ქსელის გვერდი Facebook ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ვებ გვერდი ფუნქციონირებს ქართულ და ინგლისურ ენებზე. ვებ გვერდზე განთავსებულია აკადემიის ისტორია, მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სტრატეგიული გეგის ანგარიში და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშები, დაწესებულების სტრუქტურა და ავტორიზაციის გადაწყვეტილებები. ასევე, აკადემიის ნორმატიული აქტები, საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამები, სტუდენტისა და პროფესიული მასწავლებლის გზამკვლევები, გალერეა, დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაცია და პესონალურ მონაცემთა დაცვის გუნდის საკონტაქტო ინფორმაცია. ვებ-გვერდსა და სოციალური ქსელის გვერდზე სისტემატიურად ხდება აკადემიაში მიდინარე სასწავლო პროცესის ამსახველი ინფორმაციის განთავსება, ღონისძიებების ანონსები, ჩატარებული ღონისძიებების ფოტო-მასალა, რეკლამა და სხვა. აკადემიის ვებ გვერდი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფილია მარტივი ნავიგაციით, გააჩნია სიტყვით ძებნის ფუნქცია. განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია და ლოკაციის რუქა. ვებ-გვერდს გააჩნია წერილის გაგზავნის და საგანმანათლებლო პროგრამებზე წინასწარი რეგისტრაციის ფუნქცია. ვებგვერდზე ინფორმაციის განახლება ხდება სისტემატურად. - **ინდიკატორი 5.2.3.1 პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს; - დაკმაყოფილებულია.**

2. კოლეჯის სტარტეგიულ მიზნებსა და მისიაში განსაზღვრული არ არის საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი და არც ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს, თუმცა კოლეჯის ვებგვერდი www.interbusiness.edu.ge გარდა ქართული ენისა, ფუნქციონირებს ასევე ინგლისურ ენაზე. - **ინდიკატორი 5.2.3.2 დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას; - დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულების მიერ გავრცელებული ინფორმაცია ეფუძნება რეალურ ფაქტებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. ვებ გვერდსა და სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია მხოლოდ ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს კოლეჯს. - **ინდიკატორი 5.2.3.3 პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; - დაკმაყოფილებულია.**

4. კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც დაინტერესებულ მხარეებს აწვდის ამომწურავ ინფორმაციას თითოეული პროგრამის მიზნების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, სწავლის შედეგების, ხანგრძლივობისა და დაშვების

წინაპირობების შესახებ. კატალოგის საჯაროობა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გამჭვირვალობას და ეხმარება აპლიკანტებს გააზრებული არჩევანის გაკეთებაში, რაც დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვებგვერდის შინაარსობრივი გადამოწმების შედეგადაც. **ინდიკატორი 5.2.3.4 საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ; - დაკმაყოფილებულია.**

5. . კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ექვემდებარება ყოველწლიურ გეგმიურ განახლებას, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის მუდმივ აქტუალობას. გარდა გეგმიური განახლებისა, კატალოგში ოპერატიულად აისახება ნებისმიერი ცვლილება, რომელიც უკავშირდება ახალი პროგრამების დამატებას ან არსებულ მოდულებში განხორციელებულ კორექტირებას. **ინდიკატორი 5.2.3.5 პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად; - დაკმაყოფილებულია.**

6. კოლეჯი ეფექტიანად იყენებს მრავალფეროვან საკომუნიკაციო არხებს: ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, ვებგვერდი, სოციალური ქსელები, დახურული ჯგუფები საზოგადოებასა და დაინტერესებულ მხარეებთან უკუკავშირის დასამყარებლად. მიღებული ინფორმაცია, მათ შორის ელექტრონული გამოკითხვების შედეგები, ექვემდებარება სისტემურ ანალიზს, რომლის საფუძველზეც ხორციელდება სათანადო რეაგირება და იგეგმება საქმიანობის გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებები. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს გარე და შიდა უკუკავშირის ტრანსფორმაციას ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარების კონკრეტულ გადაწყვეტილებებში. **ინდიკატორი 5.2.3.6 საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. - დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. *დებულებათა კრებული (დამტკიცებულია შპს ინტერბიზნესის აკადემიის დირექტორის 2017 წლის 09 ნოემბრის N01-44 ბრძანებით);*
2. *კოლეჯის ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი;*
3. *საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი;*
4. *ინტერვიუს შედეგები*
5. *ვიზუალური დათვალიერების შედეგები*

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
დანართი 2. განცხადება
დანართი3. ანგარიში

თარიღი:27/08/2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: